

## **მაია მახარაძე**

**რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი და  
სისტემის მდგრადობის საკითხები**

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
ივლისი, 2013

საავტორო უფლება © წელი, მახარაძე მაია, 2013

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მახარაძე მაიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი და სისტემის მდგრადობის საკითხები” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: მიხეილ რუხვაძე

რეცენზენტი: კონსტანტინე წერეთელი

რეცენზენტი: ვახტანგ გიორგობიანი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013

ავტორი: მახარაძე მაია

დასახელება: რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი და სისტემის  
მდგრადობის საკითხები

ფაკულტეტი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: თარიღი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის  
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების  
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა  
ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია  
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს  
პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

მაია მახარაძის დისერტაცია “რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი და სისტემის მდგრადობის საკითხები” ეხება აქტუალურ პრობლემას. ნაშრომი შედგება 159 გვერდისაგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს, ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური), შინაარსს (სარჩევს), ცხრილების და ნახაზების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება ლიტერატურის მიმოხილვის, ხუთი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

პირველ თავში გაანალიზებულია ელექტროსისტემაში აქტიურ და რეაქტიულ სიმძლავრეთა უბალანსობის გავლენა აქტიური სიმძლავრის დეფიციტის სიდიდეზე და ნაჩვენებია, რომ სისტემათაშორისი ხაზის (ასევე, შიგასასისტემო ხაზის) ავარიული გამორთვისას, როცა ამ ხაზით გადაეცემა, შედარებით, მცირე სიდიდის აქტიური სიმძლავრე ( $P_2 < P'_2$ ), მიმღებ სისტემაში ადგილი აქვს აქტიური სიმძლავრის არა თუ დეფიციტს, არამედ სიჭარეს. აგრეთვე, აქტიური სიმძლავრის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით აქტიური დატვირთვის გამორთვასთან ერთად, იმავდროულად გამორთული რეაქტიული სიმძლავრის სიდიდემ დეფიციტის აღმოფხვრაზე შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა.

მეორე თავში ელექტროენერგიის მომხმარებლები, მათი დანიშნულებისა და მუშაობის სახასიათო რეჟიმის მიხედვით დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომხმარებლები, საზოგადოებრივ-კომუნალური მომხმარებლები და სამრეწველო და მათთან გათანაბრებული მომხმარებლები.

ჩატარებულია არსებული ტექნიკური ლიტერატურის მიმოხილვა, მოყვანილია სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთვავაზებული სტატიკური მახასიათებლების მათემატიკურად ჩაწერის მოდელები და გაანალიზებულია ამ მახასიათებელთა სახასიათო პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.

ამავე თავში განხილულია კომბინირებული დატვირთვის კონკრეტული კერძო შემთხვევები. მათვის შედგენილი იქნა პოლინომური სახის (მეორე-მესამე რიგის) სტატიკური მახასიათებლები და ყველა კონკრეტული შემთხვევისთვის გამოთვლილი იქნა დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის რიცხვითი მნიშვნელობები.

დასმულია კომბინირებული დატვირთვის პოლინომური სახის სტატიკური მახასიათებლების დადგენის ამოცანა და ჩამოყალიბებულია ამ ამოცანის გადაწყვეტის მეთოდიკა ყოველი კონკრეტული ელექტრული ქსელისთვის.

მესამე თავში გაანალიზებულია საქართველოს ენერგოსისტემაში გარდამავალი პროცესების მიმდინარეობა სხვადასხვა მათემატიკური მოდელით ჩაწერილი დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

შეფასებულია ამ პროცესების მიმდინარეობა რეაქტიული სიმძლავრის სხვადასხვა ხარისხით უბალანსობის პირობებში.

დადგინდა, აქტიური სიმძლავრის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, გამორთული მომხმარებლების  $\cos\varphi$ -ის გავლენა ამ მიზნის მიღწევაზე.

მეოთხე თავში ქვეყნის მასშტაბით ელექტრომომხმარებელთა დატვირთვების სტრუქტურიზაცია და ამ დატვირთვების ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებლების დადგენა ჩატარდა ავტონომიური ქსელებისთვის ცალცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

საქართველოს ენერგოსისტემის 110/35 კვ ძაბვის გადაცემის ქსელი პირობითად დაიყო 13 ავტონომიურ ქსელად (ელექტროენერგეტიკულ რეგიონად), რომელთა შორის კავშირი განხორციელებულია 220 და 500 კვ ძაბვის ხაზებით და რომელთაგანაც თითოეული მანაწილებელი ქსელის კონფიგურაციისა და მომხმარებელთა სახეობათა მიხედვით ხასიათდება ინდივიდუალური თავისებურებებით.

მუშა ძაბვის საანგარიშო დიაპაზონში ( $U_* = 0,9 \div 1,1$ ) სისტემის აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი იცვლება  $0,632 \div 1,313$  ფარგლებში, ხოლო რეაქტიული დატვირთვისა კი –  $0,893 \div 6,161$  ფარგლებში.

დადგენილი იქნა, რომ  $U_* < 0,865 \div 0,883$  ძაბვისას რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი უარყოფით მნიშვნელობებს ღებულობს, რაც მიუთითებს მასზე, რომ ძაბვის ამ მნიშვნელობიდან და უფრო ქვევით ენერგოსისტემაში უკვე მოსალოდნელია ძაბვის ზვავი.

მეხუთე თავში გამოკვლეული იქნა ელექტროგადაცემის ხაზის გავლენა დატვირთვის მარეგულირებელ ეფექტზე და დაგენილი იქნა, რომ ეს გავლენა არაცალსახაა. მცირე სიდიდის დატვირთვისას ეს გავლენა უმნიშვნელოა. რაც მეტია ქვესადგურის დატვირთვა მით ნაკლებია რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის რიცხვითი მნიშვნელობა მაღალ მხარეს, ხოლო აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი, პრაქტიკულად, არ იცვლება. აგრეთვე დადგენილ იქნა სადაბლებელი ტრანსფორმატორის (110/10 კვ) გავლენა დატვირთვის მარეგულირებელ ეფექტზე.

შესწავლილი იქნა 110-35 კვ ძაბვის ავტონომიური ელექტროქსელის გავლენის მასშტაბები ამ ქსელის მომხმარებელთა დატვირთვის სტატიკურ მახასიათებლებზე. მახასიათებლები ჩაწერილია მეორე რიგის პოლინომის სახით, რაც საშუალებას იძლევა PSS/E პროგრამა გამოყენებული იქნეს მახასიათებლის ანალიზური ჩაწერის სახის შეცვლის გარეშე.

როგორც მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს მანაწილებელი ქსელის გავლენით ჯამური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი რამდენმე ერთეული პროცენტით იცვლება. ეს მიუთითებს მასზე, რომ ქსელის გავლენის გათვალისწინების გარეშე მიღებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები დასაშვებია გამოყენებული იქნეს სისტემაში მიმდინარე ნებისმიერი სახის გარდამავალი პროცესების ანალიზისას, თუ კი ამ ავტონომიური ქსელის დატვირთვის შემადგენლობაში ადგილი არ აქვს მკვეთრ სტუქტურულ ცვლილებებს.

## **Abstract**

Dissertation thesis presented by Maya Makharadze "Reactive power balance and system reliability issues" refers to the actual problem. The work consists of 159 pages and in accordance with the instructions for the doctoral thesis includes: title page, signature page, copyright page, a summary in two languages (georgian-english), table of contents (index), list of tables and drawings. The main text consists of a literature review, five chapters, conclusion and list of references.

The first chapter analyzes the impact of the power of active and reactive capacity disbalance on active power deficiency size and it is shown that while emergency switching of the system line (also referred to as intrasystemic line) when this line is conducting relatively small quantity of the active power ( $P_2 < P'_2$ ), the target system has not not the deficit of active power, but the surplus of it. Furthermore, in order to eliminate the deficit of active power while switching it off, the rates of the reactive power, switched off at the same time may have both positive and negative influences on eliminating the deficit.

In the second chapter the electricity users are divided in three main groups according to their purpose and the characteristic work patterns: consumer communal customers, public communal and industrial and equalized users.

There is conducted a review of the technical literature, shown the mathematical writing models of static characteristics proposed by different authors and also analyzed the numerical values of representative parameters of these characteristics.

The same chapter covers particular cases of the combined charge. There have been drawn up the statistical characteristics for the polynomial types (of the second-third order) and were calculated numerical values of the regulatory charge effect.

There has been set a task to determine the statistical characteristics of the combined polynomial charge and shown the methods for each specific electrical network.

The third chapter analyzes the sequence of transitional processes of the energy system of Georgia with due regard to statistical characteristics of loading written down by various mathematical models.

This sequence of these processes is evaluated in terms of reactive power disbalance at varying degrees.

The impact of switched users  $\cos\varphi$  achieving this objective has been determined for the purpose of elimination the power deficit.

The fourth chapter determines the structuring of the charges of the consumers nationwide and of equivalent static characteristics for the autonomous networks - unconnected to each other.

The voltage transmission network 110/35 kW is conventionally divided into 13 autonomous networks (electric-energetic regions), the connection between them is accomplished by 220 and 500 kW voltage lines and each of them is identified by individual features according to the art of users and the configuration of distributing networks.

Within the rated voltage range ( $U_* = 0,9 \div 1,1$ ) the regulatory effect of active load is changing within the scope  $0,632 \div 1,313$  and of the reactive load -  $0,893 \div 6,161$ .

It was established that within the voltage  $U_* < 0,865 \div 0,883$  regulatory effect of reactive load takes negative values, which indicates that from this voltage and down the power grid the strain avalanche is expected.

The fifth chapter examined the impact of the transmission line on the regulatory effect and it has been estimated that this effect is not unique. This effect is negligible at small charge. The more the substation load, the less numerical value of reactive load regulatory effects on the high side, and the regulatory effect of the active load is practically not changing. Moreover, the impact of shortening transformer (110/10 kW) on the regulatory effect of the load has been determined.

There has been studied the magnitude of the influence of autonomic electric networks at 110-35 kW voltage on the static characteristics of network users. Characteristics are written down as the polinoms of the second, which allows the program PSS/E to be used without changing the characteristics of the analytical writing.

The analysis of the results shows, the regulatory effect of the total load is influenced by the distributing network onto several percent units. This indicates that without considering the influence of the network load the static characteristics of the system may be used in any analysis of transient processes, if the network load doesn't show any significant structural changes.

## შინაარსი

სატიტულო გვერდი .....	I
ხელმოწერების გვერდი.....	II
საავტორო უფლების გვერდი.....	III
რეზიუმე (ორ ენაზე).....	IV
შინაარსი.....	VIII
ცხრილების ნუსხა.....	XI
ნახაზების ნუსხა.....	XV
შესავალი.....	19
ლიტერატურის მიმოხილვა.....	22
შედეგები და განსჯა.....	26
ექსპერიმენტული ნაწილი.....	27
თავი 1. ამოცანის დასმა.....	28
1.1. სიმძლავრეთა ბალანსი ელექტროსისტემაში.....	28
1.2. აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების უბალანსობათა.....	30
ურთიერთგავლენა	
1.3. ელექტრულ სისტემაში სიხშირის ცვალებადობა რეაქტიული.....	39
სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას	
დასკვნა თავი 1-ის მიმართ.....	44
თავი 2. დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები.....	45
2.1. მომხმარებელთა სტუქტურა და ელექტრული დატვირთვის.....	45
ერთდროულობის კოეფიციენტი	
2.2. მომხმარებელთა სტატიკური მახასიათებლები.....	49
2.3. კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები.....	59
და მარეგულირებელი ეფექტი	
დასკვნა თავი 2-ის მიმართ.....	75
თავი 3. საქართველოს ენერგოსისტემაში მიმდინარე .....	76
გარდამავალი პროცესების ზოგადი ანალიზი	
3.1. დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის გავლენა.....	76
გარდამავალი პროცესის მიმდინარეობაზე	
3.2. რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობა და გარდამავალი.....	82
პროცესების მიმდინარეობის ანალიზი	
3.3. აქტიური სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის ამოცანა.....	86
რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის გათვალისწინებით	
დასკვნა თავი 3-ის მიმართ.....	90
თავი 4. საქართველოს ელექტროენერგეტიკული რეგიონების.....	91
დატვირთვათა სტრუქტურიზაცია	
4.1. საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროენერგეტიკული.....	91
რეგიონები	
4.2. საქართველოს ენერგოსისტემის ავტონომიური ელექტრული.....	94
ქსელების კვანძების დატვირთვები	
4.3. ენერგოსისტემის ავტონომიური ელექტრული ქსელების.....	95

დატვირთვების სტრუქტურიზაცია	
4.3.1 220/110 კვ ძაბვის "დ. ბათუმის" ქვესადგურის ავტონომიური.....	96
ქსელი	
4.3.2 ენგურვესის 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის ავტონომიური.....	99
ქსელი	
4.3.3 220/110 კვ ძაბვის "ვარდნილვესი 1" ქვესადგურის.....	100
ავტონომიური ქსელი	
4.3.4 220/110 კვ ძაბვის "ზუგდიდის" ქვესადგურის.....	100
ავტონომიური ქსელი	
4.3.5 220/110 კვ ძაბვის "მენჯის" ქვესადგურის.....	101
ავტონომიური ქსელი	
4.3.6 220/110 კვ ძაბვის "ზორბგას" ქვესადგურის.....	102
ავტონომიური ქსელი	
4.3.7 220/110 კვ ძაბვის "დ.ქუთაისის" ქვესადგურის.....	103
ავტონომიური ქსელი	
4.3.8 220/110 კვ ძაბვის "წყალტუბოს" ქვესადგურის.....	104
ავტონომიური ქსელი	
4.3.9 220/110 კვ ძაბვის "დ.ზესტაფონის" ქვესადგურის.....	105
ავტონომიური ქსელი	
4.3.10 220/110 კვ ძაბვის "ლაჯანურვესის" ქვესადგურის.....	106
ავტონომიური ქსელი	
4.3.11 220/110 კვ ძაბვის "ხაშურის" ქვესადგურის.....	107
ავტონომიური ქსელი	
4.3.12 220/110 კვ ძაბვის "გორის" ქვესადგურის.....	108
ავტონომიური ქსელი	
4.3.13 220/110 კვ ძაბვის "ქსანის" ქვესადგურის.....	109
ავტონომიური ქსელი	
4.3.14 220/110 კვ ძაბვის "ჟინვალვესის" ქვესადგურის.....	110
ავტონომიური ქსელი	
4.3.15 220/110 კვ ძაბვის "გლდანის" ქვესადგურის.....	110
ავტონომიური ქსელი	
4.3.16 220/110 კვ ძაბვის "ლისის" ქვესადგურის.....	112
ავტონომიური ქსელი	
4.3.17 220/110 კვ ძაბვის "დიდუბის" ქვესადგურის.....	112
ავტონომიური ქსელი	
4.3.18 220/110 კვ ძაბვის "ნავთლუღის" ქვესადგურის.....	113
ავტონომიური ქსელი	
4.3.19 220/110 კვ ძაბვის "ხრამიპესის" ქვესადგურის.....	114
ავტონომიური ქსელი	
4.3.20 220/110 კვ ძაბვის "რუსთავის" ქვესადგურის.....	115
ავტონომიური ქსელი	
4.3.21 220/110 კვ ძაბვის "მარნეულის" ქვესადგურის.....	116
ავტონომიური ქსელი	
4.3.22 220/110 კვ ძაბვის "გურჯაანის" ქვესადგურის.....	117

ავტონომიური ქსელი	
4.3.23 220/110 კვ ძაბვის "თბილსრესის" ქვესადგურის.....	118
ავტონომიური ქსელი	
4.4. დატვირთვების სტატიკურ მახასიათებელთა ანალიზი.....	119
დასკვნა თავი 4-ის მიმართ.....	124
თავი 5. ავტონომიური ქსელის გავლენა დატვირთვის მარე-.....	127
გულირებელ ეფექტზე	
5.1.ტრანსფორმატორული გავლენა აქტიური სიმძლავრის.....	127
კოეფიციენტზე	
5.2. სადაბლებელი ტრანსფორმატორების გავლენა დატვირთ-.....	131
ვის მარეგულირებელ ეფექტზე.	
5.3. ელექტროგადაცემის ხაზის გავლენა დატვირთვის მარეგუ-.....	143
ლირებელ ეფექტზე	
5.4. მანაწილებელი ქსელის გავლენა დატვირთვის მარეგული-.....	149
რებელ ეფექტზე	
დასკვნა თავი 5-ის მიმართ.....	155
დასკვნა.....	156
გამოყენებული ლიტერატურა.....	158

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი №1.1	35 გვ. “კავკასიონის” სახასიათო რეჟიმები, როცა $U_1 = 500$ კვ და $U_2 = 495$ კვ
ცხრილი 2.2	47 გვ. სატრანსფორმატორო პუნქტების (სპ) დატვირთვის ერთდღოულობის კოეფიციენტები
ცხრილი №2.3	47 გვ. საცხოვოებელი სახლის ბინის ხვედრითი ელექტრული დატვირთვა
ცხრილი №2.4	48 გვ. კლიფი, კე-ტ კოეფიციენტების რიცხვით მნიშვნელობები
ცხრილი №2.5	48 გვ. საზოგადოებრივი შენობებისა და დაწესებულებები ხვედრითი ელექტრული დატვირთვები
ცხრილი №2.6	49 გვ. მომხმარებელთა სტრუქტურა ჯგუფების მიხედვით ინდუსტრიულ ქალაქ გოტლანდსა და სტოკოლმში
ცხრილი №2.7	54 გვ. მაჩვენებლიანი მოდელების $\alpha_v$ , $\alpha_f$ , $\beta_v$ , $\beta_f$ პარამეტრები
ცხრილი №2.8	64 გვ. 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დატვირთვა
ცხრილი №2.9	72 გვ. კომბინირებული დატვირთვების მახასიათებელი პარამეტრები
ცხრილი №2.10	73 გვ. კომბინირებული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი
ცხრილი №3.1	84 გვ. “მუხრანის” ხაზზე აქტ. და რეაქტ. სიმძლავრის სიდიდეები სამ სხვადასხვა რეჟიმში
ცხრილი №4.1	93 გვ. საქართველოს ენერგეტიკული რეგონინების მაქსიმალური დატვირთვები (2008/2009/2010წწ.)
ცხრილი №4.2	95 გვ. ენერგოსისტემის კვანძების აქტიური დატვირთვები (მგვტ)
ცხრილი №4.3	99 გვ. „დ.ბათუმის“ ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.4	99 გვ. “ენგურჰესის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.5	100 გვ. “ვარდნილიპესი I” 220/110 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.6	101 გვ. “ზუგდიდის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.7	102 გვ. “მენჯის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.8	103 გვ. “ხორგა 220” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.9	104 გვ. “დ.ქუთაისის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.10	105 გვ. “წყალტუბოს” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

ცხრილი №4.11	106 გვ. “ზესტაფონის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.12	107 გვ. “ლაჯანურის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.13	107 გვ. “ხაშურის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.14	109 გვ. “გორის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.15	109 გვ. “ქსანის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.16	110 გვ. “უინგალის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.17	111 გვ. “გლდანის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.18	112 გვ. “ლისის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.19	113 გვ. “დიდუბის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის კვანძების დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.20	114 გვ. “ნავთლუდის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.21	115 გვ. “ ხრამიჰესი 2-ის ” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.22	116 გვ. “ რუსთავის ” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.23	117 გვ. “ მარნეულის ” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის კვანძების დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.24	118 გვ. “ გურჯაანის ” ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.25	119 გვ. თბილსრესის ქვესადგურის ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.26	119 გვ. საქართველოს ელექტროენერგეტიკული რეგიონების 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურების 110/35 კვ ძაბვის მანაწილებელი ქსელის კომბინირებული დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები
ცხრილი №4.27	120 გვ. კომბინირებული დატვირთვების მარეგურილებელი ეფექტი
ცხრილი №4.28	122 გვ. კომბინირებული დატვირთვის ცვლილება (პროცენტებში) ძაბვის ცვლიცებისას (ფარდობით ერთეულებში)
ცხრილი №4.29	123 გვ. საქართველოს ელექტროსისტემის მომხმარებელთა სახასიათო ჯგუფების ჯამური დატვირთვები და ხვედრითი წილი
ცხრილი №4.30	124 გვ. ელექტროსისტემის ჯამური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი
ცხრილი №5.1	132 გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნი-

		შენელობისას (ქ/ს „ავანგარდი“)
ცხრილი №5.2	133	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 2-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „ავანგარდი“)
ცხრილი №5.3	133	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 3-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „ავანგარდი“)
ცხრილი №5.4	134	გვ. დატვირთვის ცვლილებათა მნიშვნელობები პროცენტებში (ქ/ს „ავანგარდი“)
ცხრილი №5.5	136	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას(ქ/ს „გარკეთილი“)
ცხრილი №5.6	137	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 2-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „გარკეთილი“)
ცხრილი №5.7	137	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 3-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „გარკეთილი,,)
ცხრილი №5.8	138	გვ. დატვირთვის ცვლილებათა მნიშვნელობები პროცენტებში (ქ/ს „გარკეთილი“)
ცხრილი №5.9	140	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას (ქ/ს „ჯუგაანი“)
ცხრილი №5.10	140	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 2-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „ჯუგაანი“)
ცხრილი №5.11	141	გვ. $P_{\text{აღ}}$ და $Q_{\text{აღ}}$ სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას დატვირთვის 3-ჯერ გაზრდისას (ქ/ს „ჯუგაანი,,)
ცხრილი №5.12	141	გვ. დატვირთვის ცვლილებათა მნიშვნელობები პროცენტებში (ქ/ს „ჯუგაანი“)
ცხრილი №5.13	144	გვ. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას
ცხრილი №5.14	145	გვ. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას, როცა დატვირთვა გახდა 2-ჯერ მეტი (35 კვ ძაბვის გ/ბ)
ცხრილი №5.15	146	გვ. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას (110 კვ ძაბვის გ/ბ)
ცხრილი №5.16	146	გვ. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას, როცა ხაზის სიგრძე 2-ჯერ მეტია (110 კვ ძაბვის გ/ბ)
ცხრილი №5.17	147	გვ. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას, როცა დატვირთვა ხაზის ბოლოში 2-ჯერ გაიზარდა (110 კვ ძაბვის გ/ბ)
ცხრილი №5.18	148	გვ. ცხრ.5.18. $P_{\text{თავ}}$ და $Q_{\text{თავ}}$ სიმძლავრეთა სიდიდეები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას, როცა ხაზის სიგრძე 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო დატვირთვა არ შეცვლილა (110 კვ ძაბვის გ/ბ)
ცხრილი №5.19	152	გვ. დატვირთვათა მნიშვნელობები (ფარდობით

		ერთეულებში)
ცხრილი №5.20	153 გვ. 6-10 კვ ძაბვის კვანძების ჯამური დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები მანაწილებელი ქსელის გავლენის გარეშე	
ცხრილი №5.21	154 გვ. 6-10 კვ ძაბვის კვანძების ჯამური დატვირთვების სტატიკური მახასიათებლების მარეგულირებელი ეფექტი მანაწილებელი ქსელის გავლენის გარეშე	
ცხრილი №5.22	154 გვ. ქსელის ჯამური დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები ავტონომიური ქსელის გავლენის გათვალისწინებით	
ცხრილი №5.23	154 გვ. ქსელის ჯამური დატვირთვების სტატიკური მახასიათებლების მარეგულირებელი ეფექტი მანაწილებელი ქსელის გავლენის გათვალისწინებით	

## ნახაზების ნუსხა

- ნახ.1.1 32 გვ. სიხშირის ცვლილება სისტემაში: ა – მხოლოდ რეაქტო-  
ული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას; ბ- აქტიური და  
რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის ერთდროული  
დარღვევისას.
- ნახ.1.2 36 გვ. გამარტივებული ენერგოგაერთიანება
- ნახ.1.3 38 გვ. მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტის  
ექსპორტირებულ სიმძლავრეზე დამოკიდებულობის გრაფიკი
- ნახ.1.4 38 გვ. ეპვიზალენტურ სისტემათა გამარტივებული სის-  
ტემათაშორისი კავშირი
- ნახ.1.5 41 გვ. სისტემათაშორისი კავშირის ავარიული გამორთვისას  
მიმღებ სისტემაში სიხშირისა და ძაბვის ცვლილების ხასიათი  
(ძაბვის რეგულირების მოწყობილობა გამოყვანილია  
მოქმედებიდან)
- ნახ.1.6 42 გვ. სისტემათაშორისი კავშირის ავარიული გამორთვისას  
მიმღებ სისტემაში სიხშირისა და ძაბვის ცვლილების ხასიათი  
(ძაბვის რეგულირების მოწყობილობა მოქმედებაშია)
- ნახ.1.7 43 გვ. სიხშირის ცვლილების ხასიათი
- ნახ.1.8 43 გვ. მიმღებ სისტემაში ძაბვის ცვლილება
- ნახ.2.1 55 გვ. განათების ნათურების პოლინომური (ა) და მაჩ-  
ვენებლიანი (ბ) სტატიკური მახასიათებლები
- ნახ.2.2 55 გვ. ასინქრონული ძრავას პოლინომური სტატიკური მახა-  
სიათებელი
- ნახ.2.3 58 გვ. 110-220 კვ ძაბვის სალტეზე კომბინირებული რეაქტიული  
დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები მომხმარებლის  
სხვა-დასხვა *cosφ<sub>β</sub>* მნიშვნელობებისას
- ნახ.2.4 61 გვ. ერთი კონკრეტული ბინის კომბინირებული დატ-  
ვირთვის სტატიკური მახასიათებლები
- ნახ.2.5 62 გვ. საცხოვრებელი ბინის კომბინირებული დატვირთვის  
მარეგულირებელი ეფექტი
- ნახ.2.6 63 გვ. საცხოვრებელი ბინის კომპლექსური დატვირთვის  
ცალკეული ელექტრომიძღების სტატიკური მახასიათებლები:  
ა)ვარვარების ნათურები; ბ) მაცივარი; გ) სარეცხი მანქანა;  
დ)ტელევიზორი; ე) მზევერსასრუტი; ვ) წყლის გამაცხელებელი
- ნახ.2.7 65 გვ. 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დატვირთვის  
სტატიკური მახასიათებლები
- ნახ.2.8 66 გვ. ადმინისტრაციული შენობების და ოფისების  
დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები: ა) დღის პერიოდი;  
ბ) დამის პერიოდი
- ნახ.2.9 67 გვ. ადმინისტრაციული შენობების და ოფისების აქტიური  
(ა) და რეაქტიული (ბ) დატვირთვების მარეგულირებელი  
ეფექტი
- ნახ.2.10 68 გვ. მსხვილი სამრეწველო საწარმოს კომბინირებული  
დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
- ნახ.2.11 69 გვ. ქალაქის საცხოვრებელი რაიონის კომბინირებული  
დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

- ნახ.2.12 70 გვ. ქალაქის სამრეწველო რაიონის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები
- ნახ.3.1 77 გვ. PSS/E პროგრამული კომპლექსის საშუალებით მოდელირებული გარდამავალი პროცესი სამ სხვადასხვა შემთხვევაში
- ნახ.3.2 78 გვ. მაგალითი 2-ის მიხედვით სიხშირის ცვლილების მრუდეები
- ნახ.3.3 79 გვ. მაგალითი 3-ის მიხედვით სიხშირის ცვლილების მრუდეები
- ნახ.3.4 79 გვ. ქსელის დატვირტვის ცვლილება ძაბვის ცვლილებით
- ნახ.3.5 80 გვ. მაღალი ძაბვის კვანძში მიერთებული ჯამური დატვირთვის ცვლილების კანონზომიერება
- ნახ.3.6 81 გვ. „ჟინვალი 220“ ქვესადგურის 110-35 კვ ძაბვის ქსელი
- ნახ.3.7 82 გვ. სიხშირის ნაზრდი მომხმარებლის დატვირთვის ცვლილებისას
- ნახ.3.8 83 გვ. სისტემის მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე
- ნახ.3.9 83 გვ. დატვირთვის ცვლილება 110 კვ ძაბვის “დიფომის” ქვესადგურში
- ნახ.3.10 84 გვ. სიხშირის ცვლილება ელექტროსისტემაში
- ნახ.3.11 85 გვ. სიხშირის ცვლილება, როცა  $P=0$  მგვტ
- ნახ.3.12 85 გვ. სიხშირის ცვლილება, როცა  $P=63$  მგვტ
- ნახ.3.13 85 გვ. სიხშირის ცვლილება, როცა  $P= -75$  მგვტ
- ნახ.3.14 85 გვ. სიხშირის გადახრის დამოკიდებულება ხაზში გამავალი რეაქტიული სიმძლავრის სიდიდესა და მიმართულებაზე
- ნახ.3.15 87 გვ. “მუხრანის” ხაზის ავარიული ამორთვის შემთხვევაში სისტემაში წარმოქმნილი აქტიური სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის მიზნით გამორთული სხვადასხვა cosφ-ის მქონე სხვადასხვა  $\Delta P$  სიდიდის აქტიური დატვირთვები.
- ნახ.3.16 89 გვ. “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას ელექტროსისტემაში სიხშირის ცვლილების მრუდი
- ნახ.3.17 90 გვ. “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას გარდამავალი პროცესის მიმდინარეობის სურათი როცა აზერბაიჯანიდან საქართველოს ელექტროსისტემაში შემოედინება  $580+j100$  მგვა
- ნახ.3.18 90 გვ. “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას გარდამავალი პროცესის მიმდინარეობის სურათი, როცა აზერბაიჯანიდან საქართველოს ელ.სისტემაში შემოედინება  $1186+j117$  მგვა
- ნახ.4.1 97 გვ. 220/110 კვ ძაბვის “დ.ბათუმის” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.2 99 გვ. ენგურჰესის 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.3 100 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ვარდნილიჲსი 1” ქვესადგურის ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.4 101 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ზუგდიდის” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.5 102 გვ. 220/110 კვ ძაბვის “მენჯის” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი

- ნახ.4.6 103 გვ. “ხორგას” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ქსელი
- ნახ.4.7 104 გვ. “დ.ქუთაისის” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.8 105 გვ. “წყალტუბოს” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონო-  
მიური ქსელი
- ნახ.4.9 106 გვ. “დ.ზესტაფონის” ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ავტონო-  
მიური ქსელი
- ნახ.4.10 107 გვ. ლაჯანურპესის 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.11 108 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ხაშურის” ქვესადგურის 110/35 კვ  
ძაბვის ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.12 108 გვ. 220/110 კვ ძაბვის “გორის” ქვესადგურის ავტონომიური  
ქსელი
- ნახ.4.13 109 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ქსანის” ქვესადგურის ავტონომიური  
ქსელი
- ნახ.4.14 110 გვ. უინგალპესის 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.15 111 გვ. 220/110 კვ ძაბვის “გლდანის” ქვესადგურის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.16 112 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ლისის” ქვესადგურის ავტონომიური  
ქსელი
- ნახ.4.17 113 გვ. 220/110 კვ ძაბვის “დიდუბის” ქვესადგურის  
ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.18 114 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ნავთლუდის” ქვესადგურის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.19 115 გვ. 220/110 კვ ძაბვის “ხრამიჟესი 2-ის” ქვესადგურის  
ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.20 115 გვ. 220/110 კვ ძაბვის “რუსთავის” ქვესადგურის  
ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.21 117 გვ. 220/110 კვ ძაბვის “მარნეულის” ქვესადგურის ავ-  
ტონომიური ქსელი
- ნახ.4.22 118 გვ. 220/110 კვ ძაბვის “გურჯაანის” ქვესადგურის  
ავტონომიური ქსელი
- ნახ.4.23 119 გვ. თბილსრესის 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის ავტონო-  
მიური ქსელი
- ნახ.5.1 127 გვ. აქტ. სიმბლავრის დანაარგების  $\cos\varphi$ -ზე დამო-  
კიდებულების გრაფიკი
- ნახ.5.2 130 გვ.  $\cos\varphi_{\text{აღ}} - \text{o}$  დამოკიდებულება ტრ-რის დატვი-  
როულობაზე (TM – 400/10/0.4)
- ნახ.5.3 130 გვ.  $\cos\varphi_{\text{აღ}} - \text{o}$  დამოკიდებულება ტრ-რის დატვირთუ-  
ლობაზე (TM – 400/35/11)
- ნახ.5.4 135 გვ. დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები ტრანს-  
ფორმატორის დაბალი და მაღალი ძაბვის მხარეს
- ნახ.5.5 136 გვ. დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი ტრანს-  
ფორმატორის დაბალი და მაღალი ძაბვის მხარეს
- ნახ.5.6 142 გვ. რეაქტიული სიმბლავრის სტატიკური მახასიათებელი  
ტრანსფორმატორის დაბალ (1) და მაღალ (2) მხარეს: а) 110/10  
კვ ძაბვის ქვესადგური “ვარკეთილი”; ბ) 110/10 კვ ძაბვის  
ქვესადგური “ავანგარდი”

- ნახ.5.7 151 გვ. 110-35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი  
ნახ.5.8 152 გვ. 110-35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელის ჩანაცვლების  
საანგარიშო სქემა

## შესავალი

**მეცნიერული სიახლე.** ელექტროსისტების მიმდინარე ნებისმიერი გარდამავალი პროცესის, როგორც გარდამავალი რეჟიმის შემადგენილი ნაწილის, კვლევა დღემდე ხშირ შემთხვევაში წარმოებს ანალიზის მეთოდით, რომელიც განსაზღვრავს რეჟიმის პარამეტრების დროში ცვალებადობის სიჩქარეს და ავლენს სხვადასხვა სახის ფაქტორების გავლენის მასშტაბებს ამ პროცესის მიმდინარეობაზე.

კომპიუტერული ტექნიკის ისეთი მიღწევების პირობებში, რომელსაც ადგილი აქვს დღეს, შესაძლებელი გახდა ანალიზის მეთოდიდან გადავიდეთ სინთეზის მეთოდზე, რაც გულისხმობს მას, რომ მოიძებნოს ისეთი ხერხები და საშუალებანი, რომელიც შესაძლებელს გახდის განალიზდეს სისტემის ნებისმიერი ელემენტის ქცევა მოულოდნელად წარმოქმნილი გარდამავალი პროცესის მიმდინარეობისას, შეფასდეს პროცესის მიმდინარეობაზე სისტემაში არსებული გავლენის ფაქტორები, მოხდეს მათზე ზემოქმედება, რათა გარდამავალი პროცესის მიმდინარეობას მიეცეს სასურველი მიმართულება და სისტემის მუშაობის მდგრადობის ხარისხი აყვანილი იქნეს უფრო მაღალ დონეზე. ასეთი მართვადი ელემენტებისა და მათზე ადეკვატური ზემოქმედების საშუალებათა მოძიება და რეალიზაცია მიიღწევა, სწორედ, სინთეზის ამოცანის გადაჭრის გზით.

ენერგეტიკა, როგორც კიბერნეტიკული ტიპის დიდი სისტემა, მოითხოვს ფუნქციონალური მართვის ახალი მეთოდებისა და ახალი მოდგომების გამოყენებას. გარდამავალი პროცესების სიღრმისეული შესწავლა, ანალიზი და მის მიმდინარეობაზე მთელი რიგი ფაქტორების გავლენის გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ და შევიმუშავოთ ამ ფაქტორებზე მიზანმიმართული ზემოქმედების ხერხები და მეთოდები პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვისთვის, ანუ დასმული ამოცანის (პრობლემის) გადაწყვეტისას გამოვიყენოთ სინთეზის მეთოდი. რომლის დეტალური ანალიზის საშუალება მოგვცა ელექტრული სისტემების როგორც დამყარებული, ასევე გარდამავალი რეჟიმების გაანგარიშების კომპიუტერულმა პროგრამამ PSS/E.

**კვლევის აქტუალურობა.** ელექტრული სისტემის მუშაობის საიმედოობისა და მდგრადობის საკითხი უშუალო დამოკიდებულებაშია აქტიური სიმძლავრის ბალანსის უზრუნველყოფის საკითხთან. აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევა შეიძლება გამოწვეული იქნას სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა ხარისხით. უმრავლეს შემთხვევაში, აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას, ირღვევა რეაქტიული სიმძლავრის ბალანსიც. კერძოდ, დატვირთული გენერატორის ავარიული გამორთვა გამოიწვევს როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს, ხოლო სამრეწველო რეგიონის ავარიული გამორთვა კი იწვევს ამავე სიმძლავრეების სიჭარბეს.

კვლევის აქტუალობა მდგომარეობს მასში, რომ დღემდე სიტემათაშორისი ხაზის ავარიულად გამორთვისას აქტიური სიმძლავრის დეფიციტი განიხილებოდა იმ აქტიური სიმძლავრის ტოლად, რომელიც გაედინებოდა აღნიშნულ ხაზში ავარიული გამორთვის წინა მომენტში. რადგანაც თანამედროვე სისტემათაშორისი კავშირები განხორციელებულია ზემადალი ძაბვის ხაზებით, რომელშიც ადგილი აქვს დიდი ხიდის რეაქტიული სიმძლავრის გენერაციას, საჭიროა მიმდებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი შეფასებული იქნეს ამ ხაზში გამავალი აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეთა მიხედვით.

ამ პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაზრდის მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის დონეს. შედეგად შემცირდება ენერგიის მიუწოდებლობით გამოწვეული მორალური თუ ეკონომიკური ზარალი.

**შედეგი.** გაკეთდა ქვეყნის მასშტაბით ელექტრომომხმარებელთა დატვირთვების სტრუქტურიზაცია და ამ დატვირთვების ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებლების დადგენა ჩატარდა ავტონომიური ქსელებისთვის ცალცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

კვლევის ავტონომიური ქსელისთვის მიღებულია პრინციპი, რომ ელექტრომომხმარებლები, ზოგადად, დაყოფილია სხვადასხვა სახის კომბინირებულ მომხმარებლებად, რომელთათვის შედგენილი იქნა პოლინომური სახის (მესამე რიგის) სტატიკური მახასიათებლები.

მიღებულია საქართველოს ელექტროსისტემის ყველა 110/35 პკ ძაბვის მანაწილებელი ქსელის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები, რომელიც გამოყენებული იქნება სისტემაში როგორც დამყარებული, ასევე გარდამავალი რეჟიმების გაანგარიშებისას.

**ნაშრომის აპრობაცია.** ნაშრომის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №17 მიმართულების თემატურ სემინარზე, მე-3 კოლოკვიუმზე და მოწონებული იქნა.

2012 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ელექტროენერგეტიკის სექცია – I ადგილი.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 159 გვერდს და შედგება შესავლის, ხუთი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1. Конюхова Е.А. Электроснабжение объектов. Москва: Мастерство. 2002, 320 с.

განხილულია მომხმარებელთა დაყოფა მათი დანიშნულებისა და მუშაობის სახასიათო რეჟიმების მიხედვით. აქ განიხილება: საყოფაცხოვრებო-კომუნალური, საზოგადოებრივი-კომუნალური, სამრეწველო და მასთან გათანაბრებული მომხმარებელები.

დახასიათებულია თითოეული ამ ჯგუფის ელექტრომიმღებები და აღწერილია მათი მუშაობის სპეციფიურობა. საინჟინრო გაანგარიშებისთვის სკმარისი სიზუსტით შეფასებულია ამ მომხმარებელთა მაქსიმუმში მოხვედრის ერთდროულობის კოეფიციენტები, რომლებიც მოცემულია შესაბამისი ცხრილის სახით.

2. გ.მახარაძე. ვ.ბეგიაშვილი, ბ.დარჩია, ელექტრული ენერგიის გადაცემა და განაწილება, გამ-ბა „უნივერსალი“, 2006, 532გვ.

განხილულია სიხშირის რეგულირების საკითხები სისტემის მუშაობის დამყარებულ რეჟიმებში. გაანალიზებულია სიხშირის დამყარების პროცესი აქტიური სიმძლავრის ცხელი რეზერვის უკმარისობის პირობებში.

3. Kerstin Lindén and Inger Segerqvist. Modelling of Load Devices and Studying Load/System Characteristics. Göteborg:Technical Report No.131LDepartment of Electrical Power Systems School of Electrical and Computer Engineering.1992,138 p.

როგორც მაგალითი, ნაჩვენებია შოტლანდის ორი ქალაქის ელექტრული დატვირთვის სტრუქტურა (პროცენტებში), როთაც შეფასებულია ქალაქის დატვირთვის ჯგუფის სახეობა. კერძოდ, ერთი მათგანი ძირითადად ინდუსტრიული (სამრეწველო) დატვირთვის ქალაქია, ხოლო მეორე მათგანი უფრო საცხოვრებლო-კომუნალური და სავაჭრო ორგანიზაციების დატვირთვის ქალაქია. ჩაწერილია შესაბამისი სახის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები.

4. Raymond R. Shoultz., Larry D. Swift. Power system loads. Mexico: New Mexico state university. 1995, IV, pp 3-13

მოცემულია დატვირთვების უფრო დეტალური სტატიკური მახასიათებლები. აქ დატვირთვები დაყოფილია უფრო მეტ ჯგუფებად (ტიპებად) და, ძაბვის ცვლილების გავლენის გარდა, გათვალისწინებულია გარემოს ტემპერატურისა და ძრავების დატვირთულობის კოეფიციენტები. ცალკეული ტიპის ელექტრომიმღებთა სტატიკური მახასიათებლები ჩაწერილია ფარდობით ერთეულებში.

5. Веников В.А. Переходные электромеханические процессы в электрических системах. Москва: Высшая школа. 1978, 320 с.

6. რუხვაძე მ. ელექტრული სისტემების მდგრადობა. თბილისი: უნივერსალი. 2009, 182 გვ.

[5] და [6]-ში გაანალიზებულია ელექტროსისტემაში მიმდინარე ელექტრომექანიკური პროცესები. ამ პროცესების მიმდინარეობის შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ აქტიური სიმძლავრის უბალანსობის ფაქტორი. მიღებულია სისტემის მოძრაობის განტოლება და ჩატარებულია სისტემის მდგრადობის ანალიზი.

7. მახარაძე გ., მახარაძე მ., სულაშვილი მ. ტრანსფორმატორული უბნის გავლენა აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტზე. ენერგია. 2011, №1(57), გვ.100-102.

გამოკვლეულია ტრანსფორმატორის უბნის გავლენა აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტის ცვლილებაზე. ადგენილია ამ კოეფიციენტის გაუარესების (შემცირების) კანონზომიერება ტრანსფორმატორის უბნის დატვირთულობისაგან დამოკიდებულებაში.

8. Методические указания по определению устойчивости энергосистем, Часть 1. ВНИИЭ, МЭИ, ВГПИиНИИ Энергосетьпроект, ЦДУ ЕЭС СССР, ИЭД АН УССР и НИИПТ. Москва, 1977, 236 с.

მოცემულია რეკომენდაცია დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის ჩაწერის ფორმის მიმართ, როცა არ არის ცნობილი

კონკრეტული მონაცემები დატვირთვის სტრუქტული შემადგენლობის შესახებ.

9. . მახარაძე მ., რუხვაძე მ. ელექტროსისტემაში სიხშირის მართვის საკითხები რეაქტორული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას. ენერგია. 2010, №2(54), გვ. 55-59.

განხილულია საქართველოს ელექტროსისტემაში სიხშირის მართვის საკითხები რეაქტორული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას. ადგენილია რუსეთისა და საქართველოს ელექტროსისტემების დამაკავშირებელი 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის სახასიათო რეჟიმები.

10. მახარაძე მ. რეაქტორული სიმძლავრის უბალანსობა და გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის ანალიზი. ენერგია. 2011, №2(58), გვ. 23-25.

გაანალიზებულია სისტემათაშორისი ხაზის ავარიული ამორთვისას სიმძლავრის მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის მოსალოდნელი დეფიციტის წარმოქმნის ფარგლებში იმპორტირებულ სიმძლავრესთან დამოკიდებულებაში ამავე სისტემაში რეაქტორული სიმძლავრის შემოდინების გათვალისწინებით.

11. მახარაძე მ. საქართველოს ელექტროსისტემის 220 კვ ძაბვის კვანძებში მიერთებული კომბინირებული დატვირთვების სტატიკური მახასიათებლები. ენერგია. 2012, №4(64), გვ. 11-15.

დადგენილია 110-35 კვ ძაბვის გადაცემის ქსელის გავლენის მასშტაბები კომბინირებული დატვირთვის ეკვივალენტურ სტატიკურ მახასიათებლებზე.

12. Веников В. А. и др, Электрические системы. Москва: Высшая школа. 1971, Т.2, 440 с.

13. . Глазунов А. А., Глазунов А. А. Электрические системы. М-Л: ГЭИ. 1960, 368 с.

[12] და [13]-ში გადმოცემულია ელექტროსისტემის მუშაობის დამყარებული რეჟიმების გაანგარიშების მეთოდები, ჩამოყალიბებულია

სიხშირისა და ძაბვის რეგულირების პრინციპები და შემოთავაზებულია ამ პარამეტრთა რეგულირების ყველაზე მეტად გავრცელებული საშუალებანი და ხერხები.

14. მახარაძე მ. კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები. სტუდენტთა მე-80 დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თემისების კრებული. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2012, გვ. 51.

ჩატარებულია არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, მოყვანილია სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული სტატიკური მახასიათებლების ჩაწერის მოდელები და გაანალიზებულია ამ მახასიათებელთა სახასიათო პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.

## 2. შედეგები და მათი განსჯა

შედგენილი იქნა კონკრეტული კომბინირებული დატვირთვის (საცხოვრებელი ბინა, აღმინისტრაციული შენობები და ოფისები, მსხვილი სამრეწველო საწარმო, სამრეწველო კვარტალი, საცხოვრებელი კვარტალი) სტატიკური მახასიათებლები. მომხმარებელთა სტრუქტურული შემადგენლობის გათვალისწინებით დადგენილია აღნიშნული მახასიათებლები საქართველოს ელექტროსისტემის ყველა 110/35 კვ ძაბვის მანაწილებელი ქსელის 6-10 კვ ძაბვის სალტეზე.

მიღებულია საქართველოს ელექტროსისტემის ყველა 110/35 კვ ძაბვის მანაწილებელი ქსელის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები, რომელიც გამოყენებული იქნება სისტემაში როგორც დამყარებული, ასევე გარდამავალი რეჟიმების გაანგარიშებისას. მახასიათებლები ჩაწერილია მეორე რიგის პოლინომის სახით, რაც საშუალებას იძლევა PSS/E პროგრამა გამოყენებული იქნეს მახასიათებლის ანალიზური ჩაწერის სახის შეცვლის გარეშე.

6-10 კვ ძაბვაზე დადგენილი მახასიათებლები დაარქივებულია, რაც საშუალებას გვაძლევს მარტივად გადაანგარიშდეს მანაწილებელი ქსელის სტატიკური მახასიათებლები დატვირთვაში სტრუქტურული შემადგენლობის ცვლილების შემთხვევაში.

### **3. ექსპერიმენტული ნაწილი**

PSS/E კომპიუტერული პროგრამის საშუალებით გაანალიზებული იქნა საქართველოს ელექტროსისტემაში სხვადასხვა სახის გარდა-  
მავალი რეჟიმები და დადგინდა, რომ რეაქტორი სიმძლავრის უბალანსობა მნიშვნელოვნად მოქმედებს აქტიური სიმძლავრის უბალანსობის სიდიდეზე.

საქართველოს ენერგოსისტემის 110/35 კვ ძაბვის გადაცემის ქსელი პირობითად დაიყო 13 ავტონომიურ ქსელად (ელექტროენერგეტიკულ რეგიონებად), რომელთა შორის კავშირი განხორციელებულია 220 და 500 კვ ძაბვის ხაზებით და თითოეული მანაწილებელი ქსელი კონფიგურაციისა და მომხმარებელთა სახეობათა მიხედვით ხასიათდება ინდივიდუალური თავისებურებებით.

2009 წლის 16 დეკემბრის საქართველოს ელექტროსისტემაში ჩატარებული საკონტროლო გაზომვების საფუძველზე მიღებული მონაცემებით ცალკეული ელექტროენერგეტიკული რეგიონის სადა-  
ბლებელი ქვესადგურების 10 კვ ძაბაზე მიერთებული კომბინირებული დატვირთვისთვის მიღებული იქნა დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები, რომელთა საშუალებით დადგენილი იქნა ავტონომიური ქსელის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები.

PSS/E კომპიუტერული პროგრამის საშუალებით თითოეული ავტონომიური ქსელისათვის ჩავატარე რეჟიმების გაანგარიშება (ანუ ამ ქსელის 220 კვ ძაბვის ქსელთან მიერთების წერტილში) მუშა ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობაზე  $U_{*}=0,9 \div 1.1, 0.05$  ბიჯით.

მიღებული შედეგების მიხედვით ავაგა სტატიკური მახასიათებლები.

## თავი 1. ამოცანის დასმა

### 1.1. სიმძლავრეთა ბალანსი ელექტროსისტემაში

საქართველო აქტიურადაა ჩართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენერგეტიკული ინტეგრაციის პროცესში. საქართველოს ენერგოსისტემა, დღეს არსებული და პერსპექტიული 500 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ქსელის გათვალისწინებით, მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებისათვის საიმედო პარტნიორს წარმოადგენს ელექტრული ენერგიის მიმოცვლის პროცესში.

ელექტრული სისტემის მდგრადი მუშაობა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა ტურბინების მექანიკურ სიმძლავრეთა ჯამი მოელი ქსელის ჯამური ელექტრული დატვირთვის ტოლია. ამ ტოლობის დარღვევა, რაც ტექნიკურ ლიტერატურაში აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევის ტერმინით მოიხსენიება, იწვევს ტურბინა-გენერატორის ბრუნვთა რიცხვის შეცვლას. აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევა შეიძლება გამოწვეული იქნეს სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა ხარისხით. უმრავლეს შემთხვევაში, აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას, ირღვევა რეაქტიული სიმძლავრის ბალანსიც. კერძოდ, დატვირთული გენერატორის ავარიული გამორთვა გამოიწვევს როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს, ხოლო სამრეწველო რეგიონის ავარიული გამორთვა კი იწვევს ამავე სიმძლავრების სიჭარბეს.

PSS/E კომპიუტერული პროგრამის საშუალებით გაანალიზებული იქნა საქართველოს ელექტროსისტემაში ამა თუ იმ სახის გარდამავალი რეჟიმები და დადგინდა, რომ რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობა მნიშვნელოვნად მოქმედებს აქტიური სიმძლავრის უბალანსობის სიდიდეზე.

კომპიუტერული მოდელირების დახმარებით შესაძლებელია მოიძებნოს ისეთი ხერხები და საშუალებანი, რომელიც შესაძლებელს გახდის გაანალიზდეს სისტემის ნებისმიერი ელემენტის ქცევა მოულოდნელად წარმოქმნილი გარდამავალი პროცესის მიმდინარეობისას, შეფასდეს პროცესის მიმდინარეობაზე სისტემაში არსებული გავლენის ფაქტორები, მოხდეს მათზე ზემოქმედება, რათა გარდამავალი პროცესის მიმდინარეობას მიეცეს სასურველი მიმართულება და სისტემის მუშაობის მდგრადობის ხარისხი აყვანილი იქნეს უფრო მაღალ დონეზე.

გარდამავალი პროცესის მართვის საუკეთესო საშუალებათა მოძიებისა და რეალიზაციის მათემატიკური მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ენერგიისისტემაში არსებულ ყველა იმ სხვადასხვა სახის ფაქტორებსა და ამ ფაქტორებზე ზემოქმედების მეთოდებსა და მასშტაბებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება მიზანდასახული გავლენა მოვახდინოთ გარდამავალი პროცესების მიმდინარეობაზე. ერთეულთ ასეთ ფაქტორს, რაც დღემდე გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის შეფასებისას, რაოდენობრივი მასშტაბებით, არ განიხილებოდა, წარმოადგენს რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის ფაქტორი, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მოქმედებს ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობასა და საიმედოობაზე.

აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას ელექტროსისტემაში ადგილი აქვს სისტემის გადახრას თავისი ნომინალური (ნორმალური) მნიშვნელობიდან.

საერთო სასისტემო ავარიის თავიდან ასაცილებლად სისტემაში გათვალისწინებულია სისტემის ავტომატური განტვირთვის (საგ) მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად გამორთავს ნაკლებად საპასუხისმგებლო მომხმარებლებს. ამ გამორთვების დროს გამოირთვება როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული დატვირთვა. აქტიური დატვირთვის გამორთვა ავარიის ლიკვიდაციაზე მოქმედებს პოზიტიურად, რადგანაც ეს გამორთვა განახორციელებს აქტიური სიმძლავრის დეფიციტის შემცირებას და, შედეგად, გამოიწვევს სისტემის შემდგომი დაცემის შემცირებას ან ამ დაცემის შეწყვეტას. რეაქტიული სიმძლავრის გამორთვა გამოიწვევს ძაბვის ამაღლებას და, შედეგად, მუშაობაში დარჩენილი მომხმარებლების აქტიური დატვირთვის გაზრდას, რაც ზემოთ აღნიშნული გამორთული აქტიური დატვირთვის პოზიტიური ქმედების ხარისხს რამდენადმე შეამცირებს. აქედან გამომდინარე, საგის მოქმედება უნდა მივმართოთ იმ ნაკლებად საპასუხისმგებლო მომხმარებელთა გამორთვაზე, რომელთაც გააჩნიათ უფრო მაღალი *cosφ*.

ელექტროსისტემაში რეაქტიული სიმძლავრის გენერაცია წარმოებს როგორც ელექტროსადგურებზე გენერატორების, ასევე სისტემაში ამ მზნით დაყენებული რეაქტიული სიმძლავრის დამატებითი წყაროების

მიერ. გარდა ამისა რეაქტიული სიმძლავრის გენერაციას ადგილი აქვს, აგრეთვე, ელექტროგადაცემის ხაზების განივ ტევადურ გამტარობაში.

რეაქტიული სიმძლავრის დამატებითი წყაროები შეიძლება ქსელში გასცემდეს ან ქსელიდან ღებულობდეს რეაქტიულ სიმძლავრეს. ასეთ რეჟიმში მომუშავე დანადგარის ქსელში არსებობა აუცილებელია, რადგანაც, ერთი მხრივ, სინქრონული გენერატორების მიერ გენერირებული და მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი რეაქტიული სიმძლავრე, მათი *tgφ*-ის (*cosφ*-ის) სხვადასხვაობის გამო, ერთმანეთის ტოლი არ არის და, მეორე მხრივ, ხაზების მიერ გენერირებული რეაქტიული სიმძლავრე არ არის დამოკიდებული დატვირთვის დენზე, მაშინ როცა ხაზებისა და ტრანსფორმატორების რეაქტიულ წინაღობებში რეაქტიული სიმძლავრის დანაკარგები ამ დენის კვადრატის პირდაპირპროპოულია. შესაბამისად, სისტემის მაქსიმალური დატვირთვების რეჟიმში მოსალოდნელია რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი, ხოლო მინიმალური დატვირთვების რეჟიმში კი მისი სიჭარბე, რაც გაკომპენსირებული უნდა იქნეს რეაქტიული სიმძლავრის დამატებითი წყაროების მიერ.

ელექტროენერგიის მიმღები დაპროექტებულია ნომინალურ ძაბვაზე სამუშაოდ. დასაშვებ ფარგლებში ძაბვის გადახრისას ენერგიის მიმღები მუშაობს ნორმალურ რეჟიმში და წარმოებულ პროდუქციას წუნი არ აქვს, ანუ წარმოებული პროდუქციის ხარისხის მახასიათებელი პარამეტრები ნორმის ფარგლებშია. დასაშვებზე მეტად ძაბვის გადახრისას აღნიშნული პარამეტრები გამოდის მისთვის დასაშვებ ზღვრებს გარეთ და ადგილი აქვს წარმოებული პროდუქციის წუნის.

## 12. აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების უბალანსობათა ურთიერთგავლენა

მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი სიმძლავრე იცვლება როგორც დროში, ასევე, რეჟიმის პარამეტრების, კერძოდ, ძაბვისა და სიხშირის ცვლილებისას. დამყარებული რეჟიმებში ძაბვისა და სიხშირის მდორედ ცვლილების გამო, ამ რეჟიმების გაანგარიშებისას, საკმარისია ვისარგებლოთ დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებით. გარდამავალი პროცესების მიმდინარეობისას კი, რომლის დროსაც რეჟიმის პარა-

მეტრები დიდ ფარგლებში და სწრაფად იცვლება, აუცილებელია ვისარგებლოთ დატვირთვის დინამიური მახასიათებლებით [4; 5].

რეჟიმის პარამეტრების მცირე და მდორე ცვლილებისას დატვირთვის ცვლილება შეიძლება გამოვსახოთ გამოსახულებებით:

$$\left. \begin{aligned} dP_* &= \frac{\partial P_*}{\partial u_*} \cdot du_* + \frac{\partial P_*}{\partial f_*} \cdot df_* \\ dQ_* &= \frac{\partial Q_*}{\partial u_*} \cdot du_* + \frac{\partial Q_*}{\partial f_*} \cdot df_* \end{aligned} \right\}$$

სიდიდეები:  $\frac{\partial P_*}{\partial u_*}; \frac{\partial P_*}{\partial f_*}; \frac{\partial Q_*}{\partial u_*}; \frac{\partial Q_*}{\partial f_*}$  წარმოადგენენ აქტიური და რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელ ეფექტს. ამასთან, პრიველი და მესამე აქტიურ და რეაქტიულ დატვირთვათა მარეგულირებელი ეფექტია ძაბვის მიხედვით, ხოლო მეორე და მეოთხე კი იგივე სიხშირის მიხედვით.


ელექტრულ სისტემაში აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევა იწვევს სიხშირის შეცვლას და, შედეგად, სტატიკური მახასიათებლების მარეგულირებელი ეფექტის შესაბამისად, შეიცვლება მუშაობაში დარჩენილი მომხმარებლების როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული დატვირთვა. აქტიური სიმძლავრის ბალანსის დარღვევას, პრაქტიკულად, ყოველთვის თან ახლავს რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის დარღვევაც.

რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი, სტატიკური მახასიათებლების მარეგულირებელი ეფექტის  $\frac{\partial Q_*}{\partial u_*} \neq 0$  შესაბამისად იწვევს ძაბვის რებას გარკვეული სიდიდით ( $U'_*$  მნიშვნელობამდე, წერტილი a ნახ.1.1,a), რაც შედეგად, აქტიური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის მარეგულირებელი ეფექტის  $\frac{\partial P_*}{\partial u_*} \neq 0$  შესაბამისად, გამოიწვევს მუშაობაში დარჩენილ მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილ აქტიურ სიმძლავრეს  $P'_*$  მნიშვნელობამდე (წერტილი b ნახ.1.1,b). ეს კი ნიშნავს მას, რომ სიხშირის მიხედვით აქტიური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლი 1 მდებარეობიდან გადაადგილდა 1' მდებარეობაში (ნახ.1.1,b) და, რადგანაც სისტემის აქტიური სიმძლავრის გენერაცია არ შემცირებულა, აქტიური სიმძლავრის ბალანსი სისტემაში დამყარდება d წერტილის შესაბამისად, ანუ სიხშირე ამაღლდება  $f'_*$  მნიშვნელობამდე (ნახ.1.1,b).

თუ ელექტროსისტემაში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის წარმოქმნასთან ერთად ადგილი აქვს აქტიური სიმძლავრის დეფიციტის

წარმოქმნასაც, მაშინ სიხშირე სისტემაში დაეცემა  $f''$  მნიშვნელობამდე (ნახ.1.1.დ).

ანალოგიურად, რეაქტიული სიმძლავრის სიჭარბე რამდენადმე ამაღლებს ძაბვას სისტემაში და, შესაბამისად, გაიზრდება მუშაობაში დარჩენილი მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრეც. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში აქტიური სიმძლავრის უბალანსობა, რამდენადმე კომპაქნირდება იმავდროულად წარმოქმნილი რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის შედეგად და ცხადია, რომ ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნეს აქტიური სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის ამოცანის გადაწყვეტისას.



#### ნახ.1.1. სიხშირის ცვლილება სისტემაში:

- ა – მხოლოდ რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას;
- ბ- აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის ერთდროული დარღვევისას

შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე აქტიური სიმძლავრით დატვირთული (ან დაუტვირთავი) ზემაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზის ავარიული გამორთვისას.

500 პვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა. ამ ხაზის ყოველ ერთ კილომეტრ სიგრძეზე გენერირდება თითქმის 1 მგვარ რეაქტიული სიმძლავრე. აქედან გამომდინარე, ასეთი ხაზები რეაქტიული სიმძლავრის ბალანსში დიდი ხვედრითი წილით მონაწილეობენ და რომელიმე მათგანის (განსა-

კუთრებით გრძელი ხაზის) ავარიული გამორთვა მნიშვნელოვანი ხარისხით გამოიწვევს რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობას.

ელექტროსისტები აქტიური სიმძლავრით დაუტვირთავ რეჟიმში მომუშავე ხაზის ავარიული გამორთვისას აქტიური სიმძლავრის უბალანსობას, პრაქტიკულად, ადგილი არ ექნება, მაგრამ რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობა აშკარაა, რადგანაც დაუტვირთავ რეჟიმში მომუშავე ხაზში გვაქვს ჭარბი რეაქტიული სიმძლავრე, რაც ხაზის გამორთვის შედეგად დააკლდება სისტემას. დატვირთული ხაზის ავარიული გამორთვისას, თუ არსებობს ენერგიის გადაცემის ალტერნატიული გზა, მაშინ აქტიური სიმძლავრის დეფიციტს ადგილი არ ექნება, მაგრამ წარმოიქმნება რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი ქსელში რეაქტიული სიმძლავრის დამატებითი დანაკარგებისა და ავარიულად გამორთული ხაზის მიერ გენერირებული რეაქტიული სიმძლავრის დაკარგვის გამო.

მაშასადამე მივიღეთ, რომ შიგა სასისტემო ქსელის მაღალი ძაბვის ხაზის ავარიული გამორთვისას, როგორი დატვირთვის რეჟიმშიც არ უნდა მუშაობდეს ის, ელექტროსისტებაში ადგილი აქვს რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს. შედეგად ქსელში ძაბვა შემცირდება და, შესაბამისად შემცირდება მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე, რასაც შედეგად მივყავართ აქტიური სიმძლავრის სიჭარებესთან ანუ სიხშირის ამაღლებასთან.

განსაკუთრებით დიდი შეშფოთებაა მოსალოდნელი, როცა ავარიულად გამოირთვება სისტემათა შორისი ელექტროგადაცემის ხაზი. სიმძლავრის გამცემ და მიმღებ სისტემაში ძაბვათა მიმართ წაყენებული მოთხოვნები ამ ელექტროგადაცემაში აქტიურ სიმძლავრესთან ერთად განაპირობებს რეაქტიულ სიმძლავრეთა შესაბამის დინებას. კერძოდ, დაუტვირთავ ხაზში ( $P = 0$ ) რეაქტიულ სიმძლავრეთა დინება დიდია და, ამასთან, ეს რეაქტიული სიმძლავრე ორივე ელექტროსისტემაში შედის. ხაზის ავარიული გამორთვისას, სიმძლავრის გამცემ და მიმღებ სისტემებში წარმოიქმნება რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი და, შედეგად, ძაბვის შემცირების გამო ორივე სისტემაში გვექნება აქტიური სიმძლავრის სიჭარე. არანატურალურ სიმძლავრემდე დატვირთულ რეჟიმში მომუშავე სისტემათა შორისი ელექტროგადაცემის ხაზის ავარიული გამორთვისას სიმძლავრის გამცემ სისტემაში წარმოიქმნება აქტიური

სიმძლავრის სიჭარბე აქტიური სიმძლავრის ექსპორტის შეწყვეტის გამო და ამავე სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის წარმოქმნის შედეგად. სიმძლავრის მიმღებ სისტემაში გვექნება აქტიური სიმძლავრის დეფიციტი იმპორტის შეწყვეტის გამო, მაგრამ ეს დეფიციტი რამდენადმე გაკომპენსირდება ამავე სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის წარმოქმნის შედეგად.

მაშასადამე, დაუტვირთავი სისტემათაშორისი ხაზის ავარიული გამორთვისას ორივე სისტემაში წარმოიქმნება აქტიური სიმძლავრის სიჭარბე ამ სისტემებში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის წარმოქმნის გამო და, ამასთან, აქტიური სიმძლავრის ეს სიჭარბე ორივე სისტემაში, პრაქტიკულად, ერთი და იგივე სიდიდისაა. არანატურალურ სიმძლავრემდე დატვირთული ხაზის ავარიული გამორთვისას სიმძლავრის გამცემ სისტემაში აქტიური სიმძლავრის სიჭარბე უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე იმპორტირებული სიმძლავრე ავარიის წინა რეჟიმში, ხოლო აქტიური სიმძლავრის დეფიციტი სიმძლავრის მიმღებ სისტემაში უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე იმპორტირებული სიმძლავრე ავარიის წინა რეჟიმში. ეს სხვადასხვაობა ორივე სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის წარმოქმნითაა გამოიწვეული.

ელექტროგადაცემის ხაზის თავსა და ბოლოში რეაქტიულ სიმძლავრეთა ნაკადი განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებებით [2]

$$Q_1 = \frac{U_1^2}{Z_c} \left[ \left( 1 - \frac{U_2^2}{U_1^2} \right) \operatorname{ctg} \alpha_0 l - Q_2 \frac{Z_c}{U_1^2} \right] \quad (1.1)$$

$$Q_2 = \frac{U_2^2}{Z_c} \left[ - \operatorname{ctg} \alpha_0 l + \sqrt{\left( \frac{U_1}{U_2 \sin \alpha_0 l} \right)^2 - \left( P_2 \frac{Z_c}{U_2^2} \right)^2} \right] \quad (1.2)$$

$U_1, U_2$  - ძაბვა ხაზის თავსა და ბოლოში, კვ;

$P_2$  - აქტიური სიმძლავრე ხაზის ბოლოში, მგვტ;

$Z_c$  - ხაზის ტალღური წინაღობა, ომი;

$\alpha_0$  - ძაბვის (დენის) გექტორის შემობრუნების გუთხე ხაზის ერთ კილომეტრ სიგრძეზე, 1/კმ;

$l$  - ხაზის სიგრძე, კმ.


წარმოდგენილ გამოსახულებათა გამოყენებით გამოთვლილი იქნა რუსეთისა და საქართველოს ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზის “კავკასიონი” („ცენტრალნაია-ენერგეტიკის“) სახასიათო რეჟიმები, როცა  $U_1 = 500$  კვ და  $U_2 = 495$  კვ (ცხრ.1.2). ამ ცხრილში  $P_2$  და  $Q_2$  რუსეთიდან ენერგეტიკის 500 კვ ძაბვის კვანძში შემომავალი სიმძლავრეებია, ხოლო  $Q_1$  რუსეთის ენერგოსისტემის შესაბამისი კვანძიდან („ცენტრალნაია“) ხაზში შემომავალი რეაქტიული სიმძლავრე (ნიშანი “–” მიუთითებს მასზე, რომ რეაქტიული სიმძლავრე  $Q_1$  შედის ხაზიდან კვანძში, ხოლო  $Q_2$  კვანძიდან ხაზში).

**ცხრ.1.1. ეგეს “კავკასიონის” სახასიათო რეჟიმები, როცა  $U_1 = 500$  კვ და  $U_2 = 495$  კვ**

$P_2$ , გვარ	0	100	200	300	400	500	600	700	800	900	1000
$Q_1$ , გვარ	-	168.1	165.7	158.4	-	146.2	-	129.0	-	106.6	-78.9
$Q_2$ , გვარ	205.8	203.4	196.1	183.9	166.6	144.3	116.6	83.3	44.3	-1.03	-53.0

როგორც ვხედავთ, სისტემათაშორისი ხაზის დაუტვირთავ რეჟიმში მუშაობისას მიმღებ სისტემაში შემოედინება დიდი სიდიდის რეაქტიული სიმძლავრე და, პირიქით. კერძოდ, როცა საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინება  $P_2 = 100$  მგვტ აქტიური სიმძლავრე, მაშინ შემოედინება, აგრეთვე,  $Q_2 = 203.4$  მგვარ რეაქტიული სიმძლავრეც, ხოლო  $P_2 = 800$  მგვტ აქტიური სიმძლავრის შემოდინებისას შემოედინება  $Q_2 = 44.3$  მგვარ რეაქტიული სიმძლავრე. ამ რეჟიმებში “კავკასიონის” ავარიული გამორთვისას საქართველოს სისტემაში გაჩნდება როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი და, ამასთან, დატვირთული ხაზის გამორთვისას მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე რეაქტიულისა და პირიქით.

რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი გამოიწვევს ძაბვის დაცემას და, შესაბამისად, გარკვეული სიდიდით შემცირდება მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრეც, რაც აქტიური სიმძლავრის დეფიციტს რამდენადმე გააკომპენსირებს. მაშასადამე, სისტემათა-შორისი კავშირის ავარიული გამორთვისას სიმძლავრის მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი შემოდინებულ აქტიურ სიმძლავრესთან არაცალსახა დამოკიდებულებაშია. მასზე გავლენას ახდენს შემოდინებული რეაქტიული სიმძლავრის სიდიდეც.



ნახ.12. გამარტივებული ენერგოგაერთიანება: ს-1 – სიმძლავრის მიმღები სისტემა; ს-2 – სიმძლავრის გამცემი სისტემა;  $P_1 + jQ_1$  - მიმღები სისტემის გენერაცია;  $P_2 + jQ_2$  - ექსპორტირებული აქტიური და რეაქტიული სიმძლავრე სიმძლავრის მიმღები სისტემის მიღების კვანძში;  $U_2$  – მუშა ძაბვა მიმღები სისტემის სალტეებზე;  $G$  – მიმღები სისტემის აქტიური დატვირთვის ეპივალენტური აქტიური გამტარობა;  $B_L$  - მიმღები სისტემის რეაქტიული დატვირთვის ეპივალენტური რეაქტიული (ინდუქციური) გამტარობა;  $B_C$  - მიმღები სისტემის ელექტროგადაცემის ხაზების ეპივალენტური რეაქტიული (ტევადური) გამტარობა.

განვიხილოთ გამარტივებული სახის ენერგოგაერთიანება (ნახ.1.2). ამ ნახაზზე ელექტროენერგიის მიმღები სისტემა (ს-1) წარმოდგენილია ეპივალენტური პარამეტრებით. კერძოდ, სისტემის აქტიური დატვირთვა მოცემულია მუდმივი სიდიდის აქტიური გამტარობით  $G$ , ინდუქციური ხასიათის რეაქტიული დატვირთვა, მათ შორის მაშუნტებელი რეაქტორები და ტრანსფორმატორების ფოლადში რეაქტიული სიმძლავრის დანაკარგები, მუდმივი სიდიდის რეაქტიული გამტარობით  $B_L$ , ელექტროგადაცემის ხაზის ტევადური გამტარობა წარმოდგენილია  $B_C$  მუდმივი პარამეტრით. ასევე მუდმივი პარამეტრებითაა წარმოდგენილი გადაცემის ქსელის გრძივი აქტიური  $R$  და რეაქტიული  $X$  წინაღობები.

მიმღები სისტემის ჯამური გენერაციაა  $P_1 + jQ_1$ , ხოლო სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზით მეზობელი ენერგოსისტემიდან (ს-2) მიმღები სისტემის ენერგიის მიღების კვანძში შემოვდინება  $P_2 + jQ_2$ .

ნახ.1.2-ზე ნაჩვენები შეერთების სქემის თანახმად, მიმღებ სისტემაში სიმძლავრეთა ბალანსის განტოლებები ჩაიწერება შემდეგ სახეში

$$\begin{aligned} P_1 + P_2 - P_{\text{კაბ}} - \Delta P_R &= 0 \quad \text{და} \quad Q_1 + Q_2 - Q_{\text{კაბ}} - \Delta Q_X = 0 \quad \text{ანუ} \\ P_1 + P_2 - U_2^2 \cdot G - 3 \cdot \mathcal{P} \cdot R &= 0 \quad \text{და} \quad Q_1 + Q_2 - U_2^2 \cdot (B_L - B_C) - 3 \cdot \mathcal{P} \cdot X = 0, \end{aligned}$$

სადაც დატვირთვის დენი

$$I = \frac{1}{\sqrt{3}} U \sqrt{G^2 + (B_L - B_C)^2}$$

და, შესაბამისად, ბალანსის განტოლებები ჩაიწერება შემდეგ სახეში

$$P_1 + P_2 - U_2^2 \cdot G - U_2^2 [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot R = 0 \quad (1.3)$$

და

$$Q_1 + Q_2 - U_2^2 \cdot (B_L - B_C) - U_2^2 [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X = 0. \quad (1.4)$$

(1.4) განტოლებიდან

$$U_2^2 = \frac{Q_1 + Q_2}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X}$$

რომლის (1.3) განტოლებაში ჩასმით, მივიღებთ

$$P_1 + P_2 - \frac{(Q_1 + Q_2) \{G + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot R\}}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X} = 0.$$

ამ ბოლო გამოსახულებიდან ჩანს, რომ სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზის ავარიული გამორთვისას სიმძლავრის მიმღებ სისტემაში დაირღვევა აქტიური სიმძლავრის ბალანსი და უბალანსობა შეადგენს

$$P_{\text{კაბ}} = P_1 - Q_2 \cdot A, \quad (1.5)$$


სადაც  $A$  მიმღები სისტემის მახასიათებელი სიდიდეა, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სისტემის ჯამურ აქტიურ და რეაქტიულ დატვირთვებზე და, მეორე მხრივ, ქსელის ეპივალენტურ ელექტრულ პარამეტრებზე, მათ შორის მუშაობაში ჩართული მაშენტებელი რეაქტორების ელექტრულ პარამეტრებზე,

$$A = \frac{\{G + [G^2 + (B_L - B_C)^2]R\}}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X} = \frac{P_Q + \Delta P_R}{Q_Q - \Delta Q_C + \Delta Q_X} \quad (1.6)$$

ამასთან (1.2) გამოსახულების თანახმად  $Q_2$  დამოკიდებულია  $P_2$ -ზე  
და, როცა  $P_2 = 0$ , მაშინ

$$Q_2 = Q_{2,\text{ძებ.}} = \frac{U_2^2}{Z_c} \left( \frac{U_1}{U_2 \cdot \sin \alpha_0 l} - ctg \alpha_0 l \right) \quad (1.7)$$

(1.5) და (1.6) გამოსახულებების ზოგადი ანალიზი გვიჩვენებს, რომ  
სისტემათაშორისი ხაზის ავარიული გამორთვისას მიმღებ სისტემაში  
აქტიური სიმძლავრის დეფიციტი არა თუ იმპორტირებული სიმძლავრის  
ტოლია (წირი 1, ნახ.1.3), არამედ განისაზღვრება (1.5) გამოსახულებით,  
რომელიც ნახ.1.3-ზე წარმოდგენილია წირი 2-ის სახით.



ნახ.1.3 მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტის ექსპორტირებულ სიმძლავრეზე დამოკიდებულობის გრაფიკი

ნახ.1.4. ეკვივალენტურ სისტემა-თა გამარტივებული სისტემათაშორისი გაფშირი

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, სისტემათაშორისი ხაზის ავარიული გამორთვისას, როცა ამ ხაზით გადაეცემა მცირე სიდიდის აქტიური სიმძლავრე ( $P_2 < P'_2$ ), მიმღებ სისტემაში ადგილი აქვს აქტიური სიმძლავრის არა თუ დეფიციტს, არამედ სიჭარბეს (ნახ.1.3-ის თანახმად, როცა  $P_2 < P'_2$  აქტიური სიმძლავრის დეფიციტი უარყოფითია). აქედან გამომდინარე, სისტემათაშორისი ხაზის ავარიული გამორთვისას მიმღებ სისტემაში გარდამავალი პროცესის მიმდინარეობის საკითხი დეტალურ შესწავლასა და შესაბამის სასისტემო ავტომატიკის შექმნას მოითხოვს, რაც მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს.

### 1.3. ელექტრულ სისტემაში სიხშირის ცვალებადობა რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას

ელექტროსისტემაში სიხშირის ცვლილებაზე სიმძლავრის დეფიციტის გავლენის შესასწავლად განვიხილეთ ეკვივალენტური სიტემატიკურისი კაგშირი (ნახ.1.4).

სიმძლავრის მიმღებ ს-1 სისტემის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას, ქსელში დანაკარგების გათვალისწინებით (გამოსახულება (1.3)), აქვს შემდეგი სახე:

$$T_j \cdot \frac{ds}{dt} = \frac{P_1 + P_2}{(1+s)} - U_2^2 \cdot G - U_2^2 [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot R \quad (1.8)$$

აქ ;  $T_j$  - სიმძლავრის მიმღები სისტემის ინერციის ეკვივალენტური მუდმივა, წმ;

$s = \frac{f - f_0}{f_0} = \frac{\omega - \omega_0}{\omega_0}$  - მოცემული სისტემის ეკვივალენტური გენერატორის როტორის სრიალი, რომელიც სისტემის დამყარებულ რეჟიმში ნულის ტოლია ( $s = 0$ );

$P_1, P_2$  - სიმძლავრის მიმღები ს-1 და ექსპორტიორი ს-2 სისტემების ეკვივალენტური ტურბინის მექანიკური სიმძლავრე დამყარებულ ავარიისწინა რეჟიმში, მგვტ;

$G$  - მიმღები სისტემის აქტიური დატვირთვის ეკვივალენტური აქტიური გამტარობა, სიმენსი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ (გამოსახულება (1.4))

$$Q_1 + Q_2 - U_2^2 \cdot (B_L - B_C) - U_2^2 [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X = 0,$$

საიდანაც

$$U_2^2 = \frac{Q_1 + Q_2}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X}$$

მიმღები სისტემის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას (1.8)

ავარიისწინა დამყარებულ რეჟიმში ექნება სახე

$$T_j \cdot \frac{ds}{dt} = \frac{P_1 + P_2}{(1+s)} - \frac{(Q_1 + Q_2) \cdot \{G + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot R\}}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X} \quad (1.9)$$

სისტემათაშორისი ხაზის ავარიული ამორთვის შემდეგ ამ განტოლების მარჯვენა მხარეში სიმძლავრეთა ბალანსი დაირღვევა და,

შესაბამისად,  $s \neq 0$ . მაშინ სისტემის მოძრაობის განტოლებას ექნება სახე

$$T_j \cdot \frac{ds}{dt} = \frac{P_1}{(1+s)} - \frac{Q_1 \cdot \{G + [G^2 + (B_L - B_C)] \cdot R\}}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X} \neq 0. \quad (1.10)$$

ამ შემთხვევაში მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის წარმოქმნილი უბალანსობა გამოითვლება (1.5) და (1.6) გამოსახულებებით

$$P_{\text{ფ}} = P_2 - Q_2 \cdot A = P_2 - \frac{Q_2 \cdot \{G + [G^2 + (B_L - B_C)] \cdot R\}}{(B_L - B_C) + [G^2 + (B_L - B_C)^2] \cdot X}. \quad (1.11)$$

როგორც ვხედავთ, სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზის ავარიული გამორთვისას მიმღებ სისტემაში სიხშირის ცვლილების სიჩქარეზე გავლენას ახდენს ავარიის წინა რეჟიმში ამ ხაზით მიმღებ სისტემაში შემომავალი რეაქტიული სიმძლავრე  $Q_2$ .

$Q_2$ -ის მიმართ შეიძლება განვიხილოთ სამი შემთხვევა: ა)  $Q_2 = 0$ ,  
ბ)  $Q_2 > 0$  და გ)  $Q_2 < 0$ .

პირველ შემთხვევაში მიმღებ სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი არ ირდვევა და ამიტომ მუშა ძაბვა რჩება უცვლელი. აქტიური სიმძლავრის დეფიციტი ცალსახად განისაზღვრება  $P_{\text{ფ}} = P_2$ .

მეორე შემთხვევაში მიმღებ სისტემაში ადგილი ექნება რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს, რაც გამოიწვევს მუშა ძაბვის შემცირებას და შედეგად შემცირდება მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე. აქედან გამომდინარე, მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი  $P_{\text{ფ}} < P_2$ , რის გამოც სიხშირის დაცემის სიჩქარე უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

მესამე შემთხვევაში მიმღებ სისტემაში ადგილი ექნება რეაქტიული სიმძლავრის სიჭარბეს, რაც მუშა ძაბვის ამაღლებას გამოიწვევს და შედეგად გაიზრდება მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე. სიმძლავრის დეფიციტი  $P_{\text{ფ}} > P_2$ , რის გამოც სიხშირის დაცემის სიჩქარე უფრო მეტი იქნება, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

ზემოთ მოყვანილი თეორიული მოსაზრების ანალიზი ჩატარდა რიცხვით მაგალითზე ნახ.1.3-ზე ნაჩვენები ელექტროენერგეტიკური სისტემისთვის.

საწყისი რეჟიმის პარამეტრებია: ბაზისური სიმძლავრე  $S = 100$  მგვა;  $P_1 = 1400$  მგვტ;  $P_2 = 400$  მგვტ;  $Q_1 = 700$  მგვარ და  $Q_2 = 100$  მგვარ.


სისტემათაშორისი კავშირის ავარიული გამორთვის შედეგად მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის წარმოქმნილი დეფიციტის აღმოფხვრა მიღწეული იქნა სასისტემო ავტომატიკის დახმარებით. ამასთან, მიმღებ სისტემაში მიმდინარე გარდამავალი პროცესი გაანალიზებული იქნა ავტომატიკით გამორთულ მომხმარებელთა დატვირთვის სამსახურის მიმღები გარიანტიში:

$$S = 400 + j50 \text{ ანუ } \cos \varphi = 0.992;$$

$$S = 400 + j100 \text{ ანუ } \cos \varphi = 0.97;$$

$$S = 400 + j150 \text{ ანუ } \cos \varphi = 0.936.$$

თითოეული ამ გარიანტისათვის მიმღებ სისტემაში სიხშირისა და ძაბვის ცვლილების ხასიათი ნაჩვენებია ქვემოთ ნახაზებზე: როცა მიმღებ სისტემაში ძაბვის რეგულირებას არა აქვს ადგილი (ნახ.1.5) და როცა ძაბვის რეგულატორები მოქმედებაშია (ნახ.1.6).




ნახ. 1.5. სისტემათაშორისი კავშირის ავარიული გამორთვისას მიმღებ სისტემაში სიხშირისა და ძაბვის ცვლილების ხასიათი (ძაბვის რეგულირების მოწყობილობა გამოყვანილია მოქმედებიდან). საგ-ით გამოირთო: 1 – 50 მგვარ რეაქტიული დატვირთვა; 2 – 100 მგვარ; 3 – 150 მგვარ.

გაანგარიშების შედეგები გვიჩვენებს, რომ:

- პირველ შემთხვევაში, როცა სისტემაში ავტომატიკით გამო-ირთო უფრო ნაკლები რეაქტიული დატვირთვა, ვიდრე ექს-პორტი იყო, მაშინ სისტემაში ძაბვა მცირდება ( $U_* = 0.93$ , მრუდი 1, ნახ. 1.5,ბ). შედეგად მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრეც შემცირდა. ამის გამო გაჩნდა აქტიური სიმძლავრის სიჭარბე და სიხშირემ აიწია (მრუდი 1, ნახ.1.5,ა);
- მეორე შემთხვევაში, როცა მიმღებ სისტემაში ავტომატიკით გამორთული რეაქტიული სიმძლავრე ექსპორტის ტოლია, სისტემაში

ძაბვა არ იცვლება ( $U_* = 1,0$ , მრუდი 2, ნახ.1.5,ბ) და სიხშირე პრაქტიკულად შენარჩუნდა იმ მნიშვნელობაზე, რაც იყო აქტიური სიმძლავრის დეფიციტის სრული აღმოფ-ხვრის მომენტში ( $f=49,93-49,95$  ჰერცი, მრუდი 2, ნახ.1.5,ა);

- მესამე შემთხვევაში გვაქვს პირველი შემთხვევის საწინააღმდეგო მოვლენა.




ნახ. 1.6. სისტემათაშორისი გაგშირის აგარიული გამორთვისას მიმდებ სისტემაში სიხშირისა და ძაბვის ცვლილების ხასიათი (ძაბვის რეგულირების მოწყობილობა მოქმედებაშია). საგით გამოირთო: 1 – 50 მგვარ რეაქტიული დატვირთვა; 2 – 100 მგვარ; 3 – 150 მგვარ.

როცა მიმდებ სისტემაში მოქმედებაშია ძაბვის რეგულატორები, მაშინ გარდამავალი პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს. კერძოდ, საწყის ეტაპზე (საგ-ის მოქმედებამდე) ძაბვის რეგულატორები ზრდის ძაბვას, რაც იწვევს მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი სიმძლავრის გაზრდას. ანუ იზრდება დეფიციტი, რაც სიხშირის უფრო დრმა დაცემას იწვევს ( $f = 49.8$  ჰც). საგ-ის მოქმედებით დატვირთვის გამორთვის შემდეგ რეგულატორები ძაბვას ამცირებენ და სიხშირე უფრო სტაბილურია, თუმცა სხვადასხვა  $Q_2$ -ის შემთხვევაში, როგორც სიხშირე, ასევე ძაბვა სხვადასხვა სტაბილურ მნიშვნელობას აღწევს (ნახ.1.6,ა,ბ. მრუდი 1,2,3).


მიმდებ სისტემაში მიმდინარე გარდამავალი პროცესი (სისტემათაშორისი ხაზის გამორთვა და მიმდებ სისტემაში სიხშირის ცვლილება) გაანალიზებული და ურთიერთ შედარებული იქნა ისეთი შემთხვევი, როცა მიმდებ სისტემაში შემოედინებოდა მხოლოდ  $Q_2=255$  მგვარ რეაქტიული სიმძლავრე (ე.ი.  $P_2=0$ ), ხოლო სხვა შემთხვევებში იმავე სიდიდის რეაქტიულ სიმძლავრესთან ერთად შემოედინებოდა აქტიური სიმძლავ-

რეც  $P_2=50, 150, 200, 250, 300, 350$  მგვტ. ყველა ამ შემთხვევაში ჩავთვალეთ, რომ ძაბვის რეგულატორები მოქმედებაში არ არის და დატვირთვები წარმოდგენილია სტატიკური მახასიათებლების სახით. განხილულ შემთხვევებში სიხშირის ცვლილების ხასიათი ნაჩვენებია 1.7 ნახაზზე.

გაანგარიშების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველ შემთხვევაში ( $P_2=0, Q_2=255$  მგვარ) რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის გამო მიმღებ სისტემაში იმდენად დაეცა ძაბვა და შედეგად შემცირდა მომხმარებელთა აქტიური დატვირთვა, რომ სიხშირემ აიწია 51,75 ჰერცამდე (ნახ.1.7, მრუდი 1). სხვა შემთხვევებში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი რამდენადმე კომპენსირდება რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის ეფექტით და სიხშირე სისტემაში უფრო ნაკლებად გადაიხარა ნომინალურიდან. უფრო მეტიც  $P_2=300, 350$  მგვტ აქტიური სიმძლავრის დეფიციტისას რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის ეფექტი არასაკმარისი აღმოჩნდა და სიხშირე სისტემაში შემცირდა შესაბამისად 49,83 და 49,67 ჰერცამდე (ნახ.1.7, მრუდი 5, 6).



ნახ.1.7. სიხშირის ცვლილების ხასიათი



ნახ.1.8. მიმღებ სისტემაში ძაბვის ცვლილება

ცხადია, რომ რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტმა მიმღებ სისტემაში გამოიწვია ძაბვის შემცირება. აქტიური სიმძლავრის დეფიციტმა კი ძაბვის შემცირება კიდევ უფრო გაზარდა (ნახ.1.8). ამ ნახაზზე მრუდი 1 გვიჩვენებს მიმღებ სისტემაში ძაბვის შემცირებას იმ შემთხვევისთვის, როცა  $P_2=0$  მგვტ და  $Q_2=255$  მგვარ, ხოლო მრუდი 2 კი

ძაბვის შემცირებას იმ შემთხვევისთვის, როცა  $P_2=350$  მგვტ და  $Q_2=255$  მგვარ.

### დასკვნა თავი 1-ის მიმართ

თავი 1-ში გაანალიზებულია ელექტროსისტემაში აქტიურ და რეაქტიულ სიმძლავრეთა უბალანსობის გავლენა აქტიური სიმძლავრის დეფიციტის რიცხვით მნიშვნელობაზე და ნაჩვენებია, რომ სისტემათაშორისი ხაზის (ასევე, შიგასასისტემო ხაზის) ავარიული გამორთვისას, როცა ამ ხაზით გადაეცემა, შედარებით, მცირე სიდიდის აქტიური სიმძლავრე ( $P_2 < P'_2$ ), მიმღებ სისტემაში ადგილი აქვს აქტიური სიმძლავრის არა თუ დეფიციტს, არამედ სიჭარბეს (ნახ.1.2). აქედან გამომდინარე, სისტემათაშორისი ხაზის ავარიული გამორთვისას მიმღებ სისტემაში გარდამავალი პროცესის მიმდინარეობის საკითხი დეტალურ შესწავლასა და შესაბამის სასისტემო ავტომატიკის შექმნას მოითხოვს, რაც მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს.

ამავე თავში ნაჩვენებია, აგრეთვე, აქტიური სიმძლავრის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით აქტიური დატვირთვის გამორთვასთან ერთად, იმავდროულად გამორთული რეაქტიული სიმძლავრის სიდიდე დეფიციტის აღმოფხვრაზე შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა.

ყველა განხილული შემთხვევა მიუთითებს მასზე, რომ აუცილებელია მაღალი სიზუსტით იქნება დადგენილი მოცემული ელექტროსისტემის მომხმარებელთა დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები და, მათ შორის, დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები ძაბვის მიხედვით  $P=P_*(U_*)$  და  $Q=Q_*(U_*)$ , რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება შევაფასოთ როგორც აქტიური, ასევე რეაქტიული სიმძლავრის შესაბამისი მარეგულირებელი ეფექტი ძაბვის მიხედვით  $\partial P_*/\partial U_*$  და  $\partial Q_*/\partial U_*$ .

## თავი 2. დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

### 2.1. მომხმარებელთა სტუქტურა და

#### ელექტრული დატვირთვის ერთდროულობის კოეფიციენტი

ელექტროენერგიის მომხმარებლები, მათი დანიშნულებისა და მუშაობის სახასიათო რეჟიმის მიხედვით, შეიძლება დაგვით შემდეგ ძირითად ჯგუფებად [1]:

- საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომხმარებლები;
- საზოგადოებრივ-კომუნალური მომხმარებლები;
- სამრეწველო და მათთან გათანაბრებული მომხმარებლები.

მომხმარებელთა ესა თუ ის ჯგუფი გამოირჩევა თავისი მუშაობის სპეციფიურობით. მაგალითად, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომხმარებლების ელექტრული დატვირთვა ძირითადად განათების დატვირთვაა, რაც მკვეთრად არათანაბარია დღედამის განმავლობაში. გარდა ამისა, აქ საკმარისად დიდი ხვედრითი წილით მონაწილეობს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრომიმდებები: სამაცივრო დანადგარები; ოჯახის კონდიციონერები; მტვერსასრუტები; ელექტროგამახურებლები და ა.შ.

საზოგადოებრივ-კომუნალური დანიშნულების ელექტრომიმდებები, პრაქტიკულად, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრომიმდებებს წარმოადგენს, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავდება როგორც რაოდენობრივი თანაფარდობით, ასევე მუშაობის რეჟიმითა და ხანგრძლივობით დღედამის ინტერვალში.

თავისი დანიშნულებისა და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე სამრეწველო მომხმარებლებთან გათანაბრებულია: მშენებლობა; ტრანსპორტი; ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა და გადამუშავების საწარმოები; კავშირგაბმულობა; მაღაროები; საბადოები და ა.შ. ამ ჯგუფის მომხმარებლები შედარებით უფრო ენერგოტენეზით მომხმარებლებია. ამ მომხმარებელთა ელექტრული დატვირთვის რეჟიმი დამოკიდებულია საწარმოს გვარობაზე და სამუშაო ცვლების რაოდენობაზე.

ელექტრული ქსელის სადაბლებელი ქვესადგურის დაბალი ძაბვის სალტეებზე, ზოგადად, მიერთებულია სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებელი და, აქედან გამომდინარე, ამ ქვესადგურის ჯამური დატვირთვა

წარმოადგენს ცალკეული მომხმარებლების მიერ მოთხოვნილ სიმძლავ-რეთა ჯამს დროის მოცემულ მომენტში. ქვესადგურის ჯამური დატვირ-თვის მაქსიმუმი ცალკეულ მომხმარებელთა მაქსიმალურ დატვირთვათა ჯამზე ნაკლებია, რაც მაქსიმალურ დატვირთვათა არაერთდროულო-ბითაა განპირობებული. ცალკეული მომხმარებლის მონაწილეობას ჯამური დატვირთვის მაქსიმუმში ე.წ. მაქსიმუმში მოხვედრის ერთდროუ-ლობის კოეფიციენტით  $K_{ერთდრ}$ . ახასიათებენ. მომხმარებლის მაქსიმუმში მოხვედრის ერთდროულობის კოეფიციენტი დამოკიდებულია ამ მომხმა-რებლის მუშაობის ხასიათსა და რეჟიმზე. ერთდროულობის კოეფი-ციენტს, როგორც წესი, განსაზღვრავენ დილისა და სადამოს მაქსიმუმ-ისთვის. სამრეწველო ობიექტების დილის მაქსიმუმის ერთდროულობის კოეფიციენტი  $K_{ერთდრ}=0,70-0,95$ , ხოლო განათების დატვირთვისთვის, როგორც დილის, ასევე სადამოს მაქსიმუმისთვის  $K_{ერთდრ}=0,80-1,0$ .

სხვადასხვა გამოკვლევებისა და პრაქტიკული დაკვირვებების ანალი-ზის საფუძველზე [1], საინჟინრო გაანგარიშებისთვის საკმარისი სიზუსტით, შეფასებულია ამა თუ იმ სახის კომპლექსურ მომხმარე-ბელთა მაქსიმუმში მოხვედრის ერთდროულობის კოეფიციენტი (ცხ. 2.1, ცხ.2.2). 6-10 კვ ძაბვის საქალაქო მანაწილებელი ქსელის საანგარიშო დატვირთვა განისაზღვრება ცალკეული სატრანსფორმა-ტორო პუნქტის (სპ) საანგარიშო დატვირთვის ცხ.2.2-ში ნაჩვენები ერთდროულობის კოეფიციენტებზე გამრავლებით.

საცხროვებელი სახლების ელექტრული დატვირთვა იანგარიშება საცხროვებელი ბინების რაოდენობისა (n) და ხვედრითი დატვირთვის ( $P_{ხვ\cdotბინ}$ ) მიხედვით

$$P_{ბინ.} = P_{ხვ\cdotბინ.} \cdot n.$$

ბინის ხვედრითი ელექტრული დატვირთვის საორიენტაციო მნიშვნელობები მოცემულია 2.3 ცხრილში [1]. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს რაც მეტია ბინების რაოდენობა სახლში, მით ნაკლებია ბინის ხვედრითი ელექტრული დატვირთვა. ეს კანონზომიერება განპირობებულია მომხმარებელთა დატვირთვის ერთდროულობის კოეფიციენტების არსებობით.

## ცხრ.2.1. სამრეწველო საწარმოების მაქსიმალური დატვირთვის ერთდროულობის კოეფიციენტი

მაქსიმალური დატვირთვის პერიოდი	საწარმოო დატვირთვის ფარდობა საქალაქო კომუნალურ დატვირთვასთან				
	0,2	0,6	1,0	1,5	3,0
დიღა	0,75/0,60	0,80/0,70	0,85/0,75	0,88/0,80	0,92/0,87
საღამო	0,85-0,90	0,65-0,85	0,55-0,80	0,45-076	0,30-0,70

შენიშვნა: 1. სტრიქონში “დიღა” მრიცხველი გულისხმობს საცხოვრებელ სახლებს ელექტროქურებით, მნიშვნელი კი სახლებს ბუნებრივ აირზე ან მყარ საობობზე.

2. სტრიქონში “საღამო” კოეფიციენტების დაბალი მნიშვნელობები გულისხმობს ერთველიან სამრეწველო საწარმოებს, მაღალი კი ორ- და სამცვლიან სამრეწველო საწარმოებს.

## ცხრ.2.2. სატრანსფორმატორო პუნქტების (სპ) დატვირთვის ერთდროულობის კოეფიციენტები

დატვირთვის ხასიათი	სატრანსფორმატორო პუნქტების რიცხვი				
	1-2	3-5	6-10	11-20	>20
საცხოვრებელი უბანი (70% და მეტი საცხოვრებელი სახლები და 30%-მდე საზოგადოებრივი შენობები)	0,90	0,85	0,80	0,75	0,70
საზოგადოებრივი უბანი (70% და მეტი საზოგადოებრივი შენობები და 30%-მდე საცხოვრებელი სახლები	0,90	0,70	0,65	0,60	0,55

## ცხრ.2.3. საცხოვრებელი სახლის ბინის ხედრითი ელექტრული დატვირთვა

სახლის გათბობის საშუალება	ბინების რაოდენობა				
	≤12	12-40	40-100	100-400	400-1000
ბუნებრივი აირი	1,45	0,8	0,6	0,45	0,4
თხევადი გაზი ან მყარი სათბობი	1,65	1,0	0,8	0,7	0,5
ელექტროენერგია	2,4	1,5	1,15	0,9	0,8

საცხოვრებელი სახლების ძალოვანი დატვირთვა დამოკიდებულია ამ სახლში ლიფტების რაოდენობაზე, მათ დადგმულ სიმძლავრეზე და სხვა სანიტარულ-ტექნიკურ მოწყობილობათა დატვირთვაზე

$$P_{\text{ძალ.}} = K_{\text{ლიფტ.}} \cdot \sum P_{\text{ლიფტ.დაღმ.}} + K_{\text{ს-ტ.}} \cdot \sum P_{\text{ს-ტ.დაღმ.}}$$

სადაც  $K_{\text{ლიფტ.}}$ ,  $K_{\text{ს-ტ.}}$  შესაბამის დანადგართა დატვირთვის ერთდროულობის კოეფიციენტი (ცხრ.2.4).

#### ცხრ.2.4. $K_{ლոց}$ , $K_{b-\vartheta}$ კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები

$K_{ლოც}$ .		$K_{b-\vartheta}$			
ლიფტების რაო-ბა	სართულების რაო-ბა	ძრავების რაო-ბა	$K_{b-\vartheta}$	ძრავების რაო-ბა	$K_{b-\vartheta}$
		12-ზდე	$\geq 12$	2	1,0
4-5	0,7	0,8	5	0,8	50
10-25	0,5	0,6	10	0,7	
>25	0,35	0,4	20	0,65	

საცხოვრებელი სახლების ჯამური დატვირთვა

$$P_{საცხ.სახლ.} = P_{ბინ} + K_{ერთდრ.} \cdot P_{ძალ}$$

აქ  $K_{ერთდრ.}$  რეკომენდირებულია აღებული იქნებ 0,9-ის ტოლად.

დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი შენობების საანგარიშო დატვირთები დადგინდება ამ ობიექტების მახასიათებელი პარამეტრებისა (სასარგებლო ფართი, მოსწავლეთა რაოდენობა, სამუშაო ადგილების რაოდენობა, წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ა.შ.) და ხვედრითი ელექტრული დატვირთვების მიხედვით. ასეთი შენობების ხვედრითი ელექტრული დატვირთვები საორიენტაციო ნორმები ნაჩვენებია ქვემოთ ცხრილში (ცხრ.2.5). ამავე ცხრილში ნაჩვენებია ამ ჯგუფის მომხმარებელთა  $\cos\varphi$ .

#### ცხრ.2.5. საზოგადოებრივი შენობებისა და დაწესებულებები ხვედრითი ელექტრული დატვირთვები

საზოგადოებრივი შენობა-დაწესებულებები, საზოგადოებრივი კვების ობიექტი	განზომილება	ხვდრითი დატვირთვა	$\cos\varphi$
	კვტ/ადგილი	0,65-0,90	0,98
სასუსათო მაღაზია	კვტ/ $\vartheta^2$	0,22	0,8
სამრეწველო საქონლის მაღაზია	კვტ/ $\vartheta^2$	0,14	0,9
სკოლა	კვტ/მოსწავლე	0,13-0,22	0,92
ბაგაბაღი	კვტ/ადგილი	0,4	0,97
კინო-თეატრი	კვტ/ადგილი	0,12	0,95
ადმინისტრაციული მართვის შენობები	კვტ/ $\vartheta^2$	0,045	0,87
სასტუმროები	კვტ/ადგილი	0,4	0,88
ქიმიური მცირე საწარმოები	კვტ/კბ პროდუქცია	0,065	0,8

[3]-ში ნაჩვენებია შოტლანდიის ორი ქალაქის ელექტრული დატვირთვის სტუქტურა (პროცენტებში) (ცხრ.2.6). ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ელექტრული დატვირთვის სტუქტურის მიხედვით ეს ქალაქები მკვეთ-

რად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, ერთი მათგანი (ქალტ-ლანდი) ძირითადად ინდუსტრიული (სამრეწველო) დატვირთვის ქალაქია, ხოლო მეორეში (ქ.სტოკოლმი) განთავსებულია უფრო სავაჭრო ორგანიზაციები და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსმარებლები.

#### **ცხრ.2.6. მომსმარებელთა სტრუქტურა ჯგუფების მიხედვით ინდუსტრიულ ქალაქ გოტლანდსა და სტოკოლმში**

ქალაქი	ელექტრული გათბობა %	ბინები %	კომერ- ციული %	ინდუსტ- რიული %
გოტლანდი	30	15	15	40
სტოკოლმი	-	38	50	12

## **2.2. მომსმარებელთა სტატიკური მახასიათებლები**

ელექტრულ სისტემაში გარდამავალი რეჟიმების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სისტემის დატვირთვის სტატიკური მახასიათებელი, რაც შესაძლებელია მხოლოდ ყოველი კონკრეტული მომსმარებლის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების საფუძველზე. გაანგარიშებების ჩატარება, ყოველი კონკრეტული მომსმარებლის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, პრაქტიკულად შეუძლებელია მომსმარებელთა საკმარისად დიდი სიმრავლისა და მათ შესახებ საწყისი ინფორმაციის მოპოვება-გადამუშავების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, გაანგარიშებებში საკმარისი სიზუსტის შედეგების მისაღწევად, აუცილებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით მათი გათვალისწინება.

ანგარიშების გამარტივების მიზნით ხშირად შემოიფარგლებიან ნაკლებად მკაცრი მიდგომით და მომსმარებლებს, ძაბვისაგან დატვირთვის დამოკიდებულების თვალსაზრისით, პირობითად დაყოფენ სამ მთავარ ტიპად:

1. მუდმივი სიდიდის დატვირთვა;
2. ძაბვაზე წრფივად დამოკიდებული დატვირთვა;
3. ძაბვის კვადრატზე დამოკიდებული დატვირთვა.

დატვირთვის ამ სამი ტიპის საშუალებით, შესაძლებელია შევადგინოთ კომბინირებული დატვირთვის (სხვადასხვა სახის მომსმარე-

ბელთა ჯამური დატვირთვა) მახასიათებელი მეორე რიგის პოლინომის სახით:

$$\frac{P}{P_0} = a_0 + a_1 \left( \frac{u}{U_0} \right) + a_2 \left( \frac{u}{U_0} \right)^2 \quad \text{და} \quad \frac{Q}{Q_0} = b_0 + b_1 \left( \frac{u}{U_0} \right) + b_2 \left( \frac{u}{U_0} \right)^2$$

აქ  $a_0, a_1, a_2$  და  $b_0, b_1, b_2$  მუდმივი კოეფიციენტებია. მათი მნიშვნელობები დამოკიდებულია მოცემული ტიპის დატვირთვის სიდიდეზე და მის ხვედრით წილზე კომბინირებულ (ჯამურ) დატვირთვაში.

დატვირთვების, შედარებით, უფრო დეტალური სტატიკური მახასიათებლები მოცემულია [4]-ში. აქ დატვირთვები დაყოფილია უფრო მეტ ტიპებად და, ძაბვის ცვლილების გარდა, გათვალისწინებულია გარემოს ტემპერატურა და ძრავების დატვირთულობის კოეფიციენტები.

სტატისტიკური მახასიათებლების ჩაწერისას შემოღებულია შემდეგი აღვნიშნები (ფარდობითი ერთეულები):

$$\Delta V = V_{act} - 1 \quad - \quad \text{ძაბვის გადახრა ნომინალურიდან;}$$

$$\Delta T = T_{act} - 95^{\circ}\text{F} \quad \text{კონდიციონერებისთვის გარემოს ტენპერატურის გადახრა საანგარიშოდან;}$$

$$\Delta T = T_{act} - 47^{\circ}\text{F} \quad \text{“ზამთარი-ზაფხული” მოდელებისათვის გარემოს ტენპერატურის გადახრა საანგარიშოდან;}$$

$$\Delta \tau = \tau_{act} - \tau_{rated} \quad - \quad \text{ასინქრონული ძრავებისათვის ძრავას რეალური მომენტის } \tau_{act} \text{ გადახრა ნომინალური მომენტიდან } \tau_{rated}.$$

ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ელექტრომომხმარებლების სტატიკური მახასიათებლები ფარდობით ერთეულებში  $P_* = P/P_0$ ,  $Q_* = Q/QP_0$ :

1. ერთფაზა ცენტრალური კონდიცირების სისტემის კონდიციონერი

$$P_* = 1,0 + 0,4311 * \Delta V + 0,9507 * \Delta T + 2,07 * \Delta V^2 + 2,388 * \Delta T^2 - 0,9 * \Delta V * \Delta T$$

$$Q_* = 0,3152 + 0,6636 * \Delta V + 0,5437 * \Delta V^2 + 5,422 * \Delta V^3 + 0,839 * \Delta T^2 - 1,455$$

$$* \Delta V * \Delta T$$

2. სამფაზა ცენტრალური კონდიცირების სისტემის კონდიციონერი

$$P_* = 1,0 + 0,42693 * \Delta V + 0,4879 * \Delta T + 1,005 * \Delta V^2 - 0,188 * \Delta T^2 - 0,154$$

$$* \Delta V * \Delta T$$

$$Q_* = 0,6957 + 2,3717 * \Delta V + 0,0585 * \Delta T + 5,817 * \Delta V^2 - 0,199 * \Delta T^2 - 0,597$$

$$* \Delta V * \Delta T$$

3. ოთახის კონდიციონერი

$$P_* = 1,0 + 0,2876 * \Delta V + 0,68767 * \Delta T + 1,241 * \Delta V^2 + 0,089 * \Delta T^2 - 0,558$$

$$* \Delta V * \Delta T$$

$$Q_* = 0,1485 + 0,3709 * \Delta V + 1,5773 * \Delta T + 1,286 * \Delta V^2 + 0,266 * \Delta T^2 - 0,438$$

$$* \Delta V * \Delta T$$

4. სამფაზა “ზამთარი-ზაფხული” –გათბობა

$$P_* = 1,0 + 0,4539 * \Delta V + 0,2860 * \Delta T + 1,314 * \Delta V^2 - 0,024 * \Delta V * \Delta T$$

$$Q_* = 0,9399 + 3,013 * \Delta V - 0,1501 * \Delta T + 7,46 * \Delta V^2 - 0,312 * \Delta T^2 - 0,216$$

$$* \Delta V * \Delta T$$

5. სამფაზა “ზამთარი-ზაფხული” –გაცივება

$$P_* = 1,0 + 0,2333 * \Delta V + 0,5915 * \Delta T + 1,362 * \Delta V^2 + 0,075 * \Delta T^2 - 0,093 * \Delta V$$

$$* \Delta T$$

$$Q_* = 0,9399 + 3,013 * \Delta V - 0,1501 * \Delta T + 7,46 * \Delta V^2 - 0,312 * \Delta T^2 - 0,216$$

$$* \Delta V * \Delta T$$

6. ერთფაზა “ზამთარი-ზაფხული” გათბობა

$$P_* = 1,0 + 0,3953 * \Delta V + 0,3563 * \Delta T + 1,679 * \Delta V^2 + 0,083 * \Delta V * \Delta T$$

$$Q_* = 0,3427 + 1,9522 * \Delta V - 0,0958 * \Delta T + 6,458 * \Delta V^2 - 0,225 * \Delta T^2 - 0,246$$

$$* \Delta V * \Delta T$$

7. ერთფაზა “ზამთარი-ზაფხული” გაცივება

$$P_* = 1,0 + 0,363 * \Delta V + 0,7673 * \Delta T + 2,101 * \Delta V^2 + 0,122 * \Delta T^2 - 0,759 * \Delta V$$

$$* \Delta T$$

$$Q_* = 0,3605 + 1,683 * \Delta V + 0,2175 * \Delta T + 10,055 * \Delta V^2 - 0,17 * \Delta T^2 - 1,642$$

$$* \Delta V * \Delta T$$

8. გაცივარი

$$P_* = 1,0 + 1,3958 * \Delta V + 9.881 * \Delta V^2 + 84.72 * \Delta V^3 + 293 * \Delta V^4$$

$$Q_* = 1.25075 + 4.387 * \Delta V + 23.801 * \Delta V^2 + 154 * \Delta V^3 + 555 * \Delta V^4$$

9. საყინულებელი

$$P_* = 1,0 + 1.3286 * \Delta V + 12.616 * \Delta V^2 + 133.6 * \Delta V^3 + 380 * \Delta V^4$$

$$Q_* = 1.381 + 4.67027 * \Delta V + 27.276 * \Delta V^2 + 293,0 * \Delta V^3 + 995 * \Delta V^4$$

10. სარეცხო განებანა

$$P_* = 1,0 + 1.2786 * \Delta V + 3.099 * \Delta V^2 + 5.939 * \Delta V^3$$

$$Q_* = 1,6388 + 4,5733 * \Delta V + 12,948 * \Delta V^2 + 55,677 * \Delta V^3$$

11. სარეცხოს საშრობი

$$P_* = 1,0 - 0.1968 * \Delta V - 3.6372 * \Delta V^2 - 28.32 * \Delta V^3$$

$$Q_* = 0.209 + 0.518 * \Delta V + 0.363 * \Delta V^2 - 4.7574 * \Delta V^3$$

12. ტელევიზორი

$$P_* = 1,0 + 1.2471 * \Delta V + 0.562 * \Delta V^2$$

$$Q_* = 0.2431 + 0.983 * \Delta V + 1.647 * \Delta V^2$$

13. ფლუროსცენტრი ნათურა

$$P_* = 1,0 + 0.6534 * \Delta V - 1.65 * \Delta V^2$$

$$Q_* = -0.1535 - 0.0403 * \Delta V + 2.734 * \Delta V^2$$

14. ვერცხლის ორთქლის ნათურა

$$P_* = 1,0 + 0.1309 * \Delta V + 0.504 * \Delta V^2$$

$$Q_* = -0.2524 + 2.3329 * \Delta V + 7.811 * \Delta V^2$$

15. ნატრიუმის ნათურა

$$P_* = 1,0 + 0.3409 * \Delta V - 2.389 * \Delta V^2$$

$$Q_* = 0.06 + 2.2173 * \Delta V + 7.62 * \Delta V^2$$

16. გარვარების ნათურა

$$P_* = 1,0 + 1.5209 * \Delta V + 0.223 * \Delta V^2; \quad Q_* = 0.0$$

17. ელექტროდუმელი

$$P_* = 1,0 + 2.1018 * \Delta V + 5.876 * \Delta V^2 + 1.236 * \Delta V^3; \quad Q_* = 0.0$$

18. მიკროტალდური ღუმელი

$$P_* = 1,0 + 0.0974 * \Delta V + 2.071 * \Delta V^2$$

$$Q_* = 0.2039 + 1.313 * \Delta V + 8.738 * \Delta V^2$$

19. წყლის გამათბობელი

$$P_* = 1,0 + 2.03769 * \Delta V + 2.003 * \Delta V^2; \quad Q_* = 0.0$$

20. საოჯახო ელექტროგამათბობელი, უთო

$$P_* = 1,0 + 2 * \Delta V + \Delta V^2; \quad Q_* = 0.0$$

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დატვირთვის სახეობებისა მოცემულია, აგრეთვე, ცალფაზა და სამფაზა ასინქრონული ძრავების სტატიკური მახასიათებლები:

21. ერთფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით

$$P_* = 1,0 + 0,35179 * \Delta V + 0.9122 * \Delta \tau + 3.721 * \Delta V^2 + 0.35 * \Delta \tau^2 - 1.326$$

$$* \Delta V * \Delta \tau$$

$$Q_* = 0.9853 + 2.7796 * \Delta V + 0.0859 * \Delta \tau + 7.368 * \Delta V^2 + 0.218 * \Delta \tau^2 - 1.799$$

$$* \Delta V * \Delta \tau$$

22. სამფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით (1-8 კვტ სიმძლავრის)

$$P_* = 1,0 + 0,225 * \Delta V + 0,9281 * \Delta \tau + 0,97 * \Delta V^2 + 0,086 * \Delta \tau^2 - 0,329 * \Delta V * \Delta \tau$$

$$Q_* = 0,781 + 2,3535 * \Delta V + 0,1023 * \Delta \tau + 5,951 * \Delta V^2 + 0,446 * \Delta \tau^2 - 1,48 * \Delta V * \Delta \tau$$

23. ერთფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით

$$P_* = 1,0 + 0,7101 * \Delta V + 0,9073 * \Delta \tau + 2,13 * \Delta V^2 + 0,245 * \Delta \tau^2 - 0,310 * \Delta V * \Delta \tau$$

$$Q_* = 0,9727 + 2,7621 * \Delta V + 0,077 * \Delta \tau + 6,432 * \Delta V^2 + 0,174 * \Delta \tau^2 - 1,412 * \Delta V * \Delta \tau$$

24. სამფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით (1-8 პლატფორმის )

$$P_* = 1,0 + 0,3122 * \Delta V + 0,9286 * \Delta \tau + 0,489 * \Delta V^2 + 0,081 * \Delta \tau^2 - 0,079 * \Delta V * \Delta \tau$$

$$Q_* = 0,7785 + 2,3648 * \Delta V + 0,1025 * \Delta \tau + 5,706 * \Delta V^2 + 0,13 * \Delta \tau^2 - 1,0 * \Delta V * \Delta \tau$$

25. სამფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით (8 პლატფორმის)

$$P_* = 1,0 + 0,0199 * \Delta V + 1,0463 * \Delta \tau + 0,341 * \Delta V^2 + 0,116 * \Delta \tau^2 - 0,457 * \Delta V * \Delta \tau \quad Q_* = 0,6577 + 1,2078 * \Delta V + 0,339 * \Delta \tau + 54,097 * \Delta V^2 + 0,289 * \Delta \tau^2 - 1,477 * \Delta V * \Delta \tau$$

26. სამფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით (8 პლატფორმის)

$$P_* = 1,0 + 0,1628 * \Delta V + 1,0514 * \Delta \tau - 0,099 * \Delta V^2 + 0,107 * \Delta \tau^2 - 0,061 * \Delta V * \Delta \tau$$

$$Q_* = 0,6569 + 1,2467 * \Delta V + 0,3354 * \Delta \tau + 3,685 * \Delta V^2 + 0,258 * \Delta \tau^2 - 1,235 * \Delta V * \Delta \tau$$

ზემოთ ჩამოთვლილი სტატიკური მახასიათებლები გამოიყენება კომპლექსური დატვირთვის მაჩვენებლიანი ან პოლინომური მოდელების შესაქმნელად

$$P_* = \frac{P}{P_o} \left[ \frac{V}{V_o} \right]^{\alpha_v} \left[ \frac{f}{f_o} \right]^{\alpha_f} \quad Q_* = \frac{Q}{P_o} \left[ \frac{V}{V_o} \right]^{\beta_v} \left[ \frac{f}{f_o} \right]^{\beta_f}$$

შეფარდება  $\frac{Q}{P_o}$  შეიძლება ვიპოვოთ როგორც

$$tg\varphi = \frac{q}{P_o} = \mp \sqrt{\frac{1}{\cos^2 \varphi} - 1} \quad \text{ან} \quad Q_* = tg\varphi \left[ \frac{V}{V_o} \right]^{\beta_v} \left[ \frac{f}{f_o} \right]^{\beta_f}$$

მდგრადობის ანალიზის ჩატარებისას უფრო ხშირად გამოიყენება კომპლექსური დატვირთვის პოლინომური მოდელი

$$P = P_o \left[ a_o + a_1 \left( \frac{V}{V_o} \right) + a_2 \left( \frac{V}{V_o} \right)^2 \right] [1 + d_p \Delta f]$$

$$Q = Q_o \left[ b_o + b_1 \left( \frac{V}{V_o} \right) + b_2 \left( \frac{V}{V_o} \right)^2 \right] [1 + d_p \Delta f]$$


ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრ.2.7) მოცემულია სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის მაჩვენებლიანი მოდელების შესაბამისი პარამეტრები. აქვე ნაჩვენებია ამ მომხმარებელთა  $\cos\varphi$ . ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით შედგენილი იქნა სხვადასხვა ტიპის ნათურების პოლინომური (ნახ.2.1,ა) და მაჩვენებლიანი მოდელის (ნახ2.1,ბ) სტატიკური მახასიათებლები. 2.2 ნახაზზე ნაჩვენებია ასინქრონული ძრავას პოლინომური მოდელის სტატიკური მახასიათებლები.

#### ცხრ.2.7. მაჩვენებლიანი მოდელების $\alpha_v$ , $\alpha_f$ , $\beta_v$ , $\beta_f$ პარამეტრები


ელექტრომომხმარებელი	$\cos\varphi$	$\alpha_v$	$\alpha_f$	$\beta_v$	$\beta_f$
გათბობის ღუმელი	1	2			
“ზამთარი-ზაფხული” ოჯახის კონდიციონერი	0,84	0,2	0,9	2,5	-1,3
“ზამთარი-ზაფხული” ცენტრალური კონდიციონერი	0,81	0,2	0,9	2,5	-2,7
ოჯახის კონდიციონერი	0,75	0,5	0,6	2,5	-2,8
წყლის გამაცხელებელი	1	2			
მაცივარი	0,84	0,8	0,5	2,5	-1,4
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	0,99	1,8	0	3,5	-1,4
სარეცხი მანქანა	0,65	0,08	2,9	1,6	1,8
ვარვარების ნათურები	1	1,54			
თეთრეულის საშრობი	0,99	2	0	3,3	-2,6
ტელევიზორი	0,77	2,00	5,2	-4,6	0
ფანი	0,73	0,08	2,9	1,6	1,8
ფლუროსცენტრული ნათურები	0,9	0,08	1	3	-2,8
ელექტროლიზი	0,9	1,8	-0,3	2,2	
რკალური ღუმელი	0,72	2,3	-1	1,61	-1
მცირე სიმძლავრის ძრავები	0,83	0,1	2,9	0,6	-1,8
დიდი სიმძლავრის ძრავები	0,89	0,05	1,9	0,5	1,2
სოფლის წყლის ტუმბოვები	0,85	1,4	5,6	1,4	4,2
ელსაღირების საკუთარი მოხმარება	0,8	0,08	2,9	1,6	1,8

მომხმარებელთა ცალკეული სახეობების მიხედვით დადგენილი მახასიათებლები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დატვირთვის ცალკეული ტიპის (ბინის, მინიმარკეტის, სუპერმარკეტის, ქუჩის

განათების, ლიფტების, დაწესებულებების, საამქროების და დიდი საწარმოებების) სტატიკური მახასიათებლები. ეს თავის მხრივ მოემსახურება სოფლის, დაბის და ქალაქის კომპლექსური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის მიღებას. ამ უკანასკვნელების საფუძველზე შეიძლება აიგოს საქსელო რაიონის კომპლექსური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები 220 ან 110 კვ ძაბვის დონეზე.



ნახ.2.1. განათების ნათურების პოლინომური (ა) და მაჩვენებლიანი (ბ) სტატიკური მახასიათებლები



ნახ. 2.2. ასინქრონული ძრავას პოლინომური სტატიკური მახასიათებელი

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკული სიზუსტის თვალსაზრისით, ელექტრომომებარებელთა დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებისთვის საკმარისია ვისარგებლოთ პოლინომის (მეორე ან მესამე რიგის) სახეში ჩაწერილი მათემატიკური მოდელით ძაბვის ფარდობითი მნიშვნელობის მიმართ. ვსარგებლობთ რა სხვადასხვა ავტორების მიერ

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული რეზულტატებით, ყველაზე მეტად გავრცელებული ელექტრომომხმარებელთა დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები, ჩაწერილი  $P_*=P/P_0$  და  $Q_*=Q/P_0$  სახეში, წარმოვადგინეთ შემდეგი გამოსახულებებით:

**A. საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომხმარებლები:**

1. ვარგარების ნათურები

$$P_* = -0,288 + 1,055 * U_* + 0,233 * U_*^2; \quad Q_* = 0.$$

2. ტელევიზორი

$$P_* = 0,315 + 0,123 * U_* + 0,562 * U_*^2; \quad Q_* = 0,907 - 2,311 * U_* + 1,647 * U_*^2.$$

3. წყლის გამაცხელებელი

$$P_* = 0,965 - 1,968 * U_* + 2,003 * U_*^2; \quad Q_* = 0.$$

4. საოჯახო ელექტროგამათბობელი, უთო

$$P_* = 1,0 * U_*; \quad Q_* = 0.$$

5. ელექტროდუმელი

$$P_* = 4,767 - 9,677 * U_* + 5,91 * U_*^2; \quad Q_* = 0.$$

6. მაცივარი

$$P_* = -75,182 + 236,852 * U_* - 246,54 * U_*^2 + 85,87 * U_*^3;$$

$$Q_* = 35,848 - 76,168 * U_* + 41,57 * U_*^2.$$

7. სარეცხი მანქანა

$$P_* = 2,48 - 4,58 * U_* + 3,1 * U_*^2; \quad Q_* = 8,82 - 20,13 * U_* + 12,95 * U_*^2.$$

8. მტვერსასრუტი

$$P_* = 4,204 - 6,924 * U_* + 3,72 * U_*^2; \quad Q_* = 5,58 - 11,96 * U_* + 7,368 * U_*^2.$$

**B. საზოგადოებრივი-კომუნალური მომხმარებლები:**

1. დიდი და პატარა მოცულობის სამაცივრო დანადგარები

$$P_* = -0,124 + 0,75 * U_* + 0,374 * U_*^2; \quad Q_* = 1,0 - 3,03 * U_* + 3,03 * U_*^2.$$

2. ფლუროსცენტრული ნათურები

$$P_* = -1,303 + 3,953 * U_* - 1,65 * U_*^2; \quad Q_* = 2,621 - 5,508 * U_* + 2,734 * U_*^2$$

3. ერთფაზა „ზამთარი-ზაფხული“ გათბობა

$$P_* = 2,284 - 2,963 * U_* + 1,679 * U_*^2; \quad Q_* = 4,849 - 10,964 * U_* + 6,458 * U_*^2.$$

4. ერთფაზა „ზამთარი-ზაფხული“ გაცივება

$$P_* = 2,738 - 3,839 * U_* + 2,101 * U_*^2; \quad Q_* = 8,732 - 18,427 * U_* + 10,055 * U_*^2.$$

5. ტელევიზორი

$$P_* = 0,315 + 0,123 * U_* + 0,562 * U_*^2; \quad Q_* = 0,907 - 2,311 * U_* + 1,647 * U_*^2.$$

#### 6. მაცივარი

$$P_* = -75,182 + 236,852 * U_* - 246,54 * U_*^2 + 85,87 * U_*^3;$$

$$Q_* = 35,848 - 76,168 * U_* + 41,57 * U_*^2.$$

#### 7. ერთფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით

$$P_* = 4,203 - 6,924 * U_* + 3,721 * U_*^2; \quad Q_* = 5,57 - 11,96 * U_* + 7,37 * U_*^2$$

#### 8. ერთფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით

$$P_* = 2,42 - 3,55 * U_* + 2,13 * U_*^2; \quad Q_* = 4,64 - 10,10 * U_* + 6,43 * U_*^2$$

### C. სამრეწველო საწარმოები და მათთან გათანაბრებული

#### მომხმარებლები:

##### 1. სამფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით (1-8 კვბ)

$$P_* = 1,745 - 1,715 * U_* + 0,97 * U_*^2; \quad Q_* = 4,379 - 9,548 * U_* + 5,95 * U_*^2$$

##### 2. სამფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით (1-8 კვბ)

$$P_* = 1,177 - 0,666 * U_* + 0,489 * U_*^2; \quad Q_* = 4,126 - 9,047 * U_* + 5,706 * U_*^2$$

##### 3. სამფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით, $P > 8$ კვბ

$$P_* = 1,321 - 0,662 * U_* + 0,341 * U_*^2; \quad Q_* = 3,547 - 6,986 * U_* + 4,097 * U_*^2$$

##### 4. სამფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით $P > 8$ კვბ

$$P_* = 0,738 + 0,361 * U_* - 0,099 * U_*^2; \quad Q_* = 3,095 - 6,123 * U_* + 3,685 * U_*^2$$

##### 5. ერთფაზა ასინქრონული ძრავა მუდმივი მომენტით

$$P_* = 4,203 - 6,924 * U_* + 3,721 * U_*^2; \quad Q_* = 5,57 - 11,96 * U_* + 7,37 * U_*^2$$

##### 6. ერთფაზა ასინქრონული ძრავა ცვლადი მომენტით

$$P_* = 2,42 - 3,55 * U_* + 2,13 * U_*^2; \quad Q_* = 4,64 - 10,10 * U_* + 6,43 * U_*^2$$

##### 7. სამფაზა „ზამთარი-ზაფხული“ გათბობა

$$P_* = 1,860 - 2,174 * U_* + 1,314 * U_*^2; \quad Q_* = 5,387 - 11,907 * U_* + 7,46 * U_*^2.$$

##### 8. სამფაზა „ზამთარი-ზაფხული“ გაცივება

$$P_* = 2,129 - 2,491 * U_* + 1,362 * U_*^2 \quad Q_* = 5,387 - 11,907 * U_* + 7,46 * U_*^2.$$

##### 9. კარბონულდის ღუმელები

$$P_* = -5,5 + 11,5 * U_* - 5,0 * U_*^2; \quad Q_* = 2,5 - 1,75 * U_*.$$

##### 10. რკალური ღუმელები

$$P_* = -14,94 + 54,62 * U_* - 63,16 * U_*^2 + 24,48 * U_*^3; \quad Q_* = 0.$$

##### 11. ინდუქციური ღუმელები

$$P_* = U_*^2 \quad Q_* = 3,2 * U_*^2.$$

12. ელექტროლიზური დანადგარები

$$P_* = 4,377 - 10,519 * U_* + 7,142 * U_*^2; \quad Q_* = 5,958 - 14,041 * U_* + 8,567 * U_*^2.$$

13. ელექტროწევა

$$P_* = U_*^2; \quad Q_* = 0,7 * U_*^2.$$

14. რეაქტიული სიმძლავრის დანაკარგები ტრანსფორმატორების ფოლადში

$$Q = Q_{\text{და}} * (0,4 + 0,6 * U_*^{11});$$

აქ  $Q_{\text{და}} = (0,08 \div 0,03) * S_0$  - რეაქტიული სიმძლავრის უქმი სვლის დანაკარგები ტრანსფორმატორში. კოეფიციენტის დიდი მნიშვნელობა აიღება დაბალი ძაბვის ტრანსფორმატორების შემთხვევაში, პატარა კი - მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორების შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ მომხმარებელთა შესახებ კონკრეტული მონაცემები არ არის ცნობილი, კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები ძაბვის მიხედვით (110-220 კვ ძაბვის დონეზე), რეკომენდირებულია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით [8]:


- აქტიური დატვირთვა

$$P_* = U_*;$$

- რეაქტიული დატვირთვა ( $Q_* = Q/Q_0$  სახეში)

$$Q_* = \frac{4,15}{tg\varphi_\beta} - \frac{9,5}{tg\varphi_\beta} * U_* + \left( \frac{5,3}{tg\varphi_\beta} + 1 \right) * U_*^2.$$

ამ ბოლო გამოსახულების მიხედვით აგებული მრუდები, სხვადასხვა  $tg\varphi_\beta$  ( $\cos\varphi_\beta$ ) მნიშვნელობებისთვის, ნაჩვენებია 2.3 ნახაზზე.



ნახ. 2.3. 110-220 კვ ძაბვის სალტეზე კომბინირებული რეაქტიული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები მომხმარებლის სხვადასხვა  $\cos\varphi_\beta$  მნიშვნელობებისას.

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა სახის ელექტრომიმღებთა სტატიკური მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ კონკრეტული სახის კომბინირებული (კომპლექსური) დატვირთვის სტატიკური მახასიათებელი და განვსაზღვროთ ამ მომხმარებელთა დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი ძაბვის მიხედვით.

### **2.3. კომბინირებული დატვირთვის სტატიკური**

#### **მახასიათებლები და მარეგულირებელი ეფექტი**

კომბინირებულ მომხმარებელთა სტატიკური მახასიათებლების შესაფასებლად განხილული იქნა ელექტრომიმღებთა სხვადასხვა თანაფარდობის შემადგენლობა მათი მაქსიმუმში მოხვედრის კოეფიციენტის გავალისწინებით.

**ერთი ოჯახის (ბინის)** კომბინირებული დატვირთვის შემადგენლობა, მათი მაქსიმუმში მოხვედრის კოეფიციენტებით, მოცემულია ქვემოთ:

- ვარგარების ნათურები 450 ვატი;  $K_{\text{ნათ}}=0,75$
- მაცივარი 150 ვატი;  $K_{\text{მაც}}=0,70$
- სარეცხი მანქანა 1200 ვატი;  $K_{\text{სარ}}=0,15$
- ტელევიზორი 80 ვატი;  $K_{\text{ტელ}}=0,90$
- ჟორ 1400 ვატი;  $K_{\text{ჟორ}}=0,25$
- წყლის გამაცხელებელი 1200 ვატი;  $K_{\text{წყალი}}=0,6$
- ელექტროგამათბობელი 1500 ვატი;  $K_{\text{გათ}}=0,15$
- მტვერსასრუტი 1200 ვატი.  $K_{\text{მტვ}}=0,2.$

ბინის მაქსიმალური (დადგმული) დატვირთვა  $\sum P = 7,18$  კვტ.

ამ ინფორმაციის მიხედვით ცალკეული ელექტრომიმღების სტატიკური მახასიათებელი (ფარდობით ერთულებში), შემდეგია:

- ვარგარების ნათურები

$$P=0,45(-0,288+1,055*U_*+0,233*U_*^2) \text{ კვტ; } Q=0$$

- მაცივარი

$$P=0,15(-75,182+236,852*U_*-246,54*U_*^2+85,87*U_*^3) \text{ კვტ; }$$

$$Q=0,15(35,848-76,168*U_*+41,57*U_*^2) \text{ კვარ; }$$

- სარეცხი მანქანა

$$P=1,2(2,48-4,58*U_*+3,1*U_*^2) \text{ ձՅՅ;}$$

$$Q=1,2(8,82-20,13*U_*+12,95*U_*^2) \text{ ձՅԱՐ;}$$

- ԾՅԼԵՅՈՒԹՅՈՒՆ

$$P=0,08(0,315+0,123*U_*+0,562*U_*^2) \text{ ձՅՅ;}$$

$$Q=0,08(0,907-2,311*U_*+1,647*U_*^2) \text{ ձՅԱՐ;}$$

- ԿՈՉ  $P=1,4(1,0*U_*^2)$  ձՅՅ;  $Q = 0$

- ՎԱՐԴՈՒՄ ՃԱՄԱՅԵԼՈՒԹՅՈՒՆ

$$P=1,2(0,965-1,968*U_*+2,003*U_*^2) \text{ ձՅՅ; } Q = 0;$$

- ՋԱՎԱՅՐՈՒԹՅՈՒՆ  $P=1,5(1,0*U_*^2)$  ձՅՅ;  $Q = 0$

- ԹՅԱՅՐՍԱՏՐՈՒՅՑՈՒՄ

$$P=1,2(4,204-6,924*U_*+3,72*U_*^2) \text{ ձՅՅ;}$$

$$Q=1,2(5,58-11,96*U_*+7,368*U_*^2) \text{ ձՅԱՐ;}$$

Թույլացնելու գամուսակայլեցնելու և պահպանության մեջ մասնակի գործությունը կատարվում է առաջնային գործությունում:

$$\begin{aligned} P_{\delta\omega} = & K_{\delta\omega}P_{\delta\omega} + K_{\partial\omega}P_{\partial\omega} + K_{\omega\sigma}P_{\omega\sigma} + K_{\phi\phi\omega}P_{\phi\phi\omega} + K_{\varphi\varphi\omega}P_{\varphi\varphi\omega} + K_{\beta\gamma\delta}P_{\beta\gamma\delta} + \\ & + K_{\varphi\varphi\beta}P_{\varphi\varphi\beta} + K_{\partial\phi\beta}P_{\partial\phi\beta} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} Q = & K_{\delta\omega}Q_{\delta\omega} + K_{\partial\omega}Q_{\partial\omega} + K_{\omega\sigma}Q_{\omega\sigma} + K_{\phi\phi\omega}Q_{\phi\phi\omega} + K_{\varphi\varphi\omega}Q_{\varphi\varphi\omega} + K_{\beta\gamma\delta}Q_{\beta\gamma\delta} + \\ & + K_{\varphi\varphi\beta}Q_{\varphi\varphi\beta} + K_{\partial\phi\beta}Q_{\partial\phi\beta} \end{aligned}$$

Ճիշտ գործությունը կատարվում է առաջնային գործությունում:

- ԱԺՅՈՒՐՈՒԹՅՈՒՆ ՃԱՑՄՈՒԹՅՈՒՆ

$$P=-2,807+12,449*U_*-13,209*U_*^2+5,796*U_*^3;$$

- ՌԵԱԺՅՈՒՐՈՒԹՅՈՒՆ ՃԱՑՄՈՒԹՅՈՒՆ

$$Q=5,409-11,791*U_*+7,017*U_*^2.$$

Այս գործությունը կատարվում է առաջնային գործությունում:

$$P_0=2,229 \text{ ձՅՅ} \text{ և } Q_0=0,634 \text{ ձՅԱՐ.}$$

Մասնակի գործությունը կատարվում է առաջնային գործությունում:


- ԱԺՅՈՒՐՈՒԹՅՈՒՆ ՃԱՑՄՈՒԹՅՈՒՆ

$$P_*=-1,259+5,585*U_*-5,926*U_*^2+2,600*U_*^3;$$

- ՌԵԱԺՅՈՒՐՈՒԹՅՈՒՆ ՃԱՑՄՈՒԹՅՈՒՆ

$$Q_* = 8,531 - 18,598 * U_* + 11,067 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებათა მიხედვით აგებული სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები წარმოდგენილია 2.4 ნახაზზე, სადაც  $P_0$  და  $Q_0$  აქტიური და რეაქტიული დატვირთვების მნიშვნელობებია  $U=U_0 = U_\delta$  ძაბვისას.




ნახ. 2.4. ერთი კონკრეტული ბინის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე;

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = 5,585 - 11,852 * U_* + 7,8 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -18,598 + 22,134 * U_*$$

ამ გამოსახულებებიდან ჩანს, რომ დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი სხვადასხვა მუშა ძაბვისას სხვადასხვაა (ნახ.2.5), რაც მიუთითებს მასზე, რომ სხვადასხვა მუშა ძაბვისას ძაბვის ერთიდაიგივე სიდიდით გადახრა დატვირთვის სხვადასხვა სიდიდით შეიცვლას გამოიწვევს. კერძოდ, ამაღლებული მუშა ძაბვის დროს ძაბვის გადახრა უფრო მეტი სიდიდით გამოიწვევს მომხმარებლის დატვირთვის ცვლლებას, ვიდრე ძაბვის იგივე სიდიდით გადახრა უფრო დაბალი ძაბვის შემთხვევაში. ჩვენს კერძო შემთხვევაში, თუ მუშა ძაბვა (0,80-0,85)  $U_\delta$ -ის ფარგლებში იცვლება, მომხმარებლის რეაქტიული დატვირთვა, პრაქტიკულად, არ იცვლება, რადგანაც რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი ძაბვის აღნიშნულ ფარგლებში თითქმის ნულის ტოლია.




ნახ.2.5. საცხოვრებელი ბინის კომბინირებული დატვირთვის  
მარეგულირებელი ეფექტი

მარეგულირებელი ეფექტის გამოყენებით ძაბვის ცვლილების შედეგად გამოწვეული დატვირთვების ცვლილებები გამოითვლება ფორმულებით

$$\Delta P = \frac{\partial P}{\partial U_*} \Delta V_* \quad \text{და} \quad \Delta Q = \frac{\partial Q}{\partial U_*} \Delta V_*$$

საცხოვრებელი ბინის კომბინირებული დატვირთვის ცალკეული ელექტრომიმღების სტატიკური მახასიათებლები მოცემულია 2.6 ნახაზზე.

ამ ნახაზიდან ჩანს, რომ ყველა ელექტრომომხმარებლისთვის, გარდა მტვერსასრუტისა, ძაბვის მიხედვით აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი დადგებითია. მტვერსასრუტის შემთხვევაში (ნახ.2.6,ე)  $U_* < 0,90 \div 0,92$  ძაბვის მნიშნელობებისას მარეგულირებელი ეფექტი უარყოფითია და  $U_* > 0,98 \div 1,0$  ძაბვის მნიშნელობებისას დადგებითი, ძაბვის  $U_* = 0,92 \div 0,98$  მნიშნელობებისას კი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. მაცივრის შემთხვევაში იგი,  $U_* = 1$ -ის მახლობლობაში, თოთქმის, ნულის ტოლია. სხვა ძაბვებზე კი დადგებითი. რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი მნიშნელოვნად სხვადასხვაა. კერძოდ: ვარვა-რების ნათურები, უთო, სახლის გამათბობელი, წყლის გასათბობი ავზი, რეაქტიულ სიმძლავრეს საერთოდ არ მოიხმარენ; ტელევიზორისთვის ეს ეფექტი დადგებითია; მაცივრის შემთხვევაში  $U_* < 0,92 \div 0,94$  ძაბვის მნიშნელობებისას მარეგულირებელი ეფექტი უარყოფითია და  $U_* > 0,92 \div 0,94$  ძაბვის მნიშნელობებისას დადგებითი, ძაბვის ამ მნიშნელობებისას კი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია.



ნახ. 2.6. საცხოვრებელი ბინის კომპლექსური დატვირთვის ცალკეული ელექტრომიმღების სტატიკური მახასიათებლები: ა) ვარგარების ნათურები; ბ) მაცივარი; გ) სარეცხი მანქანა; დ) ტელევიზორი; ე) მტვერსასრუტი; ვ) წყლის გამაცხელებელი.

ამ მომხმარებელთა, როგორც კომბინირებული დატვირთვის, სტატიკური მახასითებლის მიხედვით კი ჩანს, რომ რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი  $U_* = 0,80 \div 1,12$  ძაბვის შუალედში დადებითია. ძაბვის ამ ქვედა ზღვრულ მნიშვნელობებისას ნულის ტოლი ხდება და მის უფრო დაბალ მნიშვნელობაზე უარყოფითია.

**50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის კომბინირებული დატვირთვის შემადგენლობა** (ზამთრის სეზონი), მათი მაქსიმუმში მოხვედრის კოეფიციენტების გათვალისწინებით, მოცემულია ქვემოთ (ცხრ.2.8).

## ცხრ.2.8. 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დატვირთვა

ელექტრომიმღები	დატვირთვა $K_{\text{ძალ}} \cdot n \cdot P$ , კვტ.	
	საღამოს მაქსიმუმი	დილის მაქსიმუმი
გარვარების ნათურები	1,0·50·0,1=5,0	0,3·50·0,1=1,5
ტელევიზორი	1,0·50·0,08=4,0	0,3·50·0,08=1,2
მაცივარი	0,6·50·0,15=4,5	0,6·50·0,15=4,5
სარეცხი მანქანა	0,2·50·1,2=12,0	0,4·50·1,2=24,0
მტვერსასრუბი	0,1·50·1,2=6,0	0,3·50·1,0=15,0
წყლის გამაცხელებელი	0,2·50·3,0=30,0	0,1·50·3,0=15,0
უთო	1,0·50·1,2=6,0	0,2·50·1,2=12,0
სახლის გამათბობელი	0,8·40·1,5=48,0	0,1·40·1,5=6,0
კონდიციონერი “ზამთარი-ზაფხული”	0,8·10·4,0=32,0	0,1·10·4,0=4,0
ლიფტები	0,5·2·5=5,0	0,25·2·5=2,5
სულ	152,5	85,7

საღამოს მაქსიმუმში ცალკეულ ელექტრომიმღების სტატიკური მახასიათებელთა გათვალისწინებით ვდებულობთ:

- აქტიური დატვირთვა

$$P = -160,457 + 786,621 * U_* - 860,079 * U_*^2 + 386,415 * U_*^3;$$

- რეაქტიული დატვირთვა

$$Q = 459,432 - 1007,704 * U_* + 599,917 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებებითა თანახმად, როცა  $U=U_0 = U_5$ , გვაქვს

$$P_0 = 152,5 \text{ კვტ} \text{ და } Q_0 = 51,645 \text{ კვარ.}$$

შესაბამისად, სტატიკური მახასიათებლების  $P_* = P/P_0$  და  $Q_* = Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში:

- აქტიური დატვირთვის

$$P_* = -1,052 + 5,158 * U_* - 5,640 * U_*^2 + 2,534 * U_*^3;$$


- რეაქტიული დატვირთვის

$$Q_* = 8,896 - 19,512 * U_* + 11,616 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებითა მიხედვით აგებული სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები წარმოდგენილია 2.7 ნახაზზე, სადაც  $P_0$  და  $Q_0$  აქტიური და რეაქტიული დატვირთვების მნიშვნელობებია  $U=U_0 = U_5$  ძაბვისას.

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე;

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = 5,158 - 11,28 * U_* + 7,61 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -19,51 + 23,24 * U_*$$



ნახ.2.7. 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის  
დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

ანალოგიური გამოთვლებით შევადგინეთ ადმინისტრაციული შენობების და ოფისების კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების  $P_* = P/P_0$  და  $Q_* = Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები:

- აქტიური დატვირთვის

$$P_* = 2,292 - 3,108 * U_* + 1,692 * U_*^2 + 0,124 * U_*^3;$$

- რეაქტიული დატვირთვის

$$Q_* = 21,974 - 46,471 * U_* + 25,497 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებათა მიხედვით აგებული სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდები წარმოდგენილია 2.8.ა ნახაზზე, სადაც  $P_0$  და  $Q_0$  აქტიური და რეაქტიული დატვირთვების მნიშვნელობებია  $U = U_0 = U_5$  ძაბვისას.

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე:

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = -3,108 + 3,384 * U_* + 0,372 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -46,471 + 50,994 * U_*$$

დამის პერიოდში, შესაბამისად, გვაქვს:

- აქტიური დატვირთვა

$$P = 3,766 + 98,4936 * U_* - 125,28 * U_*^2 + 60,109 * U_*^3;$$

- რეაქტიული დატვირთვა

$$Q = 226,768 - 488,702 * U_* + 281,238 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებებათა თანახმად, როცა  $U = U_0 = U_5$ , გვაქვს

$$P_0 = 37,089 \text{ კვტ} \text{ და } Q_0 = 19,304 \text{ კვარ.}$$

შესაბამისად, სტატიკური მახასიათებლების  $P_*=P/P_0$  და  $Q_*=Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში:


- აქტიური დატვირთვის

$$P_* = 0,102 + 2,655 * U_* - 3,378 * U_*^2 + 1,621 * U_*^3;$$

- რეაქტიული დატვირთვის

$$Q_* = 11,747 - 25,316 * U_* + 14,569 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებათა მიხედვით აგებული სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები წარმოდგენილია 2.8.პ ნახაზზე, სადაც  $P_0$  და  $Q_0$  აქტიური და რეაქტიული დატვირთვების მნიშვნელობებია  $U=U_0 = U_b$  ძაბვისას.




ნახ.2.8. აღმინისტრაციული შენობების და ოფისების დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები: а) დღის პერიოდი; б) დამის პერიოდი

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე:

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = 2,655 - 6,756 * U_* + 4,863 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -25,316 + 29,138 * U_*.$$

შედარებისთვის, 2.9 ა,ბ ნახაზებზე ნაჩვენებია აღმინისტრაციული შენობების და ოფისების კომბინირებული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის ცვლილების გრაფიკები მუშა ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობისას.



ნახ.2.9. ადმინისტრაციული შენობების და ოფისების  
აქტიური (ა) და რეაქტიული (ბ) დატვირთვების მარეგულირებელი ეფექტი

როგორც 2.9 ნახაზიდან ჩანს, დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი დღისა და დამის პერიოდებში სხვადასხვა სიდიდისაა, რადგანაც მნიშვნელოვნად იცვლება კომბინირებული დატვირთვის შემადგენლობა. კერძოდ, თუ დღის პერიოდში ჯამურ დატვირთვაში კონდიციონირების ხვედრითი წილი შეადგენდა 89%-ს, დამის პერიოდში ეს წილი დაეცა 55%-მდე, მაშინ, როცა სამაცივრო დანადგარების ხვედრითი წილი 2,1%-დან (დღის პერიოდი) გაიზარდა 27,5%-მდე (დამის პერიოდი).

**მსხვილი სამრეწველო საწარმოს საწარმოს კომბინირებული დატვირთვის შემადგენლობაში შედის დიდი და პატარა სიმძლავრის სამფაზა ასინქრონული ძრავები, ერთფაზა ასინქრონული ძრავები, ელექტროლიზური დანადგარები, სამაცივრო დანადგარები, “ზამთარიზაფხული” ტიპის კონდიციონერები და ა.შ. საწარმოს ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1600 კვტ-ს.**

საწარმოს კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებს აქვს შემდეგი სახე:

$$P=1568,82-1233,751*U_*+465,859*U_*^2+257,61*U_*^3;$$

$$Q=4454,24-9410,71*U_*+5724,47*U_*^2.$$

ამ გამოსახულებებათა თანახმად, როცა  $U=U_0 = U_5$ , გვაქვს

$$P_0=1058,0 \text{ კვტ} \text{ და } Q_0=768,0 \text{ კვარ.}$$

შესაბამისად, სტატიკური მახასიათებლების  $P_* = P/P_0$  და  $Q_* = Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში:


- აქტიური დატვირთვის

$$P_* = 1,483-1,166*U_*+0,44*U_*^2+0,243*U_*^3;$$

- რეაქტოული დატვირთვის

$$Q_* = 5,8 - 12,254 * U_* + 7,454 * U_*^2.$$

სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები წარმოდგენილია  $2,10$  ნახაზზე, სადაც  $P_0$  და  $Q_0$  აქტიური და რეაქტოული დატვირთვების მნიშვნელობებია  $U=U_0 = U_\beta$  ძაბვისას.



ნახ.2.10. მსხვილი სამრეწველო საწარმოს  
კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე;

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = -1,166 + 0,88 * U_* + 0,729 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -12,254 + 14,908 * U_*$$

$$\text{როგორც ვხედავთ, } U=U_0 = U_\beta \text{ ძაბვისას } \frac{\partial P_*}{\partial U_*} = 0,443 \text{ და } \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = 2,656.$$

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ძაბვა შეიცვლება  $1\%-ით$ , მაშინ აქტიური დატვირთვა შეიცვლება  $0,443\%-ით$  ანუ  $1058 \cdot 0,443/100 = 4,69$  მგვტ-ით და რეაქტოული დატვირთვა შეიცვლება  $2,656\%-ით$  ანუ  $768 \cdot 2,656/100 = 20,4$  მგვარ-ით.

ქალაქის საცხოვრებელი რაიონის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის აგება და პლევა ჩავატაროთ მომხმარებელთა შემდეგი შემადგენლობისთვის:

- 50 კერძო საცხოვრებელი ბინა  $P = 50 \times 2,229 = 111,45$  კვტ -  $0,5\%$ ;
- 100 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსი  $P = 100 \times 152,5 = 15250$  კვტ -  $68,3\%$ ;
- 10 საწარმო ოფისი  $P = 10 \times 483,7 = 4837$  კვტ -  $21,7\%$ ;
- 2 მსხვილი სამრეწველო საწარმო  $P = 2 \times 1058 = 2116$  კვტ -  $9,5\%$ .

კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებს აქვს შემდეგი სახე:

$$P=-1475,184+61781,29*U_*-78038,909*U_*^2+40047,246*U_*^3;$$

$$Q=93977,767-202370,56*U_*+116892,715*U_*^2.$$

ამ გამოსახულებებითა თანახმად, როცა  $U_*=1$ , გვაქვს

$$P_0=22314,45 \text{ კვტ} \text{ და } Q_0=8499,9 \text{ კვარ.}$$

შესაბამისად, სტატიკური მახასიათებლების  $P_*=P/P_0$  და  $Q_*=Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში:

- აქტიური დატვირთვის

$$P_*= -0,066 + 2,769*U_* - 3,497*U_*^2 + 1,794*U_*^3;$$

- რეაქტიული დატვირთვის

$$Q_*= 11,076 - 23,808*U_* + 13,732*U_*^2.$$


სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები

წარმოდგენილია 2.11 ნახაზზე.

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე:

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = 2,769 - 6,994*U_* + 5,382*U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -23,808 + 27,464*U_*,$$

$$\text{შესაბამისად, } U_* = 1 \text{ ძაბვისას } \frac{\partial P_*}{\partial U_*} = 1,157 \text{ და } \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = 3,656.$$



ნახ.2.11. ქალაქის საცხოვრებელი რაიონის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

ქალაქის სამრეწველო რაიონის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების აგება და გვლევა ჩავატაროთ მომხმარებელთა შემდეგი შემადგენლობისთვის:

- 30 კერძო საცხოვრებელი ბინა  $P=30 \times 2,229=66,87 \text{ კვტ} - 0,27\%$ ;

- 20 50-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსი  $P = 20 \times 152,5 = 3050$  კვტ - 11,89%;
- 25 საწარმოო ოფისი  $P = 25 \times 483,7 = 12092,5$  კვტ - 46,89%;
- 10 მსხვილი სამრეწველო საწარმო  $P = 10 \times 1058 = 10580$  კვტ - 41,01%.

კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებს აქვს შემდეგი სახე:

$$P = 41320,307 - 33804,18 * U_* + 6297,344 * U_*^2 + 11977,734 * U_*^3;$$

$$Q = 151031,147 - 320062,028 * U_* + 182183,199 * U_*^2.$$

ამ გამოსახულებებითა თანახმად, როცა  $U_* = 1$ , გვაქვს

$$P_0 = 25791,21 \text{ კვტ და } Q_0 = 13152,32 \text{ კვარ.}$$

შესაბამისად, სტატიკური მახასიათებლების  $P_* = P/P_0$  და  $Q_* = Q/Q_0$  საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში:


- აქტიური დატვირთვის  $P_* = 1,602 - 1,311 * U_* + 0,245 * U_*^2 + 0,464 * U_*^3$ ;
- რეაქტიული დატვირთვის  $Q_* = 11,483 - 24,335 * U_* + 13,852 * U_*^2$ .

სტატიკური მახასიათებლების შესაბამისი მრუდეები წარმოდგენილია 2.12 ნახაზზე.

მიღებული მახასიათებლების მიხედვით დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის საანგარიშო გამოსახულებას აქვს სახე;

$$\frac{\partial P_*}{\partial U_*} = -1,311 + 0,49 * U_* + 1,392 * U_*^2 \quad \frac{\partial Q_*}{\partial U_*} = -24,335 + 27,704 * U_*,$$

შესაბამისად,  $U_* = 1$  ძაბვისას  $\frac{\partial P_*}{\partial U_*} = 0,571$  და  $\frac{\partial Q_*}{\partial U_*} = 3,369$ .



ნახ.2.12. ქალაქის სამრეწველო რაიონის კომბინირებული დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები

განხილული კონკრეტული შემთხვევების ზოგადი მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ 2.9 ცხრილში.

განხილული კონკრეტული შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძაბვის მიხედვით აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი,  $U_* = 1$  ძაბვის მახლობლობაში, როცა კომბინირებულ დატვირთვაში ჭარბობს საყოფაცხოვრებო-კომუნალური ელექტრომიმდებელი, მოთავსებულია  $1,3 \div 1,7$  ფარგლებში, ხოლო როცა კომბინირებულ დატვირთვაში ჭარბობს საზოგადოებრივი-კომუნალური ან სამრეწველო ხასიათის ელექტრომიმდებელი, მაშინ მარეგულირებელი ეფექტი მოთავსებულია  $0,4 \div 0,7$  ფარგლებში. უფრო მაღალი ძაბვებისას ( $U_* = 1,1 \div 1,2$ ) აღნიშნული ეფექტის რიცხვითი მნიშვნელობა შესაბამისად იზრდება  $2,0 \div 2,6$ -მდე და  $1,0 \div 1,5$ -მდე, ხოლო უფრო დაბალი ძაბვებისას ( $U_* = 0,8 \div 0,9$ ) მცირდება თითქმის 1-მდე და უფრო ქვევით. იმ შემთხვევაში, როცა კომბინირებულ დატვირთვაში ჭარბობს საზოგადოებრივი-კომუნალური ან სამრეწველო ხასიათის ელექტრომიმდებელი, აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი, ( $U_* = 0,8 \div 0,9$ ) ძაბვებისას, თითქმის ნულის ტოლია და შეიძლება უარყოფითიც კი გახდეს (საწარმოო ოფისი, ქალაქის სამრეწველო რაიონი). რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი  $U_* = 1$  ძაბვის მახლობლობაში  $2,5 \div 4,5$  ფარგლებში იცვლება. უფრო მაღალი ძაბვებისას ( $U_* = 1,1 \div 1,2$ ) 4-6 და უფრო მეტ მნიშვნელობებს აღწევს,  $U_* = 0,83 \div 0,85$  მნიშვნელობებისას ნულამდე მცირდება და კიდევ უფრო დაბალი ძაბვებისას ხდება უარყოფითი (ცხრ.2.10).

**ცხრ.2.9. კომბინირებული დატვირთვების მახასიათებელი პარამეტრები**

დასახელება	პარამეტრები											
	ფინანსურული მდგრადი დანართი		ფინანსურული მდგრადი დანართი		ფინანსურული მდგრადი დანართი		ფინანსურული მდგრადი დანართი		ფინანსურული მდგრადი დანართი		ფინანსურული მდგრადი დანართი	
	კმბ	%										
ვარვარების ნათურები	0,337	15,1	5,0	3,3	-		-		518	2,3	110	0,4
მაცივარი	0,105	4,7	4,5	3,0	0,7	0,1	12,0	1,1	487	2,2	230	0,9
სარეცხი მანქანა	0,18	8,1	12,0	7,8	-		-		1209	5,4	245	0,9
თელევიზო-რი	0,072	3,2	4,0	2,6	0,8	0,2	3,0	0,3	415	1,9	132	0,6
უთო	0,35	15,7	6,0	3,9	-		-		618	2,8	131	0,6
წყლის გამაცხელებელი	0,72	32,3	30,0	19,7	5,0	1,1	30,0	2,8	3146	14,1	1047	4,1
მგევრსას-რუბი	0,24	10,8	6,0	3,9	-		-		612	2,7	127	0,5
სახლის გამატბო-ბელი	-		48,0	31,5	-		-		4800	21,5	960	3,7
ელექტროგამატბობელი	0,225	10,1	-		-		-		11,0	0,1	7,0	0
კონდიციონურები	-		32,0	21,0	430	88,8	220	20,8	7940	35,6	13590	53
ფლუროს-ცენტრი ნათურები	-		-		11,5	2,4	85,0	8,0	285	1,3	1139	4,4
დიდი მოც. მაცივრები	-		-		10,0	2,1	35,0	3,3	170	0,8	600	2,3
კომპიუტერები	-		-		16,0	3,3	25,0	2,4	210	0,9	650	2,5
ლიფტები	-		5,0	3,3	9,0	1,9	15,0	1,4	120	0,5	375	1,6
სამფაზა ასინქ. ძრავები	-		-		-		210	19,8	420	1,9	2100	9,2
ერთფაზა ასინქრონული ძრავები	-		-		-		350	33,2	700	3,1	3500	13,6
ელექტროლიზური დანართი	-		-		-		55,0	5,2	110	0,5	550	2,1
სხვადასხვა	-		-		0,7	0,1	18,0	1,7	543	2,4	7,0	0
ჯამური დატვირთვა	2,229	100	152,5	100	484	100	1058	100	22315	100	25791	100
$\frac{\partial P_*}{\partial U_*}$ , $U_* = 1$	1,53		1,49		0,65		0,44		1,16		0,57	
$\frac{\partial Q_*}{\partial U_*}$ , $U_* = 1$	3,54		3,73		4,52		2,65		3,66		3,37	

### ცხრ.2.10. კომბინირებული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი

კომბინირებული დატვირთვის სახეობა	მარეგულირებელი	$U_*$						
		0,8	0,9	0,95	1,0	1,05	1,1	1,2
კერძო საცხოვრებელი ბინა	$\partial P_*/\partial U_*$	1,095	1,236	1,365	1,533	1,74	1,986	2,595
	$\partial Q_*/\partial U_*$	-0,891	1,323	2,429	3,536	4,643	5,75	7,96
50-ბინიანი საცხოვრებელი პორტუსი	$\partial P_*/\partial U_*$	0,999	1,164	1,303	1,48	1,70	1,95	2,57
	$\partial Q_*/\partial U_*$	-0,94	1,38	2,54	3,70	4,86	6,06	8,34
აღმინისტრაციული შენობები და ოფისები	$\partial P_*/\partial U_*$	-0,163	0,239	0,443	0,648	0,855	1,064	1,488
	$\partial Q_*/\partial U_*$	-5,68	-0,576	1,973	4,523	7,073	9,62	14,72
სამრეწველო საწარმო	$\partial P_*/\partial U_*$	0,005	0,216	0,328	0,443	0,562	0,684	0,94
	$\partial Q_*/\partial U_*$	-0,326	1,165	1,91	2,656	3,402	4,15	5,64
ქალაქი საცხოვრებელი რაიონი	$\partial P_*/\partial U_*$	0,619	0,835	0,983	1,158	1,36	1,59	2,13
	$\partial Q_*/\partial U_*$	-1,837	0,91	2,283	3,656	5,029	6,402	9,15
ქალაქის სამრეწველო რაიონი	$\partial P_*/\partial U_*$	-0,025	0,261	0,415	0,575	0,743	0,917	1,286
	$\partial Q_*/\partial U_*$	-2,172	0,599	1,984	3,369	4,754	6,139	8,91

როგორც აღნიშნული იყო, ელექტრული სისტემის დინამიკური მდგრადობის მოდელირება ხორციელდება მაღალი (500-220 კვ) ძაბვის ქსელისთვის. ამ შემთხვევაში უფრო დაბალი ძაბვის სალტებზე მიერთებული სხვადასხვა სახის მომხმარებელთა ჯამური დატვირთვა მიერთებული უნდა იქნეს მაღალი ძაბვის კვანძებში და, ამასთან, მათვის დადგენილი უნდა იქნეს აღეპვატური სახის სტატიკური მახასიათებლები. ცალკეული მომხმარებლის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები კი, როგორც წესი, ცნობილია 6-10 კვ ძაბვის დონეზე.

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ამოცანა, რომელიც გულისხმობს:

- სამომხმარებლო ქვესადგურების 6-10 კვ ძაბვის დონეზე დადგენილი იქნეს კომბინირებული დატვირთვის სტრუქტურა;
- ელექტრომიმდებების დატვირთვის რეალური სტატიკური მახასიათებელთა ბაზაზე დადგინდეს სამომხმარებლო ქვესადგურების 6-10 კვ ძაბვაზე მიერთებული კომბინირებული დატვირთვის ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებლები;
- მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილი იქნეს იმ კომბინირებული დატვირთვის ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებლები, რომლებიც კვებას დებულობს ელექტროსისტემის 220/110 კვ ძაბვის კონკრეტული ქვესადგურიდან;
- გამოკვლეული იქნეს და შეფასდეს კომბინირებული დატვირთვის ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებელზე ელექტროსისტემის 220/110 კვ ძაბვის მოცემული ქვესადგურიდან გამავალი 110-35 კვ ძაბვის გადაცემის ქსელის გავლენა.

## **დასკვნა თავი 2-ის მიმართ**

თავი 2-ში ჩატარებულია არსებული ტექნიკური ლიტერატურის მიმოხილვა, მოყვანილია სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული სტატიკური მახასიათებლების მათემატიკურად ჩაწერის მოდელები და გაანალიზებულია ამ მახასიათებელთა სახასიათო პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.

ამ თავში განხილულია კომბინირებული დატვირთვის კონკრეტული კერძო შემთხვევები. მათთვის შედგენილი იქნა პოლინომური სახის (მეორე-მესამე რიგის) სტატიკური მახასიათებლები და ყველა კონკრეტული შემთხვევისთვის გამოთვლილი იქნა დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტის რიცხვითი მნიშვნელობები.

დასმულია კომბინირებული დატვირთვის პოლინომური სახის სტატიკური მახასიათებლების დადგენის ამოცანა და ჩამოყალიბებულია ამ ამოცანის გადაწყვეტის მეთოდიკა ყოველი კონკრეტული ელექტროსისტემისთვის.

დადგენილი იქნა, რომ ადმინისტრაციული შენობებისა და საწარმოო ოფისებისთვის დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტი დღისა და დამის პერიოდებში სხვადასხვა სიდიდისაა (ნახ. 2.9). რაც განპირობებულია კომბინირებული დატვირთვის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილებით. ეს განსხვავება, როცა  $U_*=1$ , აქტიური დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტისთვის შეადგენს 16,17%-ს, ხოლო რეაქტიული დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტისთვის კი - 20,1%-ს. როცა  $U_*=0,95$ , შესაბამისად გვაქვს 34,2% და 18,07%, ხოლო  $U_*=1,05$  ძაბვისას კი გვაქვს 7,65% და 29,05%.

### **თავი 3. საქართველოს ენერგოსისტემაში მიმდინარე**

**გარდამავალი პროცესების ზოგადი ანალიზი**

#### **3.1. დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის გავლენა**

**გარდამავალი პროცესის მიმდინარეობაზე**

ენერგოსისტემაში გარდამავალი პროცესების მიმდინარეობაზე, როგორც ავღნიშნეთ (§2.3), მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ რა სახის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების მქონე მომხმარებლებია მიერთებული ელექტრულ ქსელზე. ქვემოთ განხილულია რამდენიმე მაგალითი, რომელთა განხილვის მიზანია მომხმარებელთა სხვადასხვა სახის დატვირთვის სტატიკური მახასიათებლებით წარმოდგენის შემთხვევაში გამოვავლინოთ რა მასშტაბებისა და ხასიათის გარდამავალი პროცესების მიმდინარეობას აქვს ადგილი ენერგოსისტემაში.

**მაგალითი 1.** საქართველოს ენერგოსისტემის პარალელური მუშაობა რუსეთის ენერგოსისტემასთან. სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზით “კავკასიონით” რუსეთის ენერგოსისტემიდან საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინებაა  $497+j10$  მგვა სიმძლავრე, ხოლო ახალციხის ქვესადგურიდან, მუდმივი დენის ჩანართის გავლით, თურქეთის ენერგოსისტემაში გაედინება 600 მგვტ. შეერთების ელექტრული სქემა, რომლის დროსაც განხილული იქნა სისტემის დინამიკური მდგრადობის მოდელირება და გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის ანალიზი, შეიცავს საქართველოს ენერგოსისტემის 500-220 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ქსელს, ქვესადგურებს, უშუალოდ ამ ქსელზე მიერთებულ ელექტროსადგურებს და 110 კვ ძაბვის იმ ქსელსა და ელექტროგადაცემის ხაზებს, რომელთა საშუალებით სისტემის დანარჩენი ელექტროსადგურები მიერთებულია მაღალი ძაბვის ქსელთან.

ეგე “კავკასიონის” ავარიული გამორთვა საქართველოს ელექტროსისტემაში იწვევს აქტიური სიმძლავრის დეფიციტს და სიხშირე იწყებს შემცირებას. შემდგომში, სიჩქარის რეგულატორების ზემოქმედებით, სიხშირე უბრუნდება ნორმალურ სიდიდეს. გარდამავალი პროცესი მოდელირებული იქნა PSS/E პროგრამული კომპლექსის საშუალებით სამ სხვადასხვა შემთხვევაში (ნახ.3.1). ერთ შემთხვევაში დატვირთვა წარმოდგენილი იყო მუდმივი სიდიდის გამტარობით, მეორე შემთხვე-


ვაში CLODBL (მაჩვენებლიანი სტატიკური მახასიათებელი) მოდელით და მესამეში შემთხვევაში IEELBL (პოლინომური სტატიკური მახასიათებელი) მოდელით. CLODBL და IEELBL დატვირთვის მოდელები PSS/E პროგრამული კომპლექსის თანდართული მოდელებია.

CLODBL მოდელი (ნახ.3.3)-ზე ნაჩვენები სახისაა, ხოლო IEELBL შემდეგი სახის ფუნქციაა:

$$P = P_{load}(a_1 U^{n1} + a_2 U^{n2} + a_3 U^{n3})(1 + a_7 \Delta f)$$

$$Q = Q_{load}(a_4 U^{n4} + a_5 U^{n5} + a_6 U^{n6})(1 + a_8 \Delta f).$$

$a_1, a_2 \dots a_8$  კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები დატვირთვის ტიპის მიხედვით აიღება შესაბამისი ცხრილებიდან.




### ნახ.3.1. PSS/E პროგრამული კომპლექსის საშუალებით მოდელირებული გარდამავალი პროცესი სამ სხვადასხვა შემთხვევაში

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს მუშა ძაბვისაგან დამოკიდებულებაში მომხმარებლის დატვირთვის ცვლილებას საგრძნობი გავლენა აქვს გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის მასშტაბებზე. კერძოდ, სხვა ერთნაირ პირობებში, თუ ძაბვის ცვლილებისას დატვირთვა იცვლება პოლინომური სტატიკური მახასიათებლის (IEELBL) კანონზომიერებით, მაშინ ენერგოსისტემაში აქტიური სიმძლავრის დეფიციტისას სიხშირის დაცემა ნაკლებად მოსალოდნელია, ვიდრე როცა დატვირთვის ცვლილების კანონზომიერება ძაბვის კვადრატის პროპორციულია ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$ ) ან დატვირთვა იცვლება მაჩვენებლიანი სტატიკური მახასიათებლის კანონზომიერებით (CLODBL). ნახ.3.1-დან ჩანს, რომ CLODBL მოდელის შემთხვევაში სიხშირე 0,75 ჰერცით მეტად შემცირდა (47,5 ჰ), ვიდრე IEELBL მოდელის შემთხვევაში (48,25 ჰ).  $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$  და

CLODBL მოდელების შემთხვევაში სიხშირის დაცემებს შორის განსხვავება შედარებით ნაკლებია (0,22 პც).

**მაგალითი 2.** სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზით “კავკასიონით” რუსეთის ენერგოსისტემიდან საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინება 500 მგვტ აქტიური სიმძლავრე და საქართველოს ენერგოსისტემიდან რუსეთის ენერგოსისტემაში გაედინება 234 მგვარ რეაქტიული სიმძლავრე



**ნახ.3.2 მაგალითი 2-ის მიხედვით სიხშირის ცვლილების მრუდეები**


„კავკასიონის“ ავარიული გამორთვისას საქართველოს ენერგოსისტემაში წარმოიქმნა აქტიური სიმძლავრის იგივე სიდიდის დეფიციტი, რაც წინა მაგალითში (500 მგვტ) და რეაქტიული სიმძლავრის დიდი სიჭარბე (234 მგვარ). რეაქტიული სიმძლავრის სიჭარბემ საქართველოს ენერგოსისტემაში გამოიწვია მუშა ძაბვის დონის რამდენადმე ამაღლება, რამაც, სტატიკური მახასიათებლის შესაბამისად, მომხმარებელთა დატვირთვის გაზრდა გამოიწვია. შედეგად, აქტიური სიმძლავრის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა და სიხშირე უფრო მეტად დაეცა, ვიდრე წინა მაგალითის შემთხვევებში. კერძოდ, IEELBL მოდელის შემთხვევაში სიხშირე დაეცა 48,1 პც-მდე, ნაცვლად 48,25 პერცისა წინა მაგალითის მიხედვით. ასევე, CLODBL მოდელის შემთხვევაში სიხშირე დაეცა 47,3 პც-მდე, ნაცვლად 47,5 პერცისა წინა მაგალითის მიხედვით (ნახ.3.2).

**მაგალითი 3.** სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზით “კავკასიონით” რუსეთის ენერგოსისტემიდან საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინება 500 მგვტ აქტიური სიმძლავრე და, აგრეთვე, 240


მგვარ რეაქტორის სიმძლავრე, რაც მკვეთრად განსხვავებულია წინა მაგალითებთან შედარებით.

„კაგბასიონის“ ავარიული გამორთვისას საქართველოს ენერგო-სისტემაში წარმოიქმნა როგორც აქტიური სიმძლავრის დეფიციტი (500 მგვტ), ასევე რეაქტორის სიმძლავრის დეფიციტი (240 მგვარ).

რეაქტორის სიმძლავრის დეფიციტმა, როგორც ეს მოსალოდნელია, საქართველოს ენერგოსისტემაში გამოიწვია მუშა ძაბვის დონის რამდენადმე შემცირება და, სტატიკური მახასიათებლის შესაბამისად, გამოიწვია მომხმარებელთა დატვირთვის შემცირება. შედეგად, აქტიური სიმძლავრის დეფიციტი რამდენადმე გაკომპენსირდა და სიხშირე შედარებით ნაკლები სიღიღით დაეცა, ვიდრე წინა მაგალითების შემთხვევებში. კერძოდ, IEELBL მოდელის შემთხვევაში სიხშირე დაეცა 48,37 ჰე-მდე, ნაცვლად 48,25 და 48,1 ჰერცისა წინა მაგალითების მიხედვით. ასევე, CLODBL მოდელის შემთხვევაში სიხშირე დაეცა 48,0 ჰე-მდე, ნაცვლად 47,5 და 47,3 ჰერცისა წინა მაგალითების მიხედვით (ნახ.3.3).



ნახ.3.3. მაგალითი 3-ის მიხედვით სიხშირის ცვლილების მრუდეები




ნახ.3.4. ქსელის დატვირტვის ცვლილება ძაბვის ცვლილებით

განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მომხმარებელთა დატვირთვის ძაბვისაგან დამოკიდებულების ხასიათს გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის მასშტაბზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

პირველ მაგალითში გარდამავალი პროცესების მიმდინარეობისას გაანალიზებული იქნა, აგრეთვე, ავარიის ლიკვიდაციის სასისტემა ავტომატიკის მოქმედება. კერძოდ, „ზუგდიდი-220“ ქვესადგურზე სიხშირული ავტომატური განტვირთვის (საგ) მოწყობილობის მოქმედება

(ნახ.3.4). ამ ნახაზიდან ჩანს, რომ საგ-ების მოქმედება დაგვიანებულია და ქვესადგურის დატვირთვის ცვლილებაც სხვადასხვაა სტატიკური მახასიათებელთა შესაბამისად.

500 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზზე “ქართლი-2”-ზე მოქლე შერთვის შემთხვევაში, დატვირთვის ცვლილების კანონზომიერება სხვადასხვა შედეგს იძლევა (ნახ.3.5). კერძოდ, თუ დატვირთვა იცვლება ძაბვის კვადრატის პროპორციულად ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$ ), მაშინ ორთაჭალა-ჰესის გენერატორი რჩება სინქრონიზმში, სხვა შემთხვევაში - არა.




ნახ.3.5 მაღალი ძაბვის გვანმში მიერთებული ჯამური დატვირთვის ცვლილების კანონზომიერება

სასისტემო ავარიების შემთხვევაში, როცა სისტემა მთლიანად “ქრება”, ძალიან მნიშვნელოვანია რომელიმე ელექტროსადგურის მუშაობაში შენარჩუნება, იმ მიზნით, რომ მისგან დაიწყოს სისტემის “აწყობა”. ასეთ სადგურად შეიძლება განვიხილოთ ჟინვალჰესი.

ელექტროსისტემას ჟინვალჰესი უკავშირდება 220 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზით „ლომისი“ და გარდა ამისა ეს სადგური ელექტროენერგიას აწვდის მცხეთა-თიანეთის რეგიონს 110-35 კვ ძაბვის ქსელით (ნახ.3.6). ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკა, რომელიც ამ სადგურზე უნდა განხორციელდეს, ითვალისწინებს ჟინვალჰესის ერთი გენერატორის გამოყოფას ელექტროსისტემიდან და გადართვას ზემოთ აღნიშნულ ავტონომიურ ქსელზე მუშაობის მდგრადობის შენარჩუნებით. ამ ამოცანის მოდელირებამ გვიჩვენა რომ ასეთ სიტუაციებშიც დატვირთვების ადეკვატური ასახვა ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

სასისტემო ავარიის წარმოქმნისას, გენერატორის გამომყოფი ავტომატიკა გამორთავს ტ-1 ტრანსფორმატორს და ჰესის გამოყოფილი

გენერატორი აღმოჩნდება მიერთებული მხოლოდ არნიშნულ ავტონო-მიურ ქსელზე.




ნახ.3.6. „ჟინგალი 220“ ქვესადგურის 110-35 კვ ძაბვის ქსელი

ნახადან ჩანს, ტ-1 ტრანსფორმატორის გამორთვის შემდეგ გამოყოფილ ავტონომიურ ქსელში აქტიური სიმძლავრის დეფიციტი შეადგენს 0,4 მგვტ-ს, ხოლო რეაქტიული სიმძლავრისა - 13,2 მგვარ-ს. რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტი გამოიწვევს ქსელში ძაბვის შემცირებას და შედეგად მცირდება მომხმარებლის აქტიური დატვირთვა. სიხშირე ამ ავტონომიურ ქსელში გაიზრდება. იმისდა მიხედვით თუ როგორია დატვირთვის სტატიკური მახასიათებელი, სიხშირის ეს ნაზრდი, სხვადასხვა იქნება. ნახ.3.7-დან ჩანს, რომ ეს განსხვავება საკმარისად მნიშვნელოვანია. კერძოდ: თუ მოცემულ ავტონომიურ ქსელში მომხმარებლის დატვირთვა ძაბვის კვადრატის პირდაპირპორციულია ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$  მოდელი), მაშინ სიხშირის მაქსიმალური ნაზრდი აღწევს 3,4 ჰც-ს; თუ დატვირთვის ძაბვისაგან დამოკიდებულება პოლინომური ხასიათისაა, მაშინ სიხშირის მაქსიმალური ნაზრდი აღწევს 4,5 ჰც-ს; ხოლო თუ დატვირთვის ძაბვისაგან დამოკიდებულება მაჩვენებლიანი ხასიათისაა, მაშინ სიხშირის მაქსიმალური ნაზრდი აღწევს 5,5 ჰც-ს.

დატვირთვის ძაბვისაგან დამოკიდებულობის რეალური ასახვა აუცილებელია, აგრეთვე, ელექტრისისტების მ-1 რეჟიმების ანალიზი-სთვის. კერძოდ, საქართველოს ელექტროსისტების ერთეული სახასიათო რეჟიმში განხილული იქნა 500 კვ ძაბვის “იმერეთის” ავარიული ამორ-თვის შემთხვევა (ავარიისწინა რეჟიმში ეგე „იმერეთში“ ენგუშესიდან ზესტაფონის მიმართულებით გაედინებოდა  $373+ j66$  მგვა სიმძლავრე), რამაც მოგვცა შემდეგი სახის შედეგები:

- თუ მომხმარებელთა დატვირთვები გამოსახულია მუდმივი გამტარობებით ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$  მოდელი), მაშინ ეგებ “კოლხიდა-2” დაიტვირთება  $218+j40$  მგვა-მდე, ეგებ “კოლხიდა 2δ” კი  $270+j14$  მგვა-მდე;
- თუ დატვირთვები გამოსახულია პოლინომური მახასიათებლის სახით  $P = P_0(0.25 + 0.25U + 0.5U^2)$  და  $Q = Q_0(0.25 + 0.25U + 0.5U^2)$  პოლინომებით, მაშინ ეგებ “კოლხიდა-2”.



ნახ.3.7. სისტერის ნაზრდი მომხმარებლის დატვირთვის ცვლილებისას


### 3.2. რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობა და გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის ანალიზი

ელექტრულ სისტემაში ავარიული სიტუაციის დროული და ეფექტური ლიკვიდაციის ერთეულთ დონისძიებად განიხილება აქტიური დატვირთვის ავტომატური გამორთვა.


განვიხილოთ შემთხვევა, როცა საქართველოს ელექტრული სისტემა დაკავშირებულია თურქეთის სისტემასთან მუდმივი დენის ჩანართით და, იმვდროულად, სინქრონულად მუშაობს აზერბაიჯანის ელექტროსისტემასთან. თურქეთში გაედინება 200 მგვტ აქტიური სიმძლავრე, ეგებ „მუხრანის“ ხაზით აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოედინება  $640+j106$  მგვა სიმძლავრე. გარდამავალი პროცესების მიმდინარეობა შესწავლილია იმ დაშვებით, რომ მომხმარებელთა დატვირთვა ძაბვის კვადრატის პროპორციულია ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$ ).

„მუხრანის“ ავარიული გამორთვა საქართველოს ენერგიისისტემაში იწვევს აქტიური სიმძლავრის დეფიციტს და სიხშირე იწყებს მკვეთრ შემცირებას. ავარიის ლიკვიდაციის სასისტემო ავტომატიკის მუშაობის პრინციპი თანახმად, „მუხრანის“ გამორთვის ფაქტით, ავტომატურად გამოირთვება გარკვეული სიდიდის აქტიური დატვირთვა.

„მუხრანის“ გამორთვის შემდეგ სისტემაში წარმოიქმნა არა მარტო აქტიური, არამედ რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტიც (106 მგვარ). რაც სამომხმარებლო კვანძებში იწვევს ძაბვების შემცირებას და შედეგად მცირდება სისტემის მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრეც. ეს შემცირება შეადგენს 120 მგვტ-ს (ნახ.3.8). ძაბვის რეგულატორების მოქმედებით ქსელში ძაბვები რამდენადმე ამაღლდა და დატვირთვაც მცირდედ (დაახლოებით 60 მგვტ-ით) გაიზარდა. ნახ.3.9-ზე ნაჩვენებია დატვირთვის ცვლილება 110 კვ ძაბვის „დიღომის“ ქვესადგურში. „მუხრანის“ გამორთვის მომენტიდან 0,25 წამში, ავტომატიკის მოქმედებით გამორთული იქნა 440+J220 მგვა დატვირთვა. ამ მაგალითის მოდელირებისას არ გავითვალისწინეთ საგების შესაძლო მოქმედება, რათა არ „დაგვეჩრდილა“ პროცესი. სიხშირე ელექტროსისტემაში იცვლება ნახ.3.10-ზე ნაჩვენები კანონზომიერებით.



ნახ.3.8. სისტემის მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე სისტემის მოქმედებით




ნახ.3.9. დატვირთვის ცვლილება 110 კვ ძაბვის „დიღომის“ ქვესადგურში

თუ დატვირთვებს გამოვსახავთ პოლინომური სტატიკური მახასიათებლებით, მაშინ მივიღებთ სიხშირი ცვლილების განსხვავებულ კანონზომიერებას. ამ კანონზომიერების დასადგენად ჩატარებული იქნა „მუხრანის“ ხაზის გამორთვის შემთხვევები, როცა ამ ხაზში გამავალი

აქტიური სიმძლავრე უცვლელია და იცვლება რეაქტიული სიმძლავრის სიდიდე და მიმართულება (ცხრ.3.1):

- გადადინება “მუხრანზე”  $P=0$ ;
- გადადინება “მუხრანზე”  $P=62$  მგვტ აზერბაიჯანისკენ;
- გადადინება “მუხრანზე”  $P=75$  მგვტ საქართველოსკენ.



ნახ.3.10. სიხშირის ცვლილება ელექტროსისტემაში


ცხრ.3.1. “მუხრანის” ხაზზე აქტ. და რეაქტ. სიმძლავრის სიდიდეები სამ სხვადასხვა რეჟიმში

აქტიური სიმძლავრის დინება “მუხრანის” ხაზზე		
რეჟიმი 1	რეჟიმი 2	რეჟიმი 3
$P=0$ მგვტ	$P=63$ მგვტ, (ექსპორტი)	$P=-75$ მგვტ, (იმპორტი)
რეაქტიული სიმძლავრის იმპორტი		
$Q=265$ მგვარ	$Q=286$ მგვარ	$Q=227$ მგვარ
$Q=141$ მგვარ	$Q=177$ მგვარ	$Q=164$ მგვარ
$Q=91$ მგვარ	$Q=57$ მგვარ	$Q=116$ მგვარ
$Q=15$ მგვარ	$Q=0$ მგვარ	$Q=34$ მგვარ
$Q=24$ მგვარ	$Q=74$ მგვარ	$Q=33$ მგვარ
$Q=118$ მგვარ	$Q=184$ მგვარ	$Q=83$ მგვარ


გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის სურათი ნაჩვენებია ქვემოთ ნახაზებზე (ნახ.3.11, 3.12, 3.13) სისტემაში სიხშირის ცვლილების სახით. როგორც ვხედავთ სიხშირის გადახრაზე გავლენას ახდენს რეაქტიული სიმძლავრის სიდიდე, რომელიც გაედინება “მუხრანის” ხაზში მის ამორთვამდე.

მომდევნო ნახაზზე (ნახ.3.14) ნაჩვენებია, მოცემული სიდიდის აქტიური სიმძლავრის გადადინებისას, სიხშირის გადახრის დამოკიდებულება ხაზში გამავალი რეაქტიული სიმძლავრის სიდიდესა და მიმართულებაზე. ნახაზიდან ჩანს, რომ თუ მოცემული სიდიდის აქტიური სიმძ-


ლაგრის დინებას თან ახლავს გარკვეული სიდიდის რეაქტიული სიმძლავრის დინება, მაშინ სიმძლავრის მიმღებ სისტემაში სიხშირის ცვლილებას ადგილი არ აქვს. კერძოდ საქართველოს ენერგოსისტემაში სიხშირის გადახრას ადგილი არ ექნება თუ 63 მგვტ აქტიური სიმძლავრის გადინებისას ადგილი აქვს, აგრეთვე 79 მგვარ რეაქტიული სიმძლავრის გადინებას. ხოლო, 75 მგვტ აქტიური სიმძლავრის შემთხვევაში ადგილი აქვს 61 მგვარ რეაქტიული სიმძლავრე.




ნახ.3.11. სიხშირის ცვლილება,  
როცა  $P=0$  მგვტ



ნახ.3.12. სიხშირის ცვლილება,  
როცა  $P=63$  მგვტ



ნახ.3.13. სიხშირის ცვლილება,  
როცა  $P=-75$  მგვტ



ნახ.3.14. სიხშირის ცვლილება ხაზში  
გამავალი რეაქტიული სიმძლავრის  
სიდიდესა და მიმართულების მიხედვით

სიხშირის სტაბილურობის პირობით ხაზში გამავალ აქტიურ და რეაქტიულ სიმძლავრეთა ზემოთ აღნიშნული თანაფარდობა გამომდინარეობს დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტით.

### 3.3. აქტიური სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის ამოცანა რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის გათვალისწინებით

სისტემათაშორისი ელექტროგადაცემის ხაზის ავარიული გამორთვისას, სიმძლავრის მიმღებ სისტემაში წარმოქმნილი აქტიური სიმძლავრის უბალანსობა განისაზღვრებს (1.11) გამოსახულებით (პარ. 1.3)

$$P_{\mathcal{P}} = P_2 - \frac{Q_2 \cdot G}{B_L - B_C}.$$

ცხადია, რომ სიხშირის სტაბილურობის მიზნით, მიმღებ სისტემაში უნდა აღმოფხვრათ სიმძლავრის უბალანსობა  $P = P_{\mathcal{P}}$  სიდიდით. ამ შემთხვევაში სიხშირე სისტემაში სტაბილური გახდება.

რეალურად მიმხმარებლის აქტიური დატვირთვის გამორთვას (აქტიური სიმძლავრის გენერაციის შემცირებას) თან სდევს რეაქტიული დატვირთვის გამორთვაც (რეაქტიული სიმძლავრის გენერაციის შემცირება). თუ აქტიური სიმძლავრის დეფიციტის ( $P = P_2 - \frac{Q_2 \cdot G}{B_L - B_C} > 0$ ) აღმოფხვრის მიზნით გამორთული დატვირთვის ეკვივალენტური გამტარობებია  $G'$  და  $B'$ , მაშინ სისტემის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება (1.10) ჩაიწერება შემდეგ სახეში

$$T_j \cdot \frac{ds}{dt} = \frac{P_1}{(1+s)} - \frac{Q_1 \cdot (G - G')}{(B_L - B_C) - B'} \neq 0$$

ანუ

$$T_j \cdot \frac{ds}{dt} = \frac{P_1}{(1+s)} - \frac{Q_1 \cdot (G - G')}{(B_L - B_C) - G' \cdot \operatorname{tg}\varphi} \neq 0, \quad (3.1)$$

სადაც

$$\operatorname{tg}\varphi = \frac{B'}{G'} = \frac{\sqrt{1 - \cos^2 \varphi}}{\cos \varphi}.$$

აქ  $\cos \varphi$  გამორთული მომხმარებლის აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტი.

(3.1) გამოსახულებიდან ჩანს გამორთული მომხმარებლის  $\cos \varphi$  გაფლენას ახდენს ავარიის შემდგომ რეჟიმში დამყარებული სიხშირის სიდიდეზე, რადგანაც აქტიური დატვირთვის გამორთვასთან ერთად ადგილი აქვს რეაქტიული დატვირთვის გამორთვასაც და შედეგად, ძაბვის ამაღლების გამო იზრდება რა მუშაობაში დარჩენილი მომხმარებლების

აქტიური დატვირთვა, ვერ ვღებულობთ აქტიური სიმძლავრის უბალანსობის სრულ აღმოფხვრას.


ჩატარებული იქნა გაანგარიშებები აქტიური სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის მიზნით შემდეგი საწყისი მონაცემების პირობებში:

- საქართველოს გენერაცია  $P_1+jQ_1=1100+j405$  მგვა;
- იმპორტი აზერბაიჯანიდან  $P_2+jQ_2=275+j31$  მგვა.

თუ ბაზისურ სიმძლავრედ ავიდებთ  $S_{\text{აზ.}}=100$  მგვა, მაშინ გვაძება:

$$P_1=11; \quad Q_1=4,05; \quad P_2=2,75; \quad Q_2=0,31; \quad P_{\text{დატვ. 0}}=13,75.$$

ხაზის ავარიული ამორთვის შემთხვევაში წარმოქმნილი სიმძლავრის უბალანსობის აღმოფხვრის მიზნით, რიგრიგობით გამოვრთეთ სხვადასხვა  $\cos\varphi$ -ის მქონე სხვადასხვა  $\Delta P$  სიდიდის დატვირთვები. მივიღეთ, რომ როცა  $\cos\varphi=1$ , მაშინ სისტემის ჯამური დატვირთვა ზუსტად გამორთული დატვირთვის სიდიდით შემცირდა (მონაკვეთი  $k_0k_1$ , ნახ.3.15). ხოლო, როცა  $\cos\varphi \neq 1$ , მაშინ სისტემის ჯამური დატვირთვა ნაკლები სიდიდით შემცირდა, ვიდრე გამორთული დატვირთვაა. უფრო მეტიც, როცა  $\cos\varphi = 0,894$ , მაშინ სისტემის ჯამური დატვირთვა არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც (მონაკვეთი  $k_0k_4$ ). ცხადია, რომ ამ ბოლო შემთხვევაში აქტიური დატვირთვის გამორთვასთან (100 მგვტ) ერთად, შედარებით, დიდი სიდიდის რეაქტიული დატვირთვის გამორთვამ (44,8 მგვარ) იმდენად აამაღლა ძაბვის დონე, რომ მუშაობაში დარჩენილი მომხმარებლების დატვირთვა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე გამორთული აქტიური დატვირთვაა (ნახ.3.15).



ნახ.3.15. “მუხრანის” ხაზის ავარიული ამორთვის შემთხვევაში

სისტემაში წარმოქმნილი აქტიური სიმძლავრის უბა-

ლანსობის აღმოფხვრის მიზნით გამორთული სხვადა-

სხვა  $\cos\varphi$ -ის მქონე სხვადასხვა  $\Delta P$  სიდიდის აქტიური დატვირთვები


უნდა ავდნიშნოთ, რომ ეს დასკვნა გაკეთებულია იმ შემთხვევის, როცა საანგარიშო სქემაზე მომხმარებელთა დატვირთვები წარმოდგენილია მუდმივი გამტარებლობებით ( $g=\text{const}$ ,  $b=\text{const}$ ). ცხადია, რომ დატვირთვების სხვა სახის სტატიკური მახასიათებლებით წარმოდგენის შემთხვევაში შედეგები განსხვავებული იქნება.

ამრიგად მივიღეთ, რომ აქტიური სიმძლავრის დეფიციტისას, განსაზღვრული სიდიდის აქტიური დატვირთვის გამორთვის ეფექტი იქნება მაქსიმალური, თუ გამორთული მომხმარებლის სიმძლავრის კოეფიციენტი, ავარიის წინა მომენტში,  $\cos\varphi=1$  ან 1-თან მიახლოებულია.

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ განვიხილეთ გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერება საქართველოს ენერგოსისტემაში, როცა ის პარალელურად მუშაობს ზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან ეგე “მუხრანის” გავლით და ამ ხაზით საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინება  $365+j107$  მგვა სიმძლავრე.

“მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვის შემდეგ 0,25 წამში სასისტემო ავტომატიკამ გამორთო  $360+j204$  მგვა ჯამური დატვირთვა. ანუ გამორთული აქტიური დატვირთვა შეესაბამება აქტიური სიმძლავრის დეფიციტს, ხოლო გამორთული რეაქტიული დატვირთვა ( $204$  მგვარ) თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მისი დეფიციტი ( $107$  მგვარ). ამ შემთხვევაში სისტემაში სიხშირის ცვლილება მიმდინარეობს მრუდი 1-ის კანონზომიერებით (ნახ.3.16). თუ გამოსართავი მომხმარებლის რეაქტიული დატვირთვა ავარიისწინა რეჟიმში სრულად გაკომპენსირებული იქნებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომატიკა გამორთავს  $360+j0$  მგვა ჯამურ დატვირთვას, მაშინ სიხშირის ცვლილებას ექნება ნახ.3.16-ზე ნაჩვენები მრუდი 2-ის ფორმა. აშკარად ჩანს, რომ რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტმა ადეკვატური კორექტირება შეიტანა აქტიური სიმძლავრის დეფიციტში და სიხშირე სისტემაში უფრო მაღალია. თუ გაკომპენსირებული რეაქტიული დატვირთვის დროს სასისტემო ავტომატიკით გამოვრთავთ არა  $360$  მგვტ აქტიურ დატვირთვას, არამედ  $300$  მგვტ-ს, მაშინ სისტემაში სიხშირის ცვლილებას ექნება ნახ.3.16-ზე ნაჩვენები მრუდი 3-ის ფორმა, რაც ბევრად არ განსხვავდება მრუდი 1-საგან. მაშასადამე, გაკომპენსირებული რეაქტიული დატვირთვის მქონე

მომხმარებლის გამორთვამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა ავარიულად გამორთული მომხმარებლების დატვირთვა 60 მგვტ-ით.




**ნახ.3.16. “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას ელექტროსისტემაში სიხშირის ცვლილების მრუდი**

როცა საქართველოს ელექტროსისტემაში შემოედინება  $580+j100$  მგვა, მაშინ “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას გარდამავალი პროცესის მიმდინარეობის სურათი ნახ.3.17-ზე. აქ მრუდი 1 შეესაბამება ავტომატიკით  $575+j312$  მგვა ჯამური დატვირთვის გამორთვის შემთხვევას, მრუდი 2 - მხოლოდ 575 მგვტ-ის გამორთვას (რეაქტიული დატვირთვა გაკომპენსირებულია) და მრუდი 3 - შემთხვევას, როცა გაკომპენსირებული რეაქტიული დატვირთვის პირობებში ავტომატიკით გამოირთო 65 მგვტ-ით ნაკლები აქტიური დატვირთვა. ანალოგიური სურათია (ნახ.3.18), როცა აზერბაიჯანიდან შემოედინება  $1186+j117$  მგვა სიმძლავრე და სასისტემო ავტომატიკის მოქმედებით გამოირთვება:

1.  $1175+j362$  მგვა ჯამური დატვირთვა;
2.  $1175+j0$  მგვტ ჯამური დატვირთვა;
3.  $1115+j0$  მგვტ ჯამური დატვირთვა.

განხილული მაგალითებში აზერბაიჯანიდან საქართველოს ენერგოსისტემაში შემოედინებოდა 110-117 მგვარ რეაქტიული სიმძლავრე და “მუხრანის” ავარიული ამორთვისას რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტმა ისეთი მასშტაბით იმოქმედა ძაბვის დონეზე, რომ გაკომპენსირებული რეაქტიული დატვირთვის პირობებში შესაძლებელი ხდება ავარიის ლიკვიდაციისას რამდენადმე შეგვემცირებინა მიუწოდებელი ელექტროენერგიის მოცულობა. რაც მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლების ტოლფასია.



ნახ.3.17. “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას გარდამაგალი პროცესის მიმდინარეობის სურათი როცა აზერბაიჯანიდან საქართველოს ელექტროსისტემაში შემოედინება  $580+j100$  მგვა

ნახ.3.18 “მუხრანის” ხაზის ავარიულად გამორთვისას გარდამაგალი პროცესის მიმდინარეობის სურათი, როცა აზერბაიჯანიდან საქართველოს ელ.სისტემაში შემოედინება  $1186+j117$  მგვა

### დასკვნა თავი 3-ის მიმართ

თავი 3-ში გაანალიზებულია საქართველოს ენერგოსისტემაში გარდამაგალი პროცესების მიმდინარეობა სხვადასხვა სახეში (მოდელით) ჩაწერილი დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

შეფასებულია ამ პროცესების მიმდინარეობა რეაქტიული სიმძლავრის სხვადასხვა ხარისხით უბალანსობის პირობებში.

დადგინდა, აქტიური სიმძლავრის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, გამორთული მომხმარებლების  $\cos\varphi$ -ის გავლენა ამ მიზნის მიღწევაზე.

$\cos\varphi$ -ის გავლენის გათვალისწინებით, ავარიის საწინააღმდეგო სასისტემო ავტომატიკის მოქმედების ლოგიკის სათანადო შერჩევის შესაბამისად, დადგენილი იქნა კონკრეტული ავარიის ლიკვიდაციისას მომხმარებლებისადმი მიუწოდებელი ელექტროენერგიის მოცულობის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა.

## **თავი 4. საქართველოს ელექტროენერგეტიკული რეგიონების დატვირთვათა სტრუქტურიზაცია**

### **4.1. საქართველოს ენერგოსისტემის**

#### **ელექტროენერგეტიკული რეგიონები**

საქართველოს ელექტროსისტემის გადაცემის ქსელის კონფი-  
გურაციის თავისებურებიდან გამომდინარე, 220/110 კვ ძაბვის სადაბ-  
ლებელ ქვესადგურებს შორის 110 კვ ძაბვის კავშირი ნორმალურ რეჟი-  
მებში არ ფუნქციონირებს (ნორმალურად გამორთულია). აქედან გამომ-  
დინარე, ქვეყნის ელექტრომიმდებები, პრაქტიკულად, დაყოფილია 110/35  
კვ ძაბვის მანაწილებელ (ავტონომიურ) ელექტროქსელებად და მათი  
ელექტროენერგიით კვების წყაროებს წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნული  
ქვესადგურები და ამ ქსელებში არსებული ელექტროსადგურები.

მაშასადამე, საქართველოს ენერგოსისტემის გადაცემის ქსელი  
შეიძლება პირობითად დავყოთ 13 რეგიონად, რომელთაგანაც  
თითოეული ხასიათდება ინდივიდუალური თავისებურებებით:

1. აფხაზეთი - დიდი ჰიდროპოტენციალით, დაბალი გენერაციითა  
და შედარებით მაღალი მოხმარებით;
2. სამეგრელო-სვანეთი - არსებული და პოტენციური მძლავრი ჰიდ-  
როგენერაციით, შედარებით უფრო დაბალი მოხმარებით;
3. აჭარა - დაბალი არსებული გენერაციით, მაგრამ უფრო მაღალი  
პოტენციური ჰიდროგენერაციით, შედარებით მაღალი მოხმარებით;
4. გურია - მცირე არსებული და შედარებით მაღალი პოტენციური  
ჰიდროგენერაციით, შედარებით დაბალი მოხმარებით;
5. იმერეთი - არსებული და პესპექტიული ჰიდროგენერაციით და  
თითქმის არსებული გენერაციის ტოლი მოხმარებით;
6. რაჭა-ლეჩხეუმი - არსებული და დიდი პოტენციური ჰიდ-  
როგენერაციით და მნიშვნელოვნად დაბალი მოხმარებით;
7. შიდა ქართლი - შედარებით დაბალი მოხმარებითა და უფრო  
დაბალი გენერაციით;
8. სამცხე-ჯავახეთი - დაბალი მოხმარებითა და დაბალი არსე-  
ბული გენერაციით, შედარებით მაღალი პოტენციური ჰიდ-  
როგენერაციით;

9. მცხეთა-თიანეთი – დაბალი მოხმარებითა და შედარებით უფრო მაღალი გენერაციით;
10. ქვემო ქართლი – შედარებით დაბალი მოხმარებით, მაგრამ უფრო მაღალი პიდროგენერაციით;
11. თბილისი – დაბალი პიდროგენერაციით და მნიშვნელოვნად მაღალი მოხმარებით;
12. რუსთავი-გარდაბანი – ძირითადად თბოგენერაციით, მაღალი მოხმარებით;
13. კახეთი – დაბალი მოხმარებითა და უფრო დაბალი არსებული და პოტენციური პიდროგენერაციით.

ენერგოსისტემის ელექტროენერგეტიკულ რეგიონებად დაყოფა საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ ამ რეგიონების ენერგობალანსის არსებული მდგრმარეობა, შევაფასოთ ცალკეული რეგიონის დატვირთვის სტრუქტურა, თითოეული მათგანის სტატიკური მახასიათებელი და მაქსიმუმში მოხვედრის კოეფიციენტი. აღნიშნულ რეგიონებს შორის არსებობს ელექტრული კავშირები 500, 220 ან 110 კვ ძაბვის ხაზებით, ხოლო სხვადასხვა რეგიონის გავლით საქართველოს ელექტროსისტემას კავშირი აქვს მეზობელ ელექტროსისტემებთან.

ამ რეგიონების მაქსიმალური დატვირთვა მოცემულია 4.1 ცხრილში, რომელიც ეყრდნობა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის ოპერატიულ მონაცემებს და მრავალ სხვა სტატისტიკურ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია ამავე რეგიონების ტერიტორიაზე განთავსებული როგორც პირდაპირი მომხმარებლების, ასევე შპს “საქრკინიგზის” შესაბამისი ენერგოობიექტების მახასიათებელი პარამეტრები. ამასთან, ენერგეტიკულ რეგიონებს შორის “საქრკინიგზის” თვის მაქსიმალური დატვირთვა განაწილებულია შემდეგი პროცენტით: აფხაზეთი – 0%; სამეგრელო-სვანეთი – 8%; აჭარა – 6%; გურია – 6%; იმერეთი – 20%; რაჭა-ლეჩხემი – 0%; შიდა ქართლი – 12%; სამცხე-ჯავახეთი – 6%; მცხეთა-თიანეთი – 12%; ქვემო ქართლი – 5%; თბილისი – 15%; რუსთავი-გარდაბანი 10%; კახეთი – 0%.

**ცხრილი 4.1. საქართველოს ენერგეტიკული რეგონინების მაქსიმალური  
დატვირთვები (2008/2009/2010წ.წ.)**

		რეგონის დასახულება		აფხა- ზეთი		აფხა- ზეთი		ანგორი		თებერვალი		მარტი					
1				284	285	265	190	185	150	145	140	130	145				
				270	260	260	230	190	125	145	145	155	175				
				285	285	280	245	200	130	125	145	165	166				
2		სამეცნიერო რეგიონის -ცან.		95	88	73	73	68	63	60	68	64	58				
				73	74	74	68	68	59	59	64	60	63				
				69	79	78	73	68	69	73	83	62	60				
3		აგრარ კულტურ -ცან.		97	90	80	72	72	72	62	67	73	82				
				87	78	78	67	67	63	63	73	68	67				
				91	88	87	77	67	68	67	78	73	78				
4		გური სამეცნიერო -ცან.		20	20	18	18	17	24	20	20	18	20				
				20	19	19	16	17	17	17	17	15	17				
				21	21	18	17	17	17	18	16	14	16				
5		გური სამეცნიერო -ცან.		280	253	253	243	243	238	230	238	224	188				
				238	240	205	193	183	189	198	209	200	203				
				250	224	253	258	263	224	205	210	220	214				
6		რაჭა- მესტიუ- ლის ართლ იანებე თი		9	8	8	8	9	8	8	8	7	9				
				12	8	8	7	8	7	8	8	8	8				
				10	8	8	8	8	8	10	12	9	9				
7		აგრარ კულტურ -ცან.		56	54	56	53	55	52	47	53	40	45				
				50	45	48	45	62	39	49	49	45	48				
				50	50	50	52	53	48	48	48	46	49				
8		სამეც ნიერო სამეც ნიერო სამეც ნიერო სამეც ნიერო		26	27	23	24	24	24	25	27	25	27				
				33	25	27	17	19	20	22	22	22	24				
				28	25	27	27	30	21	25	25	23	25				
9		გური სამეცნიერო -ცან.		48	49	49	47	49	44	41	46	41	36				
				57	49	51	45	41	46	44	47	44	50				
				50	56	49	52	54	52	48	49	42	46				
10		გური სამეცნიერო -ცან.		66	68	66	61	62	62	64	67	61	63				
				77	67	69	66	61	57	60	56	65	66				
				73	72	69	74	72	55	63	65	66	6				
11		აგრარ კულტურ -ცან.		536	533	427	364	342	326	304	336	322	356				
				476	438	432	388	356	327	362	380	360	420				
				440	464	447	404	398	370	313	320	357	400				
12		რაჭა- მესტიუ- ლის ართლ იანებე თი		89	87	72	89	89	91	80	88	87	86				
				90	82	83	80	42	48	85	87	85	102				
				118	116	115	98	103	85	108	97	90	105				
13		გამე ოთი თავი- არღაძ ანი		45	43	34	39	38	35	35	38	37	38				
				40	37	38	37	34	35	37	37	40	40				
				40	38	44	40	36	35	38	38	41	39				
სულ				1525	1513	1651	1425	1259	1281	1369	1137	1141	1186	1147			
მარტი				1526	1422	163				1189			1129	1230			
აპრილი				1525	1323	142				1122			1153	1407			
მაისი				1425									132	1490			
ივნი													152				

**შენიშვნა:** ამ ცხრილში ნაჩვენები მაქსიმალური დატვირთვის რიცხვითი მნიშვნელობები საორიენტაციო სიდიდეებია, რაღაც ჯამური მაქსიმალური დატვირთვისთვის არ არის გათვალისწინებული მაქსიმუმში მოხვედრის კოეფიციენტები.

საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში განთავსებულია შედარებით მსხვილი (ენერგოტევადი) საწარმოები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: ზესტაფონის “ჯორჯია მანგანეზი”; “საქ.რკინიგზა”; “თბილწყალი”; “ენერჯი ინვესტი” - რუსთავის აზოტი; “საქ.ცემენტი”; “თბილისის მეტრო”; მეტალურგიული საწარმოები (“რუსმეტალი”, “ჯეოსთილი”, “მეტაქსი”); “მადნეული”; და სხვ.

ამ საწარმოთა მიერ ელექტროენერგიის მოხმარება ქვეყნის ჯამური მოხმა-რების თითქმის (20-25)%-ს აღწევს.

#### **4.2. საქართველოს ენერგოსისტემის ავტონომიური**

##### **ელექტრული ქსელების კვანძების დატვირთვები**

ენერგოსისტემის მსხვილი კვანძების ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლების დასადგენად ვისარგებლეთ ენერგოსისტემაში ჩატარებული 2009 წლის 16 დეკემბრისა საკონტროლო გაზომვებისა და ენერგოსისტემის ცენტრალური სადისპეტჩეროს ოპერატიული მონაცემებით, რომელიც გადამუშავებული და გაანალიზებული იქნა ელექტროენერგეტიკული რეგიონებისა და 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურების 110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელების სამომხმარებლო კვანძების მიხედვით (ცხრ.4.2.).

#### ცხრ.4.2. ენერგოსისტემის კვანძების აქტიური დატვირთვები (მგვტ)

დატვირთვის კვანძების დასახელება	2009 წ. 16.XII	
	10 სთ	19 სთ
1.აფხაზეთის ენერგეტიკული რეგიონი	250	260
2. აჭარა-გურიის ენერგეტიკული რეგიონი	61,7	90,1
3. სამეგრელოს ენერგეტიკული რეგიონი	167,3	184,7
ა) ენგურჰესის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	5,6	7,8
ბ) „ზუგდიდი“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	18,7	22,2
გ) „მენჯი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	32,8	42,7
დ) „ხორგა 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	110,2	112,2
4. იმერეთის ენერგეტიკული რეგიონი	132,7	175,5
ა). „ქუთაისი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	48,9	71,1
ა) „წყალტუბო 220“	11,7	14,8
ბ). „დ.ზესტაფონი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	72,1	89,6
5. „ლაჯანური 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	2,1	3,2
6. შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ენერგეტიკული რეგიონი	49,1	65,8
ა) „ხაშური 220“	27,2	39,0
ბ). „გორი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	21,9	26,8
7. მცხეთა-თიანეთის ენერგეტიკული რეგიონი	29,7	35,8
ა) ქსანი 220	24,0	29,5
ბ). „ჟინვალიპესი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	5,7	6,3
8. ქ.თბილისის ენერგეტიკული რეგიონი	304,3	383,2
ა). „გლდანი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	57,6	79,2
ბ). „ლისი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	76,3	90,3
გ). „დიდუბე 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	72,7	94,9
დ). „ნავთლული 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	97,7	118,8
9. ქვემო ქართლის ენერგეტიკული რეგიონი	117,9	146,3
ა). „ხრამიპესი 2“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	7,1	9,9
ბ). „რუსთავი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	94,7	115,5
გ). „მარნეული 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	16,1	20,9
10. „თბილსრესი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	28,8	33,1
11. „გურჯაანი 220“-ის 110/35 კვ ძაბვის ავტ. ქსელი	28,0	35,5
სულ	1172	1413

#### 4.3. ენერგოსისტემის ავტონომიური ელექტრული ქსელების დატვირთვების სტრუქტურიზაცია

ქვეყნის მასშტაბით ელექტრომომხმარებელთა დატვირთვების სტრუქტურიზაცია და ამ დატვირთვების ეკვივალენტური სტატიკური მახასიათებლების დადგენა ჩატარდა ენერგეტიკული რეგიონების 220/110

კვ ძაბვის სადაბლებელ ქვესადგურებთან მიერთებული ცალკეული ავტონომიური ქსელებისთვის.

ყველა ავტონომიური ქსელისთვის მივიღეთ პრინციპი, რომ ელექტრომომხმარებლები, ზოგადად, დაყოფილია ხუთი სხვადასხვა სახის კომპლექსურ მომხმარებლებად, რომელთა დატვირთვის სტატიკურ მახასიათებლებს (პარ.2.2) აქვთ შემდეგი სახე:

1. საყოფაცხოვრებო-კომუნალური

$$P_* = -1,052 + 5,158 * U_* - 5,640 * U_*^2 + 2,534 * U_*^3; \quad Q_* = 8,897 - 19,51 * U_* + 11,62 * U_*^2.$$

2. ადმინისტრაციული შენობები და ოფისები

$$P_* = 2,292 - 3,108 * U_* + 1,692 * U_*^2 + 0,124 * U_*^3; \quad Q_* = 21,974 - 46,471 * U_* + 25,497 * U_*^2.$$

3. სამრეწველო საწარმოები

$$P_* = 1,483 - 1,166 * U_* + 0,44 * U_*^2 + 0,243 * U_*^3; \quad Q_* = 5,8 - 12,254 * U_* + 7,454 * U_*^2.$$

4. ქალაქის საცხოვრებელი რაიონი

$$P_* = -0,066 + 2,769 * U_* - 3,497 * U_*^2 + 1,794 * U_*^3; \quad Q_* = 11,076 - 23,808 * U_* + 13,732 * U_*^2.$$

5. ქალაქის სამრეწველო რაიონი

$$P_* = 1,602 - 1,311 * U_* + 0,245 * U_*^2 + 0,464 * U_*^3; \quad Q_* = 11,483 - 24,335 * U_* + 13,852 * U_*^2.$$

ცალკეული ავტონომიური ქსელისთვის დადგენილი იქნა მომხმარებელთა თითოეული სახასიათო ჯგუფის ხვედრითი წილი  $\beta_1, \beta_2, \beta_3, \beta_4$  და  $\beta_5$  ამ ქსელის ჯამური დატვირთვის მიმართ. შესაბამისად, თითოეული ავტონომიური ქსელის ჯამური დატვირთვის სტატიკური მახასიათებლები გამოთვლილი იქნა შემდეგი გამოსახულებების მიხედვით:


$$P_* = \beta_1 \cdot P_{*1} + \beta_2 \cdot P_{*2} + \beta_3 \cdot P_{*3} + \beta_4 \cdot P_{*4} + \beta_5 \cdot P_{*5} \quad (4.1)$$

$$Q_* = \beta_1 \cdot Q_{*1} + \beta_2 \cdot Q_{*2} + \beta_3 \cdot Q_{*3} + \beta_4 \cdot Q_{*4} + \beta_5 \cdot Q_{*5} \quad (4.2)$$

#### 4.3.1. 220/110 კვ ძაბვის “დ.ბათუმის” ქვესადგურის ავტონომიური ქსელი

“დ. ბათუმის” ქვესადგურის 110 კვ ძაბვის სალტეებიდან იკვებება 110/35 კვ ძაბვის ქსელი, რომელიც მოიცავს 110/35/10 კვ ძაბვის 12 და 35/10 კვ ძაბვის 19 ქვესადგურს (ნახ.4.1). ამ ქსელის ჯამური დატვირთვა

ზამთრის პიტი აღწევს 88-90 გგგბ-ს. (ცხრ.4.2.). ამავე ქსელზე  
მიერთებულია აწჰესი და ბჟუჟაჲესი.



ნახ. 4.1. 220/110 კვ ძაბვის “დ.ბათუმის” ქვესაღგურის  
110/35 კვ ძაბვის ავტონომიური ქსელი

“დ.ბათუმის” ქვესადგური ელექტროენერგიით ამარაგდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას (ქალაქ ბათუმს და ხულოს, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევის რაიონებს) და გურიის მხარეს (ოზურგეთის, ლანჩხეუთისა და ჩოხატაურის რაიონებს). ქვესადგური სისტემაში ჩართულია “პალიასტომი-1” და “პალიასტომი-2” 220 კვ ძაბვის ხაზებით.

ცალკეული ჯგუფის მომხმარებელთა დატვირთვის სტატიკური  
მახასიათებლების მცველეობაში მიღებით, “დ.ბათუმი 220”  
ქვესადგურის 110/35 კვ ძაბვის ქსელზე მიერთებული მომხმარებლების  
სტატიკური მახასიათებლებისთვის, გვაქვს:

## საყოფაცხოვრებო-კომუნალური

$$P = 27,16 * P_* = 27,16 * (-1,052 + 5,158 * U_* - 5,640 * U_*^2 + 2,534 * U_*^3) = \\ = -28,572 + 140,091 * U_* - 153,182 * U_*^2 + 68,823 * U_*^3 ;$$

